

მალსაზ ჩოსარაძე

ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში



წიგნი პირველი

მერმერილოს ზღვის რეგიონი

მალხაზ ჩოსტაიაძე

ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში

ნიკი პირველი

მარმარილოს ზღვის რეგიონი



გამომცემლობა

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი - 2016

მონოგრაფიაში, სამეცნიერო ექსპედიციების დროს შეკრებილ მასალებზე, საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესწავლილია მარმარილოს ზღვის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ქართულენოვანი დასახლებები, აღწერილია „მექართულე“ სოფლები; მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ ავტორი ცდილობს ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სადაურობის შესწავლას, ანუ მათი წინაპრების საცხოვრებელი რეგიონების, ხეობებისა თუ ფუძესოფლების დადგენა-დაზუსტებას.

წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს მუჰაჯირობის ისტორიით, მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ყოფით და საზოგადოდ, ისტორიული სამხრეთ საქართველოს წარსულით და დღევანდელით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორები: პროფესორი მამია ფაღავა

ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე

რეცენზენტები: პროფესორი თინა შიოშვილი

ასოცირებული პროფესორი ჯემალ კარალიძე

ასოცირებული პროფესორი ნათია ფარტენაძე

ISBN 978-9941-462-24-5

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2016

© მალხაზ ჩოხარაძე

შესავალი

თანამედროვე თურქეთის ქართული მოსახლეობის ნაწილი მამა-პაპათა მიწა-წყალზე, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ცხოვრობს, ნაწილიც გადასახლებათა (უპირატესად - მუჰაჯირობის) ტალღას თურქეთის შიდა პროვინციებში მიმოუფანტავს.

თურქეთის ქართული წარმოშობის მოქალაქეთა რიცხვის დადგენა დღეს შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მათი ნაწილი დღემდე ახერხებს ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას, ინტერესდება საკუთარი ფესვებით, ლაპარაკობს (საშუალო და უფროსი თაობა) მშობლიურ ენაზე. მეორე მხრივ, თანამედროვე ეპოქის სამწუხარო რეალობა ისაა, რომ ახალი თაობა ივიწყებს წინაპართა ენას, ტრადიციებს და, შესაბამისად, დღითი დღე კლებულობს ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი. სამწუხაროდ, მეტისმეტად თვალსაჩინო კულტურათა დიალოგის დაჩქარებული ტემპი, ამ „დიალოგის“ სპეციფიკური ხასიათი. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, დროთა მდინარება, სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, დაუნდობლად შლის ძველის კვალს ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ერთ დროს ჩაკეტილ და მიუვალ ხეობებშიც და თურქეთის შიდა პროვინციებშიც - ქართველების მუჰაჯირობის შემდგომ საბინადროში. ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ხსენებული გარემოება განაპირობებს და შესაბამისად, დიახაც საშური საქმეა, ერთი მხრივ, ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევები და მეორე მხრივ, დეტალების, ნაწილების გულმოდგინე შესწავლა, რაც სურათის გამთლიანებას, ერთიანი მეცნიერული პორტრეტის შექმნას შეუწყობს ხელს... ისიც ნათელია, რომ უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა, რაც პრობლემით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერთა გულმოდგინე და ნაყოფიერი შრომის შედეგია...

მუჰაჯირობის ისტორია და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ცხოვრება, ასევე, ჭოროხის აუზის ძირეული მოსახლეობის ავი და კარგი, ბუნებრივია, მრავალი კუთხით, მრავალი თვალსაზრისით გვანტერესებს. მიუხედავად ამისა, მიზანშეწოლილად მივიჩნით, ნაშრომის პირველ წიგნში რამდენიმე კონკრეტული საკითხით შემოვფარგლულიყავით. სწორედ ამიტომ არაერთ თემას, მათ შორის - კოლექტიური მეხსიერების და თვითმემცნების პრობლემებს, მეტად მოკლედ ვეხებით და ამით სამომავლო საქმი-

ნობის ზოგიერთ მიმართულებასაც მოვნიშნავთ. ნაშრომის შემდგომ ნაწილებში (მეორე და მესამე წიგნებში) აისახება, აგრეთვე, ქართული ენის გეოგრაფია თურქეთის შავი ზღვის რეგიონის პროვინციებში, ჭოროხის აუზში და ა.შ.

პირველ წიგნში კი ჩვენს ძირითად ამოცანას შეადგენს მარმარილოს ზღვის რეგიონის (თურქეთი) ქართულენოვანი დასახლებების კვლევა, უპირველესად - აღრიცხვა „მექართულე“ სოფლებისა და ამ სოფლებში მცხოვრებთა სადაურობის შესწავლა, ანუ მათი წინაპართა საცხოვრებელი რეგიონების, ხეობებისა თუ ფუძესოფლების დადგენა-დაზუსტება. აღნიშნული მიზანი განაპირობებს ნაშრომის კომპოზიციას და სტრუქტურასაც. სხვა მასალასთან ერთად, წიგნში საკმაოდ ბევრი ცხრილი, რუკა და ფოტოსურათია. ფოტოები ძირითადად ავტორის მიერვე არის გადაღებული სამეცნიერო ექსპედიციების დროს. ვსარგებლობთ, აგრეთვე, ფოტოებით, რომელთა ავტორია ისტორიის დოქტორი რუსლან ბარამიძე. ნურუოსმანიეს სკოლის სასწავლო პროცესის ამსახველი ვიზუალური მასალა კი მოგვაწოდეს ჩვენმა მეგობრებმა - ერეკლე დავითაძემ (ერდოლან შენოლმა) და მუსტაფა ქოლათმა (კოლათაშვილმა).

ნაშრომში (რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კვლევითი საქმიანობის მცირედი ნაწილია) ასახულია, ერთი მხრივ, თურქეთის შიდა პროვინციებში, მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ რეგიონებში, ქართველოლოგიის ცენტრის 2012-2015 წლების კომპლექსური ექსპედიციების (მათგან 2013 და 2014 წლებში - უშუალოდ მარმარილოს ზღვის რეგიონში) შედეგები, მეორე მხრივ, ჭოროხის აუზში 2005 - 2015 წლებში განხორციელებული ინტენსიური კვლევების და სავსე მუშაობის მასალები, აგრეთვე, შესაბამისი საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები.

კარგად გვესმის, რომ ნაშრომი ვერ იქნება ნაკლისგან დაზღვეული; არ გვაქვს პრეტენზია, რომ მონოგრაფია ამომწურავი იქნება: კვლავაც ბევრი დარჩება სათქმელიც, საკვლევიც და, როგორც აღვნიშნე, სამომავლოდ მონიშნული თემებიც. იმედი გვაქვს, წინამდებარე გამოცემა - პირველი წიგნის გამოტანა მკითხველის სამსჯავროზე - ხელს შეუწყობს მონაცემების დაზუსტებას, კიდევ უფრო შეავსებს მას. შესაბამისად, მზად ვართ, მადლიერებით მივიღოთ ყველა საქმიანი შენიშვნა და გავითვალისწინოთ შემდგომ მუშაობაში.

ნაწილი პირველი

**ქართულთა მუჰაჯირობა -
ეკოქეზი და თეოქეზი**

1. მუჰაჯირობის მოკლე ისტორია

1.1. მუჰაჯირობა და საქართველოს ისტორიის მუჰაჯირობამდელი ფრაგმენტები

სიტყვა „მუჰაჯირობა“ ქართულ ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც „კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის, ძირითადად იძულებით, გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX საუკუნეში“ (ქსე, 1984: 234). ისლამურ ქვეყნებში ამ არაბული წარმომავლობის სიტყვას უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს - „გადასახლება, ემიგრაცია, გაქცევა“ (ლექსიკონი, 2001: 1002), ანუ ნებისმიერი სახის (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და სხ.) ემიგრაცია (წერეთელი, 1951: 271). თურქული ენის ლექსიკონი მუჰაჯირს (mu-hacir), როგორც არაბული წარმომავლობის სიტყვას, შემდეგნაირად განმარტავს: 1) დასახლების მიზნით სხვა ადგილზე გადასული პირი; 2) *(სარწმუნოებაში)* წმ. მუჰამედთან ერთად, ან მის შემდეგ, მექადან მედინაში თავის შეფარების მიზნით გადასულთათვის დარქმეული სახელი (Sözlük, 2000: 2008). ცხადია, ამჯერად პირველი მნიშვნელობა გვაინტერესებს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიურ-სარწმუნოებრივი მოტივი ქართველთა გადასახლებაშიც იგრძნობოდა ხოლმე და ზოგჯერ მეტისმეტად თვალსაჩინოდაც...

ალბათ, ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოსა და საზოგადოდ, კავკასიაში მუჰაჯირობის ცნების უფრო კონკრეტული შინაარსი ეპოქის ისტორიული მოვლენებით არის განპირობებული და უკავშირდება, უპირველესად, რუსეთ-ოსმალეთის ომების მომყოლ მასობრივ გადასახლებებს. XIX საუკუნეში ხსენებული იმპერიების ბრძოლის ასპარეზად საქართველოც იქცა. ისტორიული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობამ აყრა-გადასახლების ტკივილი მანამდეც არაერთხელ იწვნია, მაგრამ მუჰაჯირობა ყველაზე მასობრივი და ტრაგიკული იყო. გადასახლების პირველი დიდი ტალღა 1828-29 წლების ომს მოჰყვა, აფხაზთა მუჰაჯირობა 1867 წელს - მეორე ტალღა იყო, 1877-78 წლების ომის შემდგომი გადასახლება - მესამე...

ისტორიული სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მუჰაჯირების უდიდესი უმრავლესობა მუსლიმი ქართველი იყო. მათ შთანთქმავლებს თანამედროვე თურქეთის თითქმის ყველა მხარეში ნახავ, მაგრამ ყველაზე მეტი შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონებშია. მათ, უმეტეს

შემთხვევაში, იციან საკუთარი წარმომავლობის, ფესვების შესახებ. ბევრი მათგანი ლაპარაკობს ქართულად და ურთიერთობს საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან.

დიდი ხნის წინათ, როცა მუჰაჯირ ქართველთა წინაპრები მამა-პაპათა მიწაზე ცხოვრობდნენ, ისინიც სხვა ქართველებთან ერთად შრომობდნენ, იბრძოდნენ, იღვწოდნენ და ლოცულობდნენ ქვეყნისათვის, რომელსაც მაშინაც საქართველო ერქვა. სწორედ იმ უძველეს თაობათა გარჯის და ბრძოლის შედეგია, რომ საქართველომ, მსოფლიოს უდიდეს იმპერიებთან ჭიდილის მიუხედავად, დღემდე მოიტანა სახელმწიფოც და გამორჩეული, თავისთავადი კულტურაც.

სწორედ იმ უძველესი თაობების ქართველები აგებდნენ სალოცავებს თუ ციხე-კოშკებს, ქმნიდნენ გენიალური სიმარტივით გამორჩეულ ანბანს, წერდნენ „ვეფხისტყაოსანს“, მღეროდნენ ჯადოსნურ „მრავალჟამიერს“, ჭრიდნენ უნიკალურ ჩუქურთმას... ქმნიდნენ ყველაფერ იმას, რაც დღევანდელი ქართველისთვის, მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა თუ საცხოვრებელი ადგილისა, უნდა იყოს სიამაყის საფუძველი.

მუჰაჯირობამდე სამხრეთმა საქართველომ, ანუ რეგიონმა, რომელსაც XIX საუკუნის მოღვაწეებმა „სამუსლიმანო საქართველო“ უწოდეს, დიდი და რთული გზა განვლო. ამ გზაზე მრავლად ყოფილა როგორც ტრაგიკული, ასევე, საამაყო ნაბიჯები. დიდი ხნის წინათ სწორედ აქედან დაიწყო სულიერი და კულტურული აღორძინება, რომელმაც, მოგვიანებით, ოქროს საუკუნემდე მიიყვანა ქვეყანა. უძველეს ეპოქებზე რომ არაფერი ვთქვათ, მე-12 საუკუნეში საქართველო მთელ კავკასიასა და წინა აზიაში უძლიერესი სახელმწიფო იყო, მაგრამ მერე მოძალებულ მტერს ვეღარ გაუძლო და თანდათან დასუსტდა, დაიშალა.

ჯერ მონღოლების გამანადგურებელმა შემოსევებმა, მერე სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ბრძოლამ ამ უკვე დასუსტებული ქვეყნის დასაუფლებლად, საქართველოს ძველი დიდების აჩრდილიდა დატოვა.

ისტორიულ სამხრეთ საქართველოს (ჭოროხის აუზს მთლიანად და მტკვრის აუზის ზედა წელს) ოსმალეთი დაეუფლა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში, უკვე 80-იანი წლებისათვის, ოსმალეთს დაპყრობილი ჰქონდა არტაანი, აჭარა, შავშეთ-მაჭახელი, კლარჯეთი, ტაონი (ამიერ და იმიერ ტაო), სამცხე, ჯავახეთი. მალე ყველა ქართული პროვინცია ჩილდირის (ახალციხის) ვილაეთში გაერთიანდა.

ამდენად მთელი სამხრეთი საქართველო ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა. თანდათან დამკვიდრდა ცხოვრების ახალი წესი და რიგი, ახალი რელიგია. საქართველოს ისტორიული პროვინციების მოსახლეობა წელ-წელა, თაობიდან თაობამდე, ჩამოყალიბდა ოსმალეთის იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომად. არაერთი გურჯი მედგრად იბრძოდა ოსმალეთის ძლიერებისათვის, ერთგულად საქმიანობდა სახელმწიფო სამსახურში, ქმნიდა დოვლათს, აშენებდა ციხეებს თუ სალოცავებს. ოსმალეთის იმპერია კი ერთგულებს უყურადღებოდ არ ტოვებდა და მრავალი ქართველი დაწინაურებულია ფადიშაჰის კარზე, მრავალს მოუხვეჭია დიდება სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე...

საქართველოს დანარჩენი ნაწილი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობის ნიშნებს. უფრო ზუსტად, არსებობდა რამდენიმე ქართული სამეფო (ქართლი, კახეთი და იმერეთი) და სამთავრო (აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი და გურია). მე-19 საუკუნეში რუსეთმა თანდათან დაიპყრო ისინი, თუმცა ქართული ადათ-წესების, ენის, კულტურის, მწიგნობრობის... ხელყოფა ვერ შეძლო.

ამდენად, მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს და ამ ქვეყნის მიწა-წყალზე მცხოვრები ხალხის ბედს მსოფლიოს უდიდესი იმპერიები წყვეტდნენ. საკუთრივ ქართველთა როლი ამ სისხლით სავსე პოლიტიკურ თამაშებში მეტისმეტად შეზღუდული იყო. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება მე-19 საუკუნეში. რუსეთ-ოსმალეთის ომები საქართველოს და მთელი კავკასიის ახალ ისტორიას წერდა.

1.2. რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნეში და მუჰაჯირობა

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავით, რუსეთმა მიიღო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები (სამცხე-ჯავახეთი, ფოცხოვი და პალაკაციო), ზავის მე-13 მუხლის თანახმად, მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობას 18 თვის განმავლობაში გადასახლება-გადმოსახლების უფლება მიეცა (ვარდმანიძე, 2013: 38). გადასახლდა დაახლოებით 75 ათასი ქართველი მუსლიმი. მუჰაჯირობის ამ ტალღის კვალი თანამედროვე თურქეთში ძნელად იძებნება. როგორც ჩანს, გარდა ოსმალეთის შიდა რეგიონებისა, სამცხე-ჯავახეთიდან ლტოლვილთა ნაწილი მაინც მახლობელ პრო-

ვინციებში დასახლდა. ამ აზრს განამტკიცებს ისიც, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლების აჭარა-ქობულეთის და საზოგადოდ, ჭოროხის აუზის მოსახლეობაში დასტურდება ფენა, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა ახალციხელ მუჰაჯირებად. კერძოდ, 1835 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებში „ახალციხელი მუჰაჯირებიც“ არიან მოხსენიებული.¹

ცხადია, სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულთა შორის, რეგიონის მოსახლეობის იმჟამინდელი ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, უმრავლესობა ქართველი მუსლიმი იქნებოდა. ქართულ გარემოში დასახლებულნი, შეინარჩუნებდნენ ქართულ იდენტობას, მაგრამ როგორც ჩანს, არა-ქართულ გარემოში დასახლებული, საკუთარ მიწა-წყალს და ფესვებს მოწყვეტილი მესხები საბოლოოდ კარგავდნენ კავშირს წინაპრებთან და ასიმილაციას განიცდიდნენ. ესაა, ალბათ, უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე თურქეთში მესხ მუჰაჯირთა კვალი ძალიან ძნელად იძებნება. თუმცა, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შავშეთ-კლარჯეთის მოსახლეობის ის ფენა, რომელიც თავს „ახისხადან მოსულებს“, „ახალციხელ თურქებს“ უწოდებს, ნაწილი მაინც, სწორედ ასიმილირებული ქართველების შთამომავლებია (ჩოხარაძე, 2013:39). სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ძველი რეალობის მეტად მცირე ნაგლეჯებია შემორჩენილი და სურათის სისრულით აღდგენაც შეუძლებელია...

მასშტაბური და მეტად მტკივნეული იყო აფხაზების მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის 60-იან წლები. როგორც აღვნიშნეთ, აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება თურქეთში 1867 წელს განხორციელდა - მას შემდეგ, რაც რუსეთმა დასავლეთ კავკასიის დაპყრობით დაასრულა კავკასიის ომი, გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და იქ რუსული მმართველობა შემოიღო.

კიდევ ერთი მასობრივი გადასახლება მოხდა 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობისას, 1877 წლის აგვისტოში (ხორავა, 2004:6). გადასახლების ცალკეული შემთხვევები შემდეგ პერიოდშიც იყო. მუჰაჯირი აფხაზები სახლდებოდნენ როგორც ოსმალეთის შიდა პროვინციებში, ასევე განაპირას, სამშობლოსთან ახლოს.

¹ ამის შესახებ მსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციაზე (2013 წლის 1 თებერვალი) აღნიშნა და შემდეგ პირად საუბარშიც დაადასტურა რიზეს უნივერსიტეტის პროფესორმა ნები გუმუშმა (იხ. აგრ. Gümüş, 2013:13). ჩანაწერები ახალციხიდან მოსულთა შესახებ გვხვდება ზ. ჭიჭინაძესთანაც (ჭიჭინაძე 2013: 142 და სხვ.) და „დროების“ პუბლიკაციებშიც (მაგ., მ-შვილი, 1881:1 და სხვ.).

XIX საუკუნის 60-იან წლებში აფხაზთა ერთი ჯგუფი, დაახლოებით, 2000-მდე ოჯახი დასახლდა აჭარაში. აჭარის აფხაზური მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა 1877 წელს, ასევე - XIX საუკუნის 80-იან წლებში, როცა ოსმალეთიდან მობრუნებულ აფხაზთა ოჯახებს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ მისცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზების ნაწილი 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ სამხრეთ საქართველოში დაწყებულ მასობრივი მუჰაჯირობის პროცესში ჩაერთო და აჭარლებთან, შავშელებთან თუ კლარჯებთან ერთად თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლდა (მათ კვალს თურქეთში დღესაც წააწყდები აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის).

1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის ძალით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა ბათუმის და ყარსის ოლქები (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტანის, ტაოს ნაწილი); მთელი ეს ტერიტორია დაექვემდებარა კავკასიის არმიის მთავარსარდალს - როგორც სამხედრო, ასევე ადმინისტრაციულ საქმეებში.

ახლადშექმნილი ოლქი ერთ სანავსადგურო ქალაქად (ბათუმი) და სამ ოკრუგად (ბათუმის, ართვინის და აჭარის) დაიყო. ბათუმის ოკრუგი შედგებოდა ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უბნებისგან; აჭარის ოკრუგი - ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნებისგან; ართვინის ოკრუგში კი ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის უბნები შედიოდა.

შექმნილი ვითარება მოსახლეობისთვის უაღრესად რთული აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დასტური მუჰაჯირობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მაშინვე გაიხიზნა თურქეთის შიდა პროვინციებში. ეს არ იყო მხარეთა სპონტანური გადაწყვეტილება, არც მოსახლეობის გარიდება საომარ მოქმედებათა ზონიდან. ეს იყო, როგორც აღვნიშნეთ, ორი დიდი იმპერიის მიერ ცივი გონებით განსჯილი და მათივე ინტერესების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) რუსეთ-ოსმალეთს შორის სან-სტეფანოში გაფორმებული საზავო ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანახმად, რუსეთის გამგებლობაში მოქცეული ტერიტორიების მოსახლეობას სამი წლის ვადაში თავისუფალი მიგრაციის უფლება ეძლეოდა. ბერლინის კონგრესმა (1878 წლის ივნისი-ივლისი) სან-სტეფანოს ზავის ბევრი დეტალი გადააჯგუფა, მაგრამ ხსენებული მუხლის მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს.

შესაბამისად, 1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს), სტამბოლში, რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის მე-7 მუხლის თანახმად, რუსეთის ახალ ქვეშევრდომებს საზღვარგარეთ თავისუფალი გადასახლების უფლება მიეცათ. დადგინდა გადასახლების ოფიციალური ვადაც: 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე (ვარდმანიძე, 2013:116). სინამდვილეში, აყრა-გადასახლების პროცესი უფრო ადრე - ომის პერიოდში დაიწყო და დაწყებული ვადის შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა, თუმცა, ყველაზე დიდი ტალღა სწორედ აქ დასახელებულ ოფიციალურ პერიოდზე მოდის.

ეს იყო ომისგან ისედაც გაპარტახებული მოსახლეობის ახალი ტრაგედია – მუჰაჯირობა. შავიზღვისპირა რეგიონიდან თურქეთის შიდა რაიონებში მრავალი ადგილობრივი გადასახლდა.

გადასახლების პროცესი მეოცე საუკუნეშიც გრძელდებოდა. პრაქტიკულად მთელი პერიოდის - 1878-1921 წლების - განმავლობაში. ყველაზე დამაბული, ამ თვალსაზრისით, პირველი მსოფლიო ომის პერიოდი იყო, როცა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების საკმაოდ მასშტაბურმა ტალღებმა გადაიარა. მაშინ საკმაოდ ბევრი ოჯახი გაიხიზნა (თუმცა, ნაწილი მალევე დაბრუნდა უკან). ერთობ რადიკალურად აფასებდა ვითარებას გაზეთი „თანამედროვე აზრი“, რომელიც ამის თაობაზე წერდა: „ყველაზე მეტად განადგურებულია გონიოს უჩასტკა, შავი ზღვისპირათ მცხოვრებნი და მდ. ჭოროხის პირათ მდებარე სოფლები აჭარისწყლიდან - ართვინამდე. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან - ვინც არ მოკლეს, - ტყვეთ წაასხეს“ (თანამედროვე აზრი, 1915).

აღსანიშნავია, რომ 1916 წლის 11 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქართველმა დეპუტატმა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ქართველ მუსლიმთა ინტერესების დასაცავად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა და გაიხსენა 1915 წლის 15 იანვარი, როცა რუსმა მხედართმთავარმა პირდაპირ უთხრა, რომ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისაგან დავალებული ჰქონდა, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობისგანაც გაეწმინდა. ამის შედეგად კი, დეპუტატის თქმით, ათეულლობით სოფელი გაუკაცრიელდა (სიორიძე, 2002: 134).

გადასახლების ცალკეული შემთხვევები 1921 წლის შემდეგაც იყო: კომუნისტური რეჟიმისგან თავის დაღწევის მიზნით, მოქალაქეები ქვეყნიდან გამორბოდნენ და თურქეთის შიდა პროვინციებში სახლდებოდნენ.

1.3. მოკლე განმარტებები მუჰაჯირობის ზოგიერთი ფაქტორის გამო

მუჰაჯირობას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. იგი იყო მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკის ნაწილი და სავსებით მისაღები როგორც რუსეთის, ასევე, ოსმალეთისთვის: მკვიდრი მოსახლეობის საბედისწეროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ორ დაპირისპირებულ ძალას შორის თანხმობა სუფევდა: მასობრივი გადასახლება ორივე იმპერიის ინტერესებში შედიოდა.

რუსეთს ამ მშვენიერი კუთხის სტრატეგიული მნიშვნელობა აინტერესებდა, ბუნებრივი სიმდიდრეები, ნავსადგური და სხვა. ქართველ მუსლიმთათვის საქრისტიანო საქართველოსთან ურთიერთობის პრობლემა ნაკლებად არსებობდა. თავიდანვე ეტყობოდა, რომ სხვადასხვა რჯულის ქართველები გამონახავდნენ საერთო ენას და თანხმობით იცხოვრებდნენ. მაგრამ რუსი უცხო იყო არა მხოლოდ რჯულით, არამედ ეროვნებით, მენტალობით, ცხოვრების წესით, წესით და კანონით. რუსეთი არ ენდობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ არც ადგილობრივი მოსახლეობა ენდობოდა რუსეთს. ეს განწყობა ზუსტად დაუჭერია „დროების“ კორესპონდენტს, რომელსაც 1878 წელს ერთი უბრალო აჭარელი გლეხის ნათქვამი ჩაუწერია: „ქართველები ოღონდაც მოდიოთ, ვინ გიაური არ მიგიღებთ! ვიცით, რომე ჩვენი ხართ, მარტო რჯული ცალკე გაქვთ. ჰამა... სხვები რომ მოდიან, იგია ჩვენი დარდი“. ცნობილ ქობულეთელ მოღვაწეს გულო ალა კაიკაციშვილს უთქვამს: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესაებო, ბიძაშვილებო, - თქვენი ჭირიძე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა და ღმერთმა შეგვაერთა.

ეხლა ღვთით, მე იმედი მაქვს, რომ რაკი ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავთაგან შემდგარი ქართველთა ჯარი შემოვიდა... გავძლიერდებით ჩვენ, ავმადლდებით სულით, გულით. თქვენც ჩვენი დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და გახარებით აღდგება და გაძლიერდება სრულიად საქართველო, - როგორც იგი იყო თამარ მეფის დროს. მაშ გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას და თამარ მეფის დროის საქართველოს აღდგენას და გაძლიერებას!..“ (დროება, 268).

უკმაყოფილო ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება რუსეთის მრავალგზის ნაცადი პოლიტიკა იყო. ეს პოტენციური მოწინააღმდეგეებისგან ტერიტორიების დაცლის გამოცდილ ხერხს წარმოადგენდა. ხალხის ბედი და მომავალი კი იმპერატორს არ აწუხებდა. მეტიც, იყო შემთხვევები, როცა გლეხებს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსაც ართმევდნენ, განსაკუთრებით, იმ სოფლებში, სადაც სამთამადნო საწარმოები არსებობდა. მაგალითად, 1907 წლის 19 მაისს ართვინის ოკრუგის სოფ. ძანცულის გლეხებმა საჩივარი გადასცეს კავკასიის მეფისნაცვალს, რომელშიც უჩიოდნენ სამთამადნო



წარწერიანი დაფა სოფ. საიფიეს (ქვთელის რაიონი, ბურსის პროვინცია) ჯამესთან. წარწერის შინაარსი:

სოფელ საიფიეს დაარსების ისტორია 1877-1878 (რუმით 1293) წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, იმის გამო, რომ რუსებს და ინგლისელებს სურდათ, თავიანთ მფლობელობაში მოექციათ სპილენძის მადნით მდიდარი ტერიტორიები, ართვინის ილის ბორჩხის ილჩეს მურღულის თემის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა, 1901-1902 (რუმით 1316) წელს, იძულებული გახდა, მიწები გაეყიდა. [ისინი], ფადიმაჰ სულთან ჰამიდის ფირმანით, ბურსიდან 35 კმ-ის დასავლეთით, ბაიძინში (სადაც რომის იმპერიის დროს ნიკეას მფლობელის სანადირო და დასასვენებელი ადგილები იყო) დაასახლეს. რესპუბლიკის დაარსების შემდეგ სოფელს სახელი შეეცვალა და საიფიე ეწოდა.

ამხანაგობას მიწების მიტაცების თაობაზე, კატეგორიულად მოითხოვდნენ მადნის დამუშავების შეწყვეტას და მიწების ძველი მფლობელებისთვის დაბრუნებას. ასეთი მდგომარეობა გლეხებს მამა-პაპეული ადგილებიდან წასვლას აიძულებდა. ამას თვით ხელისუფლების მოხელეებიც აღიარებდნენ. 1906 წლის 26 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაში ართვინის ოკ-

რუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა გადასახლება საადგილმამულო საკითხის მოუწესრიგებლობით და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით არის გამოწვეული. ამის გამო მარტო 1906 წლის მეორე ნახევარში ართვინის ოკრუგიდან ოსმალეთში წასულა 420 სული, ხოლო წასასვლელად მზად ყოფილა 1200 ადამიანი (კარალიძე, 2011: 20).

ამრიგად, ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთის იმპერიის შიდა რაიონებში გადასახლების ერთ-ერთი არსებითი მიზეზი რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა იყო. ემიგრაციის პროცესის დაჩქარებისა და, ამავე დროს, გადასახლებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, ხელისუფლება შესაბამის პირობებს ქმნიდა: თესავდა შიშს და ქმნიდა აქამდე სრულიად უცნობ, რუსეთის, სახელმწიფოში ადგილობრივი მოსახლეობის უპერსპექტივობის განწყობას, ართულებდა და ამძიმებდა საგადასახადო პოლიტიკას, რაც მაშინვე აისახებოდა მკვიდრთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე; უგულვებლყოფდა მაღალი წოდების პრივილეგიებს, ფართო გასაქანს აძლევდა ახლად შემოერთებულ მხარეში მრავლად დანიშნულ წვრილ მოხელე-ჩინოვნის თვითნებობას, ხშირად პირდაპირ მოუწოდებდა წასვლისკენ და მრავალი სხვა.

გადასახლების აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა ოსმალეთის იმპერია, რომელსაც მეტად პრაგმატული მიზანი ჰქონდა. გადასახლებულთა სახით იგი მიიღებდა მაღალი სამეურნეო კულტურით გამორჩეულ, მშრომელ, ერთგულ, მებრძოლი ბუნების მოსახლეობას, რომელიც შეავსებდა ქვეყნის შიდა პროვინციების ტერიტორიებს, ამავე დროს, უეჭვოდ და უყოყმანოდ ჩამოყალიბდებოდა სახელმწიფოს ერთ-ერთ დასაყრდენად - ლტოლვილ მოსახლეობას ხომ, როგორც წესი, ხელისუფლების იქით გზა არ აქვს... როგორც ერთი-ერთი თანამედროვე თურქი ავტორი მიუთითებს, სულთანი აბდულჰამიდ II (1876-1909) ბათუმიდან და ართვინიდან მიგრირებულ მუჰაჯირებს ძალიან აფასებდა, მიიჩნევდა რა, რომ ისინი ანატოლიის დაცარიელებული მიწების შესავსებად საუკეთესო საშუალება იყო. ამასთან, ეჭვი არ ეპარებოდა რა ისლამისადმი მათ ერთგულებაში, ანატოლიის დემოგრაფიული სურათის ოსმალეთის სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ მოწესრიგებას გეგმავდა (Muammer, 2009).

მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რელიგიური ფაქტორი, რაც, ეკონომიკურთან ერთად, გადასახლების ქადაგებათა მთავარი საყრდენი იყო. პროპაგანდისტები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ყოველი მაჰმადიანი, რომელიც რუსის ურჯულო ხელმწიფისა და კანონების მფარველობაში

დარჩება, სულითა და ხორციით წაწყმედილი იქნება, რაც უნდა მტკიცე აღმასრულებელი იყოს მაჰმადის რჯულისა, ედემს ვერ ეღირსება; ამიტომ უნდა გადასახლდეს ყველა ოსმალეთში, სადაც, უეჭველია, თავდაპირველად ბევრ გაჭირვებას, შიმშილს, სიცივეს და სხვა უბედურებებს გადაიტანენ, მაგრამ ეს ტანჯვა ხორციელი იქნება და სულის მაცხოვნებელიო (დროება, 100).

XIX საუკუნის ქართული პრესა არაერთგზის განიხილავს საპროპაგანდო ქადაგებათა შინაარსს. ფართოდ ეხება ამ თემას ზაქარია ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე, 1912: 177), რომელმაც მრავლად შემოგვინახა თანამედროვეთა ნარატივები. ეს მასალა თვითმხილველთა ნაამბობს ეყრდნობა და, შესაბამისად, სანდოა. უნდა ითქვას, რომ ქადაგებათა შინაარსი, მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, დიხაზც შთამბეჭდავია. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ქართველ მუსლიმებს, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს რჯულის განსაკუთრებული სიმტკიცით გამოირჩეოდნენ და გულწრფელად ენდობოდნენ რელიგიურ ავტორიტეტებს, რომლებიც მჭევრმეტყველებას არ იშურებდნენ მსმენელთა დასარწმუნებლად.

განწყობა, რომ მუჰაჯირობა რწმენის სიმტკიცისათვის ბრძოლის ნაწილი იყო, თაობებს გამოჰყვავდა. მრავალი თურქეთელი ქართველი, „დედეების“ ტრაგიკულ თავგადასავალზე საუბრისას, ხაზს უსვამს ისლამის განსაკუთრებულ ერთგულებას და ქართული თვითმემცნების (გურჯობის) ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ რწმენის ერთგულებას მიიჩნევს.

როგორც აღვნიშნეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ფაქტორი, მით უმეტეს, როცა, ისედაც მცირემიწიანობით გამორჩეულ რეგიონში, ახალი რუსული ხელისუფლების პირობებში, კარგა ხანს ბურუსით იყო მოცული მიწათმოწყობის საკითხები. ამ გაურკვეველობით კარგად ისარგებლეს გადასახლების მქადაგებლებმა, რომლებიც მიწათმოქმედ გურჯებს უშურველად აღუთქვამდნენ თაობების მატერიალურ კეთილდღეობას, ჰექტრობით მიწებს... ეს დაპირება, როგორც დღევანდელი ვითარება მოწმობს, ასე თუ ისე, შესრულდა კიდევ, მაგრამ მუჰაჯირობის ისტორია სხვა - ერთობ ტრაგიკული შინაარსის კითხვასაც სვამს: ღირდა კი მუჰაჯირობის სისხლიან და ცრემლიან ისტორიად ეს მიწები?

ამრიგად, ქართველ მაჰმადიანთა მუჰაჯირობის ერთ-ერთი არსებითი მიზეზი იყო ოსმალეთის იმპერიის მმართველი წრეების მისწრაფება, მშრომელი, მაღალი სამეურნეო კულტურის მქონე, მეზრძოლი, ერთგული მოსახლეობით შეევსო შავიზღვისპირეთისა და ანატოლიის ვრცელი ტერიტორიები.

1.4. მუჰაჯირობა და ქართველი მამულიშვილები

მიუხედავად იმისა, რა ძალისხმევას დებდა რუსული მმართველობა ადგილობრივთა ასაყრელად, მიუხედავად იმისა, რას ჰპირდებოდა ოსმალეთის იმპერია მუჰაჯირებს და რა ოქროს კომპებს აღუქვამდა, მიუხედავად მოსახლეობის იმედებისა და მოლოდინებისა - გადაწყვეტილების მიღება არ იყო იოლი. ყველა ფენაში, ყველა წოდებაში იყო გადასახლების მომხრეც და მოწინააღმდეგეც. მთელი სამუსლიმანო საქართველო მაშინ ამით სუნთქავდა, დღენიდაც ამაზე საუბრობდა, მსჯელობდა, წონიდა, გაფაციცებით ჰკრეფდა წასულთა ამბებს, ხარობდა კეთილით - რაც იშვიათად ესმოდა - და მწარედ განიცდიდა მოძმეთა უბედურებას. ეს ყველაფერი კიდევ ერთი დასტურია პრობლემის განსაკუთრებული სირთულისა. მკვიდრი მოსახლეობა - მიწაზე მიჯაჭვული, მშრომელი, პატიოსანი, ტრადიციების ერთგული, ოჯახზე გადაგებული, - ერთბაშად მოექცა ორი უზარმაზარი იმპერიის ძლიერი და გამოცდილი საპროპაგანდო წნეხის მოქმედების ზონაში... ნებისმიერი გადაწყვეტილება ულევო ტკივილის წყარო იყო და ამ ტკივილის ნაკვალევი დღემდე თვალსაჩინოა! წასულთა განწყობის საფუძვლებზე ვისაუბრეთ უკვე და ბარემ ისეც ვთქვათ, რომ დღეს მუჰაჯირთა შთამომავლების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს წინაპართა გადაწყვეტილებას, ერთადერთ სწორ ნაბიჯად მიიჩნევს, ნაწილი - ყოყმანობს; ნაწილსაც - ფუძის მიტოვება შეცდომად მიაჩნია... ეს რთული, ვრცელი და ემოციით სავსე თემაა, რომელსაც მომავალში აუცილებლად მივუბრუნდებით, აქ კი, სამომავლო ემოციის ასოციაციით, კომენტარების და განმარტებების გარეშე, გავიხსენებთ, რომ ქორგანში (ყორღანში - ორდუს პროვინცია), დიდი სიყვარულით და ტკივილით გაკეთებულ მუზეუმში, 2012 წელს, ალი ქათამაძემ გვაჩვენა გვაჩვენა პატარა ტაბლა, რომლის ისტორიაც მუჰაჯირთა ნარატივების ერთი ცრემლიანი ნატეხია: შვიდი დღის გათხოვილი გოგონას ახალი ოჯახი წასულა მუჰაჯირად ქობულეთიდან. ცხადია, ახლად შეუღლებულებიც დასდგომიან უშორეს გზას. ჯერ გათხოვება რა იყო ამ პატარა გოგოსი და მერე დედ-მამის ოჯახთან, როგორც აღმოჩნდა, სამუდამო განშორება რა იქნებოდა!.. დედას ტაბლა უჩუქებია - სტუმრის პატივისცემა არ დაივიწყო, საჭმელი ლამაზად მიართვეო. ტაბლა გოგოს ტვირთი იყო - არ იშორებდა თურმე, როგორც მშობლების სახსოვარს. ცრემლით ასველებდა გზაშიც და მერეც - სიბერეში...

წასულელებსაც ჰქონდათ თავიანთი ტკივილიანი სიმართლე. მაგრამ უფრო მყარი არგუმენტები მაინც დარჩენილთა მხარეზე იყო. მუჰაჯირობის მოწინააღმდეგენი, როგორც ვთქვით, ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენასა და წოდებაში იყო. ხოლო არაერთი გავლენიანი პირი ბოლომდე იბრძოდა თანამემამულეთა მოსაბრუნებლად. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ლომან ეფენდი ქარცივაძე, ახმედ ეფენდი ხალვაში, გულო ალა კაიკაციშვილი, დედე ალა ნიჟარაძე, აბდულ ეფენდი მიქელაძე, მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, ხოჯა ლომან ეფენდი ბერიძე, თუფან ბეგ შერვაშიძე და სხვანი.

ლომან ეფენდი ქარცივაძეს, რომელიც 1812 წელს დაბადებულია ზემო აჭარაში, ოლადაურში, უმაღლესი განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული, იგი თურმე დიდი გავლენით სარგებლობდა სულთან აბდულ აზიზის კარზე. XIX საუკუნის მიწურულს აჭარაში დაბრუნებულია. მუჰაჯირობის დროს ქართველ მუსლიმებს სხვა დეპუტატებთან ერთად ოსმალეთში გაუგზავნიათ, რათა მოენახულებინა მუჰაჯირთა დასასახლებლად განკუთვნილი მიწები და გაეგო პირობები. ლომანს ჯერ წერილით გაუფრთხილებია თანამემამულენი - თავი შეიკავეთ თურქეთში გადასახლებისგანო, მერე, როცა ჩამოვიდა, უთქვამს: „ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ ჩვენისთანა შემკობილი და საჩვენო ვერაფერი ვნახე“. გარდა ამისა, აშკარაა, მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ გადასახლების პროპაგანდისტები, ითვალისწინებდნენ რა მოსახლეობის მტკიცე რწმენას, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ რელიგიურ ცნობიერებაზე. ამის საპასუხოდ დაბეჯითებით უთქვამს: „ნამდვილი მაჰმადიანობა ჩვენთან დარჩენილა, რჯული ჩვენისთანა სუფთად და წმინდად არავის უჭირავს სახონთქრეთში, სადაც ყველგან გაიურობა შეპარულა, ამის გამო, არ გირჩევთ ოსმალეთში გადასახლებას“ (დროება, 34).

ქარცივაძის მცდელობას კეთილი გავლენა მოუხდენია თანამომხმეებზე: ბევრს გადაუფიქრებია გამგზავრება და სამშობლოს მიტოვება.

სამწუხაროდ, ქართველობას ტენდენციასთან დაპირისპირების ძალა არ ჰქონდა! იმ ეპოქაში, რომელზედაც ვსაუბრობთ, გამოიცემოდა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, წარმატებით ფუნქციონირებდა ქართული თეატრი, სკოლები, არსებობდა ქართული საქმის სამსახურში ჩამდგარი საზოგადოებრივი გაერთიანებები, თანდათან ძლიერდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო XIX საუკუნეში აღარ არსებობდა. ამდენად, არ არსებობდა რომელიმე ქართული ინსტიტუტიც, რომელიც ოფიციალურად შეძლებდა თავისი მოქალა-

ქეების ინტერესების დაცვას საერთაშორისო ასპარეზზე თუ ქვეყნის შიგნით. რუსეთის კოლონიად ქცეული ქვეყნის მოღვაწეთა შესაძლებლობები კი უაღრესად შეზღუდული იყო.

მიუხედავად ამისა, ყველაზე ბეჯითად სწორედ საქრისტიანო საქართველოს მამულიშვილებმა აიმაღლეს ხმა მუსლიმ თანამომხმეთა დასაცავად. ისინი უპირისპირდებოდნენ როგორც რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების პოლიტიკას, ასევე, ოსმალურ პროპაგანდას და ცდილობდნენ, შეეჩერებინათ მუჰაჯირობის ტალღა, გარდა ამისა, გაეადვილებინათ ქართველი მუსლიმებისთვის ახალ, რთულ დროებასთან შეგუების პროცესი, დახმარებოდნენ უამრავი ახლადგაჩენილი პრობლემის მოგვარებაში, ეზრუნათ ეპოქის შესაფერისი საგანმანათლებლო თუ კულტურული დაწესებულებების ჩამოყალიბებისთვის და ა.შ. მაშინდელ ქართულ პრესაში ამ განწყობის გამომხატველი მრავალი წერილი დაიბეჭდა და უნდა აღინიშნოს, რომ თავადაც კოლონიური რეჟიმის მარწუხებში მოქცეულმა ქართულმა საზოგადოებამ ბევრი ღირებული საქმის გაკეთება შეძლო და სამუსლიმანო საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად გულმოგინედ იღვაწა სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა ერთიანობისათვის.

ილია ჭავჭავაძე, რომლის სიტყვასაც მაშინ დიდი ძალა ჰქონდა, ჯერ კიდევ 1977 წელს გამოეხმაურა სამხრეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და თანამოაზრე მამულიშვილებთან ერთად, თავიდანვე სწორად განსაზღვრა ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების სამომავლო ურთიერთობის პრინციპები. „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, - წერდა იგი „ივერიაში“, - ჩვენ ძმებს, ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულს მმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზე ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი!..“ (ჭავჭავაძე, 2012: 8).

სიტყვამ მოიტანა და, რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებისთანავე, ქართველ მოღვაწეებს, ყველაზე უწინ - დიმიტრი ყიფიანს, ჩინებული აზრი მოუვიდათ - მოეწყობა შეხვედრა თბილისში ჩამოსული ქართველი მუსლიმებისთვის, რათა „სხვით თუ არა, საზოგადოებრივ სუფრაზე პურისჭამით მაინც დაემტკიცებინათ თავიანთი თანაგრძნობა და სიყვარული, ქართველური

გული გადაეშალათ ურთიერთისათვის და მტკიცე, ურყევი საფუძველი ჩაეყარათ მომავლისათვის“.

მაჰმადიან ქართველთაგან შეხვედრაზე იყვნენ შერიფ ხიმშიაშვილი, ხუსეინ აბაშიძე, ხასან ბეჟანიძე, ნური ხიმშიაშვილი, ახმედ ხალვაში და სხვა წარჩინებული თავკაცნი. სულ 16 სტუმარი.

მასაპინძელთაგან შთამბეჭდავი სადღეგრძელოები წარმოუთქვამთ გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე ზუბალაშვილს, დიმიტრი ყიფიანს, აკაკი წერეთელს და სხვებს.

დიმიტრი ყიფიანს, მაგალითად, უთქვამს:

„ერთხელაც საქართველო ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზე გვემოწმებიან: ერთი მხრით - გმირული მოქმედება, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთი სახელისა, როგორც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე; მეორეს მხრით - გვემოწმებიან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორც, მაგალითად, ციხესიმაგრეები და ტაძრები...“

ბუნების გამომძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არისრა. დროთა ბრუნვაში სხვადასხვა შეტაკებანი მომხდარა და ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარ-ტომობითი კავშირიცა. და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა, - ისინი ჩვენთვის სწუხდნენ, ჩვენ - იმათთვის, ჩვენ იმათი აღარა ვიცით რა, იმათ - ჩვენი...

ახლა აგვიხდა ასწლეული ნატვრა! ვისურვოთ სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილი კავშირისა უკუნისამდე! და ამ ჩვენს ძველს მოძმებს რომ თვალითა ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევხარით, შევსვათ სადღეგრძელო იმათი!“ (სახოკია, 2005:197)

დავუბრუნდეთ მუჰაჯირობას:

ქართველმა მოღვაწეებმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში აიძლეს ხმა აფხაზთა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. 70-იანი წლებიდან კი ბრძოლის ფრონტი უფრო ფართოდ გაიშალა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვანი ძალისხმევას არ იშურებდნენ მუსლიმ თანამომემთა სიკეთისათვის. თუმცა, ამ ძალისხმევას ყოველთვის როდი მოჰქონდა შედეგი და მე-19 საუკუნის პრესაც სავსეა მწარე ტკივილით: „საკვირველი ამბავია!.. - წერდა ილია ჭავჭავაძე, - ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია; სტოვებს მამულს,

დედულს, სახლ-კარს, სადაც დაიბადა, სადაც გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, და, ძმა, - და მიდის სად? ოსმალეთში? დაე, ამაზედ ჩვენს შემდეგ ოსმალეთის ისტორიკოსები განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილი შევიტანოთ ჩვენს მატთანში...“ (ჭავჭავაძე, 1879).

სერგეი მესხმა 1880 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილით კიდევ ერთხელ შემოჰკრა განგაშის ზარებს: „რას ვაკეთებდით იმ დროს ბათუმში?“ - კატეგორიულად სვამს კითხვას წერილის ავტორი. აშკარაა, რომ მას არ აკმაყოფილებს საზოგადოების აქტიურობის ხარისხი და მოქმედებისკენ მოუწოდებს თანამოაზრეებს. მოქმედება კი ნიშნავდა ახსნა-განმარტებას, გადასახლების საწინააღმდეგო აგიტაციას, უღირსი სახელმწიფო მოხელეების მხილებას, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, სხვადასხვა რწმენის ქართველთა ერთიანობისთვის ბრძოლას და ა.შ. მართალია, ამ ბრძოლამ ყოვლისმომცველი შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ არაერთ ქართველ მუსლიმს გადააფიქრებინა გადასახლება.

1.5. ქართველთა გადასახლება და ახალ მიწაზე დამკვიდრება

მუჰაჯირები მიდიოდნენ ზღვით ან ხმელეთით. წასვლის საორგანიზაციო და ემოციურ მხარეზე ამჯერად არაფერს ვიტყვით, მაგრამ ტანჯვითა და ვაებით სავსე იყო თვით გადასახლების პროცესი. ეს მაშინ საყოველთაო პრობლემა, ყველასთვის ინტერესის აღმძვრელი თემა იყო საქართველოშიც და ოსმალეთშიც. მას განიხილავდნენ პოლიტიკოსები თუ მეომრები, მუშები თუ გლეხები, ვაჭრები თუ სახელმწიფო მოხელეები, საზოგადო მოღვაწეები თუ ჟურნალისტები... ამ თემაზე საუბრობდნენ ყველგან - ეკლესიებში თუ ჯამეებში, სახელმწიფო ორგანოებში თუ ბაზრობებზე, ქუჩებსა თუ ყავახანებში... მაგრამ ლაპარაკი საქმეს ვერ შველოდა. თანდათან იზრდებოდა მუჰაჯირთა რაოდენობა და უსაზღვროდ მრავლდებოდა ცრემლიანი ნარატივების რიცხვი!.. 1880 წელს, მაგალითად, გაზეთი დროება იუწყებოდა, რომ მაჭახლის ხეობიდან 400 მუსლიმი ჩამოვიდა ბათუმში, იმ იმედით, ოსმალეთის გემი მოვა და წაგვიყვანსო. ათი დღის განმავლობაში მშვიერი ხალხი ზღვის პირას ეყარა. გემი კი არ მოდიოდა და არც აპირებდა მოსვლას, ბოლოს კი რუსეთის გემმა წაიყვანა ეს ხალხი იზმირისკენ (დროება, 124).

ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ნეიტრალური ისტორიაა ტრაგიკულ ნარატივთაგან. „ჩვენები ბევრი წამოსულან, ზოგი გემით, ზოგი ფეხით, ნახვარი გზაში მომკტარა“ - ზემოხსენებული ალი ქათამაძის მიერ ნათქვამის მსგავს წინადადებას ბევრგან მოისმენ ჩვენებურებში. ბაზგირეთში დღემდე ყვებიან სულო ზუზოდლის (ზუმზადის) ისტორიას. იგი მუჰაჯირად წასულა ნიქსარში, ადგილი აურჩევია, ოჯახისა და ბარგისთვის დაბრუნება განუზრახავს, გზად შეხვედრია ერთ თანამემამულეს, რომელიც მწარედ მოთქვამდა: ყაჩაღებს მისთვის ქონება, ცოლი და ქალიშვილი წაერთვათ. სულო აღშფოთებულა: რა გატირებს, წადი, ან ისინი იპოვე და დახოცე, ან თავი მოიკალიო. ამ შემთხვევამ თურმე შავშეთის მიტოვება გადააფიქრებინა – ბაზგირეთში დავრჩები, სინდისი და ნამუსი მაინც შემრჩებაო.

„...თოქათი გაუვლიათ და ადანამდე წასულან. იქ საბინადრო მიუციათ, მაგრამ არ დარჩენილან. სოფლიდან მერზიფონში წამსვლელებიც ყოფილან. გზაში ბევრი ჩვენი ხალხი გარდაცვლილა...“ - ეს უკვე თურქი ავტორის, ულქუ ონალის ჩანაწერია, მას მუჰაჯირების შთამომავლებში არაერთი მსგავსი ისტორია მოუსმენია და შეუკრებია. (Önal, 2010: 34). ცხადია, მრავალმა ოჯახმა იმგზავრა მშვიდობიანად და კეთილად დაემკვიდრა ახალ საცხოვრებელში, მაგრამ უბედურება ბევრი ახლდა გადასახლებას და მუჰაჯირობა კეთილი დასასრულით, თუნდაც ძალიან მრავალრიცხოვანი, იმ უბედურებათა საპირწონედ ვერ გამოდგება.

გასაგებია, რომ ხალხის მიღება-დაბინავება კიდევ ერთი დიდი პრობლემა იქნებოდა. მუჰაჯირებს ჯერ ერთგვარ გამანაწილებელ ბანაკებში ათავსებდნენ („გაჩეჩებულები ვყოფილვართ ჩადირებშიო“¹, - ასე გაიხსენეს ძველების ნამბობი გემლიქის რაიონის სოფ. ჰაიდარიეში). ამ ბანაკებში გაჩერება ზოგჯერ დიდხანს უწევდათ. აქედან უნდა იყოს პრაქტიკულად ყველა რეგიონის მუჰაჯირებში შემორჩენილი ზუსტად ერთნაირი თქმულება: პირველი თაობის მუჰაჯირები ჯერ ბარში დასახლებულან, იქაურობა კოლო-ბუზით ყოფილა სავსე. ვერ აუტანიათ და მერე გადმოსახლებულან ახალ სამკვიდრებელშიო.

ახალი საცხოვრებელი ადგილების შერჩევაში მუჰაჯირთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ამასაც მრავალი ნარატივი მოწმობს. მაგალითად, ჰაირიელი (ინეგოლის რ-ნ) ბასრი ილდირიმის (ომერაძე) თქმით, მათი

¹ კარვებში

წინაპრები ჯერ ინეგოლში დაბინავებულან. იქ „ბუზი ყოფილა“, რაც ვერ აუტანიათ. მემედ-აღას, ერთ განათლებულ ჩვენებურს, უძებნია და აურჩევია ადგილი. წამოსულან და დასახლებულან. არც ამას ჩაუვლია მარტივად: მემედ-აღამ მონიშნა თურმე სოფლის გასაშენებელი ადგილი: ხეებზე ნაფოტები ჩამოთალა; მაგრამ შემდეგ ჩერქეზები მოსულან და მონიშნულ ადგილში შეცილებიან. „დიდი ჩხუბი ქნილა“ ჩერქეზებსა და ქართველებს შორის, ჩვენებურებს უმარჯვიათ, „ჩერქეზები დუუბეჩებიან და გუუგდიან“...

უკანასკნელი ფრაგმენტი ამ ისტორიისა კიდევ ერთ ტრაგიკულ ფურცელზე მიანიშნებს. მუჰაჯირთა პირველი თაობის თვითდამკვიდრების პროცესი ასევე უდიდესი ტკივილით იყო გაჯერებული და ეს ტკივილი თაობების მეხსიერებამ შემოინახა. ეს პროცესი სავსე იყო მცირე თუ დიდი გამირობებით, ზოგჯერ - არცთუ ისე თავმოსაწონებელი ამბებითაც... ეს ტრაგიკული ისტორია მაშინაც და მერც, ობიექტური მიზეზების გამო, ქართული საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა... არადა, ჩვენებურებმა ქედმოუდრეკლად იბრძოლეს! - ტყვე კაფეს და მიწაც ხნეს, სახლებიც აშენეს და საქონელ-ფრინველიც ამრავლეს. შუაგულ ანატოლიაში ხეჭეჭურიც ახარეს და „კეჟერად“ ფხალიც, მტრულად დახვედრილს გაჩენის დღე აწყველინეს და მოყვრად მოსულს უძმეს და უერთგულეს.

ესეც ერთი ვრცელი და რთული ისტორიაა, რომელსაც ასევე სხვა დროს მივუბრუნდებით უფრო ვრცლად სასაუბროდ, მაგრამ თავიდათავი ისაა, რომ ჩვენებურებმა შეძლეს, არათუ გადარჩენილიყვნენ და მყარად, საკუთარი ღირსების შეგრძნებით, დამკვიდრებულიყვნენ ახალ მიწაზე, არამედ შეძლეს გურჯებად გადარჩენა.

შუაგულ ოსმალეთში ქართველი არ მისულა მონის და ბეჩავის ცნობიერებით. მას ყოველთვის მეტისმეტი სიმძაფრით ჰქონდა საკუთარი ღირსების შეგნება. ეს „მეტისმეტი“ აიძულებდა, ზემოდან დაეხედა დამხვედურისა თუ სხვა მოსულისთვის მაშინაც კი, როცა სულს იქით არაფერი გააჩნდა. სწამდა, რომ მათზე უკეთ იცოდა ცხოვრების ავი და კარგი; უკეთესად შეეძლო მეურნეობის მოწყობა, უფრო გემრიელ და მრავალფეროვან საჭმელებს აკეთებდა, ინახავდა რწმენას და ტრადიციას, იბრძოდა ვაჟკაცურად.

მართალია, დიდი საქართველო (საქართველო როგორც ქვეყანა, სახელმწიფო) დავიწყებოდა („გურჯისტანი დევლეთი არისო, ვინმემ არ იცოდა, დედა-ენა და ანბანი გვაქო - ვინმემ არ იცოდა, სამი-ოთხი კაცი თუ იქნებოდა ამის მცოდნე...“ ასე გვითხრა ერთმა თუფექჩიქონაქელმა მოხუცმა), მაგრამ

ბევრს ახსოვდა ძველი „ვათანის“ ღელე და ხეობა, „ბათომი“ და „აჯარა“, ათონი და ბორჩხა, ქობულეთი და ხოფა, მურღული და შავშეთი...

„დოხსანურ“¹ მუჰაჯირთა პირველ ტალღას თითქმის საუკუნენახევარი გვაშორებს. თაობათა ბრძოლამ და შრომამ ნაყოფი გამოიღო... ქობის ადგილას სახლი აშენდა, სახლის ადგილას - სასახლე. ქართველები გამრავლდნენ, გაძლიერდნენ, მყარად დაიმკვიდრეს ადგილი უზარმაზარ სახელმწიფოში: პოლიტიკასა და ბიზნესში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მეცნიერებასა და სპორტში. ბუნებითმა ნიჭმა მრავალმხრივ იჩინა თავი, მაგრამ მემლექეთის გამო სევდა ამ თაობის თვალებსაც შერჩა...

¹ პირველი თაობა ქართველი მუჰაჯირებისა თავს 93-ის (Doksan üç) მუჰაჯირებს, შესაბამისად, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომს - 93 წლის ომს (Doksan üç harbi) უწოდებდა. საქმე ისაა, რომ ოსმალეთის იმპერიაში მოქმედებდა ჰიჯრის - ისლამური მთვარის კალენდარი. თანზიმათის რეფორმები კალენდარსაც შეეხო. 1840 წელს შემოღებულ იქნა რომაული (რუმის) კალენდარი - Rumi Takvim. პროფ. ზ. შაშიკაძის განმარტებით, რეფორმის შედეგად რომაული კალენდრის დღეები გაუთანაბრეს გრიგორიანული მზის კალენდრის დღეების რაოდენობას, ანუ ჰიჯრისა და რუმის კალენდრებს შორის გაჩნდა თერთმეტდღიანი სხვაობა, მაგრამ წლების აღრიცხვა დარჩა ძველი. 1870 წლამდე პარალელურად მოქმედებდა ორივე - ჰიჯრის და რუმის - კალენდარი, მაგრამ ოფიციალური სტატუსი რუმს ჰქონდა. ჰიჯრის 1293 წელი ევროპული კალენდრის 1876 წლის 28 იანვრიდან - 1877 წლის 16 იანვრამდე პერიოდს შეესაბამება; რუმის 1293 წელი კი - 1877 წლის 13 მარტიდან - 1878 წლის 12 მარტამდე პერიოდს. შესაბამისად, ნათელია, რომ „93“ (მუჰაჯირთა შთამომავლების გამოთქმით - „დოხსან უჩ“) რუმის კალენდრის გამოძახილია და იგი დღემდე გამოიყენება თარიღზე მისათითებლად.

2. მუჰაჯირთა შთამომავლები და ეთნიკური ვინაობის გამოსატვის ზოგიერთი საკითხი

თურქეთში მცხოვრები ქართველები და, ბუნებრივია, მათ შორის, მარმარილოს რეგიონის მუჰაჯირთა შთამომავლები, თვითდასახელებისას, ეთნიკური ვინაობის განსაზღვრისათვის იყენებენ ცნებებს „ქართველი“, „გურჯი“, „ჩვენებური“, „ლაზი“. ეს თემა ვრცელ განსჯას იმსახურებს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმე განმარტებით შემოვიფარგლებით.

„ქართველი“, როგორც საკუთარი ნაციონალური ვინაობის აღმნიშვნელი ეთნონიმი, პირველი მუჰაჯირობის ეპოქის ქართველ მუსლიმთათვის ნაკლებად ცნობილი იყო. შესაბამისად, ისინი მას არც გადასახლებაზე და არც გადასახლების შემდგომ - თითქმის არ იყენებდნენ. „სიტყვა, ქართველი აჭარის მაცხოვრებთათვის უცნობია და ისინი თავს მხოლოდ აჭარლებს ეძახიან, ხოლო თავის ენას - გურჯი ენას“, - წერდა დიმიტრი ბაქრაძე (ბაქრაძე, 1987:45), რომელმაც მუჰაჯირობამდე რამდენიმე წლით ადრე, 1874 წელს, იმოგზაურა სამუსლიმანო საქართველოში¹.

სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში, მუსლიმ და ქრისტიან ქართველებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ერთმანეთის შესახებ და

¹ მიუხედავად დიმიტრი ბაქრაძის ციტირებული ჩანაწერისა და საზოგადოდ, მე-19 საუკუნის ქართული პრესის არაერთი ცნობისა, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში, საკუთარი ვინაობის აღსანიშნავად, სიტყვა „ქართველის“ გამოყენების შემთხვევებს სავსებით და კატეგორიულად ვერ გამოვრიცხავთ (ამიტომაც ვამჯობინებთ ფორმულირებები - „ნაკლებად ცნობილი იყო“, „თითქმის არ იყენებდნენ“). ამ სიფრთხილის საფუძველს, უპირველესად, ისევ მე-19 საუკუნის პრესა და, მეტადრე, ზეპირსიტყვიერი მასალები გვადიხვს. აქ ვახსენებთ მხოლოდ ქართულად შედგენილი ძველი რელიგიური ტექსტის, „გურჯული ვაიზის“, პროფ. შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩაწერილ ვარიანტს (იხ. ფუტკარაძე, 1993: 271). ეს ვარიანტები მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო და საგანგებო კვლევას საჭიროებს. აქვე შევნიშნავთ, რომ „გურჯი ვაიზის“ სხვა ვარიანტებში სიტყვა „ქართველი“ არ არის ნახსენები. ერთი ასეთი ვარიანტი 2009 წელს ვიდეოფორზე ჩავიწერეთ შავშეთის სოფელ მანატბაში 84 წლის ნიაზ ჯიჯანიძისგან (იხ. აგრეთვე ფაღავა, 2013:193).

გარდა ამისა, პროფ თინა შიოშვილმა მოგვანოდა 2007 წელს კლარჯეთში ჩაწერილი ასევე ძველი რელიგიური ტექსტი, რომლის ვარიანტებიც ბევრგან დასტურდება და ცნობილია „ოჲ ყიამეთის“ ან „ყიამეთის დესტანის“ სახელით. კლარჯული ვერსია დიხანც იმსახურებს მრავალმხრივ ყურადღებას, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ჩვენს თემასთან დაკავშირებული ფრაგმენტის მოყვანით დავკმაყოფილდებით: „სიკვიდ ვერვინ გადურჩება, / იგიითი და ფირალები, / თათარ-ქართველი, ხონთქარი, / ხელმწიფე და ქიბარები. / ვერც ქართველი, ვერც თათარი, / ვერც და გობერნატორები / ვერც ავროპა გუდურჩება, ქუვეყნის იმპერატორები...“ (შდრ. ფუტკარაძე, 1993: 354, 358).

სწორედ ერის ტკივილიანი ისტორიის გამომხატველია მოგზაურთა და მეცნიერთა ჩანაწერებში დაფიქსირებული ფრაგმენტები: ერთი მხრივ, დიმიტრი ბაქრაძის ქართულით მოხიბლულ ადგილობრივ გლეხს უკვირს, ეს „რუსეთიდან“ მოსული ქრისტიანი ასე წმინდად და თავისუფლად რომ ლაპარაკობს გურჯულად (ბაქრაძე, 1987:45), მეორე მხრივ, სხვა მოგზაური, გიორგი ყაზბეგი (რომელმაც ასევე 1874 წელს იმოგზაურა თურქეთის საქართველოში) არის გაოცებული და გახარებული, ღორჯომელი ბავშვების ქართულს რომ გაიგონებს: „სოფელ ღორჯომში ჩასვლისას მსხვილი რქოსანი საქონლის დიდი ჯგუფი დავინახეთ. მწყემსებად პატარა ბიჭები ედგათ. ჩვენამდე ამოდოდა მათი ყივილ-ხივილი. ძალიან დავინტერესდი... პირველად ვხედავდი აქარლებს და ჩემ თავს ვეკითხებოდი: ნუთუ ერთმანეთს თურქულად ელაპარაკებიან მეთქი! ნუთუ აქარაში საქართველო გაქრა? ბოლოს ახლოს მივედი და... აღტაცებული დავრჩით - ბიჭები ქართულად ილანძღებოდნენ!..“ (ყაზბეგი, 1995:29).

ამ თემის და მსგავსი სურათების გამომახილი არც XX საუკუნის მიწურულისა და XXI-ს დასაწყისისთვის ყოფილა უცხო. განსაკუთრებით სასაზღვრო რეჟიმის ლიბერალიზაციის და საქართველო-თურქეთს შორის მიმოსვლის აღდგენის პირველ წლებში, როცა ორი ქვეყნის ქართველები თავიდან ეცნობოდნენ ერთმანეთს. თურქეთის ქართველობას, უმეტესწილად, რბილად რომ ვთქვათ, მეტად მწირი ინფორმაცია ჰქონდა ისტორიული სამშობლოს თანამედროვე ყოფაზე და აქ მცხოვრები თანამემამულეების ვინაობაზე. თავადაც არაერთხელ შევხვედრივარ სტუმრების ქართულით გაოცებულ ჩვენებურებს და მომისმენია მოულოდნელი კითხვები საქართველოს წარსულის და თანამედროვეობის შესახებ - ჭოროხის აუზშიც და მუჰაჯირთა შთამომავლებთანაც, მაგრამ გულწრფელ შთაბეჭდილებებზე ხაზგასმის მიზნით, აქ ერთი მახინჯაურელი ქალბატონის, ნუნუ ბერიძის ემოციურ მონათხრობს გავიხსენებ: როცა იგი, უფროს დებთან ერთად, 1989 წელს, პირველად ჩავიდა თურქეთში, ბურსის პროვინციაში მცხოვრებ ნათესავებთან - პირველი თაობის მუჰაჯირთა შთამომავლებთან, მოიხიბლა უფროსი თაობის გამართული ქართულით, მაგრამ იმაზე შეგუება კი გაუჭირდა, თურქეთელ ნათესავებს რომ უკვირდათ, - „ხედავ, ესენიც ჩვენებურად ლაპარაკობენო...“ გემლიქის რაიონის სოფელ ჰაიდარიეს გურჯებს ალაღად აოცებდათ „რუსიედან“ მოსულების ქართული...

და რახან სიტყვამ მოიტანა, გავიხსენებ (თანამდევნი ემოციითურთ) ცნობილი დრამატურგის ალ. ჩხაიძის ჩანაწერსაც: სოფელ ნუსრეთიეში (ქოჯაელის პროვინცია) იქაურმა გურჯებმა გულიანად უმასპინძლეს. ცხადია, სტუმარიც და მასპინძლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ. ალ ჩხაიძე იხსენებს:

„ერთი ყველაზე ღრმად მოხუცი, მთელი ორი საათი ჩემ წინ იჯდა, თვალგაშტერებით შემომცქეროდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, ხარბად ისმენდა ჩემს ყოველ სიტყვას, მხოლოდ შემდეგ, გარეთ რომ გამოვედი, ფოტოსურათები გადავიღეთ და გამომშვიდობება დავიწყეთ, მოვიდა ჩემთან, ხელი მკლავზე მომიჭირა და მკითხა:

- ჰაიდან იცი შენ ჩვენებური?!.

უცებ ვერ მივუხვდი ბერიკაცს, რას გულისხმობდა ამ სიტყვაში, „საიდან იცი ჩვენებური?!.“ ასე რატომ გაუკვირდა ჩემი ქართული?! ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაოცებული სახე, სიბერის ცრემლი რომ ჩასდგომოდა თვალის უპეებში...“ (ჩხაიძე, 1991: 52)

მაგრამ მივუბრუნდეთ XIX საუკუნის მიწურულს. იმხანად მუსლიმ ქართველებს „თათარს“, „თურქს“ ან „გურჯს“ უწოდებდნენ. „თათრობაში“ სარწმუნოება იგულისხმებოდა, „თურქობაში“ - ის სახელმწიფო, რომლის ქვეშევრდომებიც იყვნენ მანამ, სანამ ახალი ისტორიული ეპოქა დადგებოდა. „გურჯობაში“ - ეროვნება. „თათარიც“ და „თურქიც“ ამ შინაარსით მხოლოდ რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ დამკვიდრდა. თვით ქართველი მაჰმადიანები (მუჰაჯირად წასულებიც და დარჩენილებიც) სავსებით გაცნობიერებულად მიჯნავდნენ თავს თურქებისაგან და თანდათან, საქრისტიანო საქართველოსთან ინტენსიური ურთიერთობის კვალობაზე (აქ უკვე, ბუნებრივია, მუჰაჯირები აღარ იგულისხმება), „გურჯის“ და „ქართველის“ იგივეობასაც აცნობიერებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ეს განწყობა მკაფიოდ იკვეთება ახალი თაობის ქართველ მუსლიმებში. კერძოდ, ჰაიდარ აბაშიძე 1913 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში („სამწუხარო ჩვეულება“) მთელი თაობის გულისთქმას გამოხატავდა: „ქართველ მაჰმადიანს რომ ვინმე დაეკითხო - ვინა ხარო, ის უპასუხებს - „თათარიო“, და ძლიერ იშვიათია ისეთი პირი, რომელმაც უპასუხოს - „ქართველი მაჰმადიანო“, ის პირი, რომელიც ამბობს „თათარი ვარო“, შემცდარია, მაგრამ შემცდარია ის პირიც, ვინც ერთად ამბობს - „ქართველი მაჰმადიანო“, რადგან არ არის მიღებული, როდესაც ეროვნებაზე გეკითხებიან, სჯულიც დაუსახელო. მაგალითად ავიღოთ ჩვენი მოძმე ქართ-

ველი ქრისტიანი. იმას რომ ვკითხვით „ვინა ხარო“, ის ხომ არ გიპასუხებს „ქართველი ქრისტიანო“, არამედ მოკლედ გეტყვის - „ქართველიო“. და თუ სარწმუნოებაზე ჰკითხე, მაშინ კი გეტყვის - „ქრისტიანო“. საჭიროა, ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმაც, თუ ვინმე დაგვეკითხება - „ვინ ხარო“, ვუპასუხოთ - „ქართველიო“ და თუ სარწმუნოებაზე გვკითხეს - „მაჰმადიანო“. ჩემი აზრით, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, შეცდომით გვეძახიან „თათრებს“, მხოლოდ ეს შეცდომა ჩვეულებად, დიდად სამწუხარო მოვლენად, უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს ჩვეულება გვიკარგავს ჩვენს ეროვნულ სახეს, ჩვენს ქართველობას. ახლა კი, როდესაც ვიტყვით სიტყვა „ქართველს“, მაშინვე თვალწინ გვიდგება ქართველი ქრისტიანი და არა ქართველი მაჰმადიანი“ (აბაშიძე, 1963:57).

როგორც ვხედავთ, ჰაიდარ აბაშიძის გულისტკივილი თანამედროვე ეპოქისთვის საგულისხმო მინიშნებებსაც შეიცავს. რეალურად კი პუბლიკაციაში გამოხატული იყო სავსებით ობიექტური და სამართლიანი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის თუ საკუთარი ვინაობის მიმართ. ეს იყო ჭეშმარიტება, რომელიც, თანდათან, ყველას უნდა ეღიარებინა.

გაცილებით უფრო რთული ვითარება იყო თურქეთის ქართველობაში. მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი მკაცრად დაიგმანა და ქართველებს სავსებით მოესპოთ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება. თურქეთის ქართველებობას ისტორიული სამშობლოს შესახებ პრაქტიკულად არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა, კოლექტიური მეხსიერება თაობიდან თაობაში იშრიტებოდა.

ვფიქრობ, რომ ხსენებული თემაც იმსახურებს საგანგებო ყურადღებას და ფართო განსჯას. ამჯერად კი მხოლოდ რამდენიმე ფაქტის დასახელებით და ტენდენციაზე მინიშნებით შემოვიფარგლები. უპირველესად კი იმას შევნიშნავ, რომ თურქეთის ქართველთა ეროვნული მუხტის მატარებელი პუბლიცისტიკა გაჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1977 წელს ახმედ მელაშვილმა გამოსცა ჟურნალ „ჩვენებურის“ პირველი ნომერი. სამწუხაროდ, ეს წამოწყება ვერ იქნებოდა მასშტაბური და „ჩვენებურის“ არსებობის შესახებაც ბევრმა როდი იცოდა. ობიექტურად თუ ვიტყვით, დიდმა ნაწილმა ქართველებისა თვით საქართველოს შესახებაც არაფერი უწყოდა და მათთვის თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მხოლოდ რუსეთზე გადიოდა. ამ დიახაც ტრაგიკული რეალობის დამადასტურებელ ფაქტებს ხშირად ვაწყდებით დღესაც – როგორც მუჰაჯირებში, ასევე ჭორო-

ხის აუზის მოსახლეობაში; აგრეთვე, თურქეთის ქართველთა პუბლიცისტიკაში. აქვე შევნიშნავ, რომ ეს პუბლიცისტიკა სასურველზე გაცილებით მოკრძალებული მასშტაბისაა და მით უფრო დასაფასებელი.

ცნობილი ფაქტია, რომ თვით ახმედ მელაშვილი, სადღაც მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ახლოს, ქართული ანბანის შექმნას ცდილობდა ლათინურის საფუძველზე: მაშინ მან არ იცოდა, რომ ქართველებს მრავალსაუკუნოვანი დამწერლობა გვქონდა.

უფრო გვიანდელი ისტორია გვიამბო ქლასკურელმა რ. ათანოღლიმ: „პატარა ვიყავი, რადიოში ქართული ლაპარაკი დავიჭირე შემთხვევით, სახლში გოცელები მივედი. მაშინ მითხრა მამამ, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა - საქართველო!“ – ეს დაახლოებით 70 ან 80-იანი წლების ისტორიაა და დამახასიათებელი ამბავია ჭოროხის ხეობისთვის. იმასღა დავამატებ, რომ ქლასკური კლარჯეთის, კერძოდ, ისტორიული ნიგალის ერთ-ერთი ხეობათაგანია და ათანოღლის სახლიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე ათიოდე კილომეტრი თუ იქნება...

რახან ქლასკური ვახსენე, შენოლ თაბანის პუბლიცისტიკის ერთ ფრაგმენტსაც უნდა შევეხო: შენოლიც ქლასკურში დაიბადა. ქლასკური მექართულე სოფელია და ისიც ბავშვობიდანვე ფლობდა წინაპართა ენას. სწავლობდა ქლასკურში, ბორჩხაში, სტამბოლში... „წლები ერთმანეთს მიჰყვებოდა, – წერს იგი ერთ-ერთ წერილში, – ბუღალტრობას თავი დავანებე და საგამომცემლო საქმიანობას მოვკიდე ხელი. ქართველი რომ ვარ, მაშინ არ ვიცოდი...“ (თაბანი 2007: 41) – ესეც 70-იანი წლების ამბავია და შენოლ თაბანი იმ დროს უკვე სტამბოლში ცხოვრობდა (ჩოხარაძე 2015 (III): 153).

ამდენად, თურქეთის ქართველებში ეთნონიმ „ქართველის“ ინტენსიური დამკვიდრება, მეტადრე საკუთარი ვინაობის გამოხატვა ამ სიტყვით, - გვიან, XX საუკუნის მიწურულს დაიწყო. ვერ ვიტყვით, რომ პროცესი დასრულებულია. თვითშემეცნების ზოგიერთი საკითხს სხვაგანაც შევეხებით და ამ საკითხზე მრავალგზის მიბრუნებაც ღირს, მაგრამ გასაკვირი არაა, რომ, რიგი ობიექტური გარემოებების გამო, ხალხში უმეტესწილად ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენაა საქართველოსა და მის ისტორიაზე, შესაბამისად, საკუთარ ვინაობაზეც. ცხადია, ვერც იმას უარყოფთ, რომ უკანასკნელი წლების გაცხოველებულმა ურთიერთობებმა გარკვეული ტენდენციებიც განსაზღვრა და ამ ტენდენციების საფუძველი ცნება „ქართველის“ და, ამ ცნებაზე დაფუძნებით, საკუთარი ვინაობის შეცნობის პროცესია. ანუ უკვე ბევრისთვის

სიტყვას - „ქართველი“- ადარ სდევს „უცხოს“ განწყობა. მრავალი თურქეთელი თანამემამულისთვის „ქართველი“ თანაბრად აღნიშნავს როგორც ქრისტიან, ასევე მუსლიმ ქართველს. მოკლედ, ჰაიდარ აბაშიძის მიერ საუკუნის წინ ჩამოყალიბებული, ზემოთ ხაზგასმული ერთ-ერთი მყარი საყრდენი ეროვნული თვითშეგნებისა („საჭიროა ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმაც, თუ ვინმე გვეკითხება, „ვინა ხარო“, ვუპასუხოთ, - „ქართველიო“, და თუ სარწმუნოებაზე გვეკითხეს, - მაჰმადიანიო“) დღეს მრავალი თურქეთელი ქართველის მიერ მიღებული და გაზიარებულია.

რაც შეეხება „გურჯს“, ბუნებრივია, თურქეთის ქართველობაში - როგორც ისტორიული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში, ასევე შიდა პროვინციებში მცხოვრები მუჰაჯირების შთამომავლებში - ეს სიტყვა უფრო ინტენსიურად გამოიყენება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ქართველის“ აღმნიშვნელი ეს სპარსულ-არაბული წარმომავლობის ტერმინი თურქეთში ადრევე დამკვიდრდა და ქართველები გურჯებად, საქართველო კი - გურჯისტანად იწოდებოდა. თანდათან იგი ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ქართულ მეტყველებაშიც დამკვიდრდა და ნაციონალური ვინაობის გამომხატველ ზოგად ტერმინად იქცა. მართალია, შეიძლება დავუშვათ, რომ ზოგჯერ, გარკვეულ პირობებში ეს სიტყვა ვიწრო მნიშვნელობით, მხოლოდ მუსლიმ ქართველებზე მიანიშნებდა, მაგრამ რეალურად იგი თითქმის არასდროს გულისხმობდა მაინცდამაინც და მხოლოდ მუსლიმ ქართველს. ოსმალეთში, საიდანაც, როგორც ვთქვით, დამკვიდრდა ეს სიტყვა სამხრეთელი ქართველების მეტყველებაში, გურჯისტანი ერქვა საქართველოს და გურჯი - ქრისტიან ქართველსაც. ამდენად, ნებისით თუ უნებლიეთ, თვით ოსმალთ - ქრისტიან და მუსლიმ ქართველს ერთ ორგანიზმად, ერთ მთელად, ერთი ერის წარმომადგენლად მიიჩნევდა. რაც შეეხება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას, ბევრგან შეიძლება გაიგონო, რომ თანამედროვე საქართველოში ცხოვრობენ „ქრისტიანი გურჯებიც და მუსლიმი გურჯებიც“.

რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლებისთვის „გურჯის“ ცნებაში ქრისტიანი ქართველის მყარად მოქცევაც (მაინც შევნიშნავთ, რომ არა ყოველთვის და არა ყველასთვის) უკანასკნელი წლების ინტენსიური ურთიერთობების, საქართველოს შესახებ, ასე თუ ისე, ობიექტური ინფორმაციის გავრცელების შედეგია.

მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთელ ქართველთა „გურჯის“ თვით ყველაზე ფართო მნიშვნელობაც კი არ ემთხვევა რეალური „ქართველის“ ცნე-

ბას. თუნდაც იმიტომ, რომ მუჰაჯირთა შთამომავლის თუ შავშ-კლარჯის „გურჯი“ არასდროს გულისხმობს „ლაზს“ (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დღემდე არ დაგვიფიქსირებია მსგავსი რამ, თუ არ ჩავთვლით იმ იშვიათ გამონაკლისებს, როცა მეტ-ნაკლებად განათლებული და გათვითცნობიერებული თურქეთელი ქართველები საგანგებო განმარტებებს იძლევიან ლაზების ვინაობის შესახებ).

ჩვენც, უპირველესად, მონაცემების სისტემატიზაციის გაადვილების მიზნით, ვეყრდნობით რა თვითდასახელებას, ამ წიგნში, როდესაც ვიყენებთ სიტყვას „გურჯი“, ვგულისხმობთ მხოლოდ იმ ქართველებს, რომელთა სალაპარაკო ენა არის (ან იყო) ქართული.

რაც შეეხება ცნებას „ჩვენებური“ - ფაქტია, რომ იგი ფართოდაა დამკვიდრებული თურქეთის ქართველთა მეტყველებაში, როგორც ჩანს, თავიდანვე. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „ჩვენი მხრისა, ჩვენი ქვეყნისა“ (ქეგლ II, 1990:1155). სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა (და გამოიყენება) თურქულ ქართველებში ხსენებული სიტყვა. თუმცა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ მივანიშნებთ სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების დინამიკაზე. ალბათ, ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ახმედ მელაშვილმა ეს, ასე ვთქვათ, შინაური მოხმარების სიტყვა ჟურნალის სახელწოდებისთვის გამოიყენა, რამაც მისი მეტაფორიზება თუ არა, „ქართველის“ სინონიმამდე გაფართოება გამოიწვია.

რაც შეეხება ლაზებს, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის შიდა პროვინციებში მცხოვრებ ლაზთა ნაწილი 1877-78 წლების ომისშემდგომი მუჰაჯირების შთამომავლებია.

როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ზღვისპირა საზღვარი ლიმანსა და ხოფას შორის მოექცა - კოფმიშთან. ჩხალის ხეობა, სარფი, მაკრიალი და ლიმანი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, დანარჩენი ნაწილი ლაზეთისა - თურქეთს დარჩა. ბუნებრივია, მუჰაჯირობის პირველი ტალღა სწორედ რუსეთის ფარგლებში მოქცეული ტერიტორიის მოსახლეობას შეეხო. განსაკუთრებით, როგორც ჩანს, ჩხალის ხეობას. ყოველ შემთხვევაში, მარმარილოს ზღვის რეგიონში არაერთი სოფელი ვნახეთ ჩხალელი მუჰაჯირებისა. რაც შეეხება სარფი-მაკრიალის მონაკვეთს, ისინი, ჩხალის ხეობის ლაზებისგან განსხვავებით, მუჰაჯირად არ წასულან. ასე ამბობენ თავადაც და მართლაც იშვიათად წააწყდები სარფელთა კვალს მუჰაჯირთა

შორის: მხოლოდ დუზჯეს პროვინციის აქჩაკოჯას რაიონში ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი მელენი (გალმა) სარფიდან (ჩოხარაძე 2015 (II): 214).

პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო მოქმედებათა ასპარეზი სამხრეთ საქართველოც იყო. 1914 წლის 30 ოქტომბერს ოსმალებმა, ერთი მხრივ, ზღვის სანაპიროს გასწვრივ შეუტყეს (ლიმანი-მაკ-რიალი-გონიოს მიმართულებით), მეორე მხრივ, ართვინის ოკრუგში, - მურღულისა და ჩხალის ხეობით. პირველ ეტაპზე მათ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და სამუსლიმანო საქართველოს რუსული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი დაიკავეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც სარიყამიშის ოპერაცია (1914 წლის დეკემბერი) ოსმალთა მარცხით დამთავრდა, ბათუმის ოლქშიც შეიცვალა ვითარება. რუსების კონტრშეტევის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ზღვის სანაპირო იყო. 2015 წლის 15 თებერვალს ზღვისპირეთის რაზმმა ბრძოლით დაიკავა ხოფა, 2 მარტს კი არჰავე (სიორიძე, 2002: 83). ტრაპიზონის აღების შემდეგ (1916 წელს) კი რუსულმა არმიამ ტრაპიზონს იქით, ტირებოლუს (Tirebolu) მიაღწია და მდინარე ჰარშით ჩაისთან შეჩერდა. ხსენებულ მოვლენას მოჰყვა სწორედ მუჰაჯირობის საკმაოდ ფართომასშტაბიანი ტალღა შავიზღვისპირეთში (ოზთურქმენი, 2010: 27). ომის დასრულების შემდეგ წასულთა ნაწილი დაბრუნდა, ნაწილიც ახალ საცხოვრებელს შერჩა.

ცნობილი ფაქტია, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები, მათ შორის, ცხადია, მუჰაჯირთა შთამომავლები, იშვიათი შემთხვევების გარდა, თავს ქართველი ერის ნაწილად არ მიიჩნევენ. საზოგადოდ კი, თურქეთში მცხოვრები ქართველები (საკუთრივ ლაზების ჩათვლით), უმეტესად, ლაზებს ქართველების ახლო ნათესავ, მაგრამ დამოუკიდებელი ნაციონალიზმის ხალხად მიიჩნევენ. სოფელ ჰილმიეს (ინეგოლის რ-ნ.) მკვიდრი ქართველის ნურეთინ ჰაზერის ფორმულირებას თუ გამოვიყენებთ, „ჩვენ ერთი ძირი გვაქვს“. პროცენტული მონაცემები, ჭეშმარიტებასთან თუნდაც მახლობელი სტატისტიკა - მოსახლეობის რა ნაწილი ფიქრობს ასე - არ არსებობს და ვერც იარსებებს, მაგრამ ის კი ნათელია, რომ საზოგადოდ „ქართველობასთან“ დამოკიდებულება, უფრო ზუსტად, საკუთარი ეთნიკურ-კულტურული ვინაობის შეგნება თურქეთელ ლაზებში არ არის ერთგვაროვანი. შესაბამისად განსხვავებულია „ქართველობისგან“ საკუთარი ვინაობის დისტანცირების ხარისხიც. ნაწილი (როგორც ჩანს, უმრავლესობა) რომ ქართველთა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ეროვნებად მიიჩნევენ თავს, უკვე აღვნიშნეთ, გარდა ამისა, თურქეთელი ლაზების ნაწილი გამორიცხავს ქართველებთან ნათესაობას და ასევე

დამოუკიდებელ ეროვნებად მიიჩნევს თავს, ნაწილიც ლაზს თურქის სახეობად მიიჩნევს. აღარაფერს ვამბობ პირწმინდად ასიმილირებულ ჯგუფებზე (იხ. აგრ. ფუტკარაძე... 2012: 209).

თვით გურჯები ლაზებს ძირითადად თვითშემეცნების, მშობლიურ ენასთან დამოკიდებულების, ყოფის და კულტურის თავისებურებების გათვალისწინებით, ორ ჯგუფად ჰყოფენ. ლაზურის მცოდნეებს (ჩხალის, ხოფის, არჰავის, არდაშენის... ლაზებს) „ჩვენ ლაზებს“, „მოხტი (ან „ქომოხტი“) ლაზებს“, „ჭანებს“ უწოდებენ. (შეიძლება ვისაუბროთ ე.წ. ჯგუფს შინა დიფერენციაციაციეც, ანუ ქვეჯგუფებზე წინაპართა საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი თანამოსაუბრე „ქომოხტიში“ მხოლოდ ჩხალელებს, ან საზოგადოდ, მუჰაჯირთა პირველი ტალღის ლაზებს გულისხმობდა. ამ შემთხვევაში „ჭანის“ გეოგრაფია უფრო ფართო იყო) და მიჯნავენ ტრაპიზონელი, ოფელი თუ რიზელი ლაზებისგან, რომელთაც ლაზური არ იციან (საუბრისას, თურქულის გავლენით, გამოთქვამენ როგორც „ტრაპზონლი“, „ოფლი“ ლაზები...).

საინტერესოა ლაზების გურჯებისეული სახელდება „მოხტი“ („ქომოხტი“). მოხტი ლაზურად ნიშნავს „მოდი“ (მოხთიმუ - მოსვლა; „ჰაქმოხთი“ - „აქ მოდი“ - თანდილავა, 2013:533). პირად საუბარში პროფ. ომარ მემიშიშის განმარტებით, ქო/ჰო მტკიცებითი ნაწილაკია, ქართულში მისი ეკვივალენტი კუთხური ქე<ქეე. ქო/ჰო ნაწილაკი ხშირად ზმნისწინთან ერთად ერთვის ზმნას ფონეტიკური ვარიანტებით (ქე, ქა, ქუ, ქი), რომელიც სრულ ასპექტს განარჩევს უსრულისგან „მოხთი - ქო/ჰო მოხთი“ („მოხტი - ქო/ჰო მოხტი“) - „მოდი, ქე - მოდი“.

ქო/ჰო ნაწილაკი ცალკე იხმარება კითხვა-მიგების დროს (კი, დიახ).

ლაზების გარკვეული ნაწილის ვინაობის აღსანიშნავად „ქომოხტი“ შინაური საუბრისას გამოიყენება. სიტყვის მნიშვნელობითს გაფართოება გურჯების და ლაზების ინტენსიური ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, გურჯების ცნობიერებაში მკაფიოდ აისახებოდა ლაზების მეტყველებაში ხშირად გამეორებული სიტყვები „მოხტი“, „ქომოხტი“, რომელიც მსგავსი მნიშვნელობის ქართული სიტყვის ასოციაციასაც აღძრავდა. შესაბამისად, დროთა განმავლობაში, ეს სიტყვები ზოგადად ლაზთა ვინაობასთან გაიგივდა.

როგორც აღვნიშნეთ, „მოხტილაზობის“ ერთ-ერთი ფაქტორია ლაზურის ცოდნა. „თუ ლაზურად ლაპარაკობს, მოხტილაზს ვეტყვი“ - ამბობენ ჩვენებურები. ამ შემთხვევაში ახლო ურთიერთობისთვის მეტი საფუძველია: „ლაზ-

მა (თავისი) ენა რომ იცის, ჩვენ ენაზე მიყოლილია, პაწას ენასაც ვგებულობთ, მასთან მოვეწყობით (შევეწყობით)”. შესაბამისად, იმასაც გაიგონებ, რომ „ჩვენ და ლაზები ძალიან ახლობლები ვართ, ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც გამოვდივართ ერთმანეთისა”. გურჯების თქმით, „მოხტილაზი ჰემ კადა ლაზია, ჩვენთან ახლო კულტურა აქვთ. ჩვენ ძირი ერთი გვაქ”.

რაც შეეხება მშობლიურ ენადაკარგულ („ტრაპზონლი“, „ოფლი“, რიზელ...) ლაზებს, ამ შემთხვევაში „ლაზი“ შავიზღვისპირელს, ლაზების ისტორიულ საბინადროში მცხოვრებს უფრო აღნიშნავს, ვიდრე ეთნიკურ ვინაობას. ყოველ შემთხვევაში, შუყეებ ჯიჯავაძემ გემლიქის რაიონის სოფელ ჰაიდა-რიედან, გაგვიმარტა, რომ „ტრაპზონლი - ლაზი არაა, ჰამა ამბობენ, - ლაზები ვართო. ქომოხტი ლაზები მაგრები არიან და იმათზე დამგვანება უნდათ. სინამდვილეში რუმები (ბერძნები) არიან”.

რასაკვირველია, მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველებზე საუბრისას სიტყვა „ლაზსაც“ ვიყენებთ. ამ შემთხვევაშიც ვეყრდნობით თვითდასახელებას და ისევ და ისევ მონაცემების სისტემატიზაციის გაადვილების მიზნით, ვმიჯნავთ „ლაზს“ „გურჯისაგან“ და ვგულისხმობთ მხოლოდ იმ ქართველებს, რომელთა სალაპარაკო ენა არის (ან იყო) ლაზური.

ამოდენა ტერიტორიაზე დარჩენილია ქართული ენის მხოლოდ ხუთიოდ კუნძული - ოთხმოცამდე სოფლით...

კლარჯეთში ქართული ენის პირველი პუნქტი საქართველო-თურქეთის საზღვრით გაყოფილი სოფელი მარადიდია, რომლის თურქულ ნაწილს მურათლის უწოდებენ. აქედან მოყოლებული თითქმის ართვინამდე ქართული ენა ისმის ჭოროხის ორივე ნაპირზე - მიმდებარე ხეობებითურთ. ბოლო ქართული სოფელი მარჯვენა ნაპირზე ახალდაბაა, მარცხენაზე - ომანა.

კლარჯეთის განაპირას, ტაოს საზღვართან კიდევ ერთი ქართულენოვანი სოფელია, **ბინათი**. იგი ტაოსა და კლარჯეთის პირობითი საზღვრის მიდამოებშია - მელოს, ხოდის, ჭიმჭიმის მახლობლად. ჭოროხის აუზის ამ სექტორში ქართული ენა აღარ ისმის, მაგრამ ჩამოთვლილ სოფლებში დღემდე ახსოვთ თაობა, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა. რაც შეეხება ბინათს, იგი აქაურობაში ერთადერთი ქართულენოვანი კუნძულია, რაც მნახველისთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა.

მაჭახელში ექვსი ქართული სოფელია და ამ სოფლებში მშობლიური ენა შედარებით უმცროსმა თაობამაც იცის.

ტაოში, როგორც ვთქვი, სამი ქართული სოფელია პარხლის აუზში: ხევაი, ქობაი და ბალხი, თავიანთი მრავალრიცხოვანი მეჰელებით, ანუ უბნებით.

შავშეთში ქართულენოვანი სივრცე იმერხევისწყლის ხეობაა. აქ მხოლოდ ხეობის ზედა წელზე - დიობანსა და წყალსიმერში დავიწყებიათ ქართული, ასევე, ყვირალას ხეობაში, სადაც არც მე-19 საუკუნეში იყო სახარბიელო მდგომარეობა. ქართულად ლაპარაკობენ ასევე მეზობელ ხეობებში - უსტამისსა და ჩიხისხევში.

სხვაგან ქართული ენა აღარ ისმის. თუმცა, ზოგან იხსენებენ ძველ თაობას, რომელიც წინაპართა ენაზე მეტყველებდა.

ლაზურად ლაპარაკობენ ართვინის პროვინციის ხოფისა და არჰავის რაიონებში. ასევე, რიზეს პროვინციის ფინდიქლის, არდეშენის და ფაზარის... რაიონებში. ტოპონიმები კი უფრო ვრცელ ტერიტორიაზე ინარჩუნებენ ქართველურ კვალს...

რაც შეეხება მუჰაჯირთა შთამომავლებს, როგორც აღვნიშნეთ, შავიზღვისპირეთში ქართველთა კომპაქტური დასახლებებია ამასიის, დუზჯეს, ორდუს, სამსუნის, სინოპის, თოქათის და სხვა პროვინციებში. ყველაზე მეტი - ორდუს პროვინციაშია. რაც შეეხება სოფლებს, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მათგანი მთლიანად ჩვენებურებითაა დასახლებული, ზოგშიც ორიოდ ოჯახი

თუა ქართველებისა. ორდუს პროვინციაში სულ 22 რაიონი ანუ ილჩეა. ჩვენებურთა ყველაზე მეტი სოფელი ჯერ უნიეს და შემდეგ ფაცას ილჩე-შია. გარდა ამისა, მრავალი სოფელია ქუმრუს, იქიზჯეს, ჩაიზაშის, ქორგანის, ფერშემბეს, გურგენტეფეს, გოლქოის, ულუბეის, ქაზადუზის, საკუთრივ ორდუს და სხვა რაიონებში.

როგორც სათაურშივე მივუთითეთ, ჩვენ მხოლოდ ქართული ენის გეოგრაფიას ვეხებით, ანუ იმ დასახლებებს, სადაც ქართული ენა ჯერ კიდევ ისმის. გაცილებით ფართოა ქართული წარმოშობის მუჰაჯირთა განსახლების სივრცე. სასურველი სიზუსტით მათი აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც ვცდილობთ ასეთი დასახლებათა შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას. მარმარილოს ზღვის რეგიონის სოფლების შესახებ ნაშრომის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ, აქ კი რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს დავასახელებთ სხვა რეგიონებიდან და, მაგალითისთვის, შედარებით ფართოდ შევჩერდებით სოფელ ორთაიაზიზე.

დიარბექირის პროვინციის ერგანის რაიონის სოფელი ორთაიაზი მუჰაჯირობის ჟამს შავშეთიდან წასულთა დასახლებაა. ეს სოფელი დიარბექირი-ჩერმაქის გზის მე-8 კილომეტრზე მდებარეობს. აქაურებიც რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ წასულან რუსების შიშით ახალდაბიდან და შავშეთის სხვა სოფლებიდან. ნიშანდობლივია, რომ ზაქარია ჭიჭინაძე მიუთითებს - ახალდაბიდან 8 ოჯახი გადასახლდაო (ჭიჭინაძე 1913:140). თუმცა სხვაგან აღნიშნავს, რომ თავდაპირველად 100 კომლი გაიხიზნა, მაგრამ უკან დაბრუნდნენო (ჭიჭინაძე 1912:287).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ცნობები ახალდაბელების შესახებ ბევრი რამით არის გამორჩეული და საინტერესო. ადგილობრივთა გადმოცემების შეჯერების საფუძველზე, ზ. ჭიჭინაძე გვაუწყებს, რომ ახალდაბელები ისლამის დიდი ერთგულებით გამოირჩეოდნენ სხვა შავშელთაგან, მუჰაჯირობის ჟამსაც სხვებზე მეტად აქტიურობდნენ, შესაბამისად, ბევრი აყრილა და წასულა.

„გავიდა ხანი და ერთ დღეს ახალდაბელი ქართველ-მაჰმადიანები შავშეთს ისევ არ ეწვივნენ! - მოგვითხრობს ზაქარია ჭიჭინაძე, - შავშელები სახტად დარჩენ ამათი მოსვლით და ჰკითხეს, კაცო, რათ დაბრუნდით, ჩვენც იქით ვაპირებთ წამოსვლასო. მათ მიუგეს: ღმერთმა ნუ ჰქმნას, ჩვენ ერთი წელიწადი ვიარეთ, ვეთრიეთ, მაგრამ შავშეთის მსგავსი იქ ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთ და ამიტომ ისევ აქეთ დავბრუნდით; ღმერთმა ნუ ქნას, რომ

ჩვენთაგანი იქით ვინმე წავიდეს; აქ დახოცვა უნდა ვირჩიოთ იქ ცხოვრებას და სიხარულს, ამის ფასს ჩვენ იქ ვერაფერს ვპოვებთო...” (ჭიჭინაძე 1913: 287)

ამ ისტორიაში წლების განმავლობაში მოგონილ-დამატებულის არსებობა-ცაა მოსალოდნელი, მაგრამ სიმართლის მარცვლებიც რომ იქნება გაბნეული, საკამათო არ უნდა იყოს. ვინ იცის, იქნებ სიცხიან-უდაბნოიანი დიარბეჭირის ხრიოკმა მონატრა მაშინ მუჰაჯირებს მწვანეში ჩაფლული შავშეთი. ყოველ შემთხვევაში, იმ ძველ და ახალ ისტორიას შორის რაღაც იდუმალ კავშირზე საუბარი შეიძლება.

ორთაიაში მთებს შორის, ხეობაში მდებარეობს. შავშელეები შემთხვევით მოხვედრილან აქ, გზის ძებნისას. ერთი ეული თუთის ხე მდგარა მხოლოდ და ამ ხის „ხათრით“ გააშენეს სოფელი ჩვენმა წინაპრებმაო, - ამბობენ აქაურები. ეს თუთის ხე თითქოს დღესაც დგას, მაგრამ ქართველებს ხრიოკი მიწა ბაღნარად უქცევიათ. ორთაიაში სხვა, ადგილობრივთა, სოფლებისგან უპირველესად იმით განირჩევა, რომ აქ უამრავი ნარგავია.

თუ შავიზღვისპირეთის შავშ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში (მაგ. ორდუს პროვინციის გოლქოის რაიონის სოფ. დუვაფინარი, თოქათის პროვინციის ნიქსარის რაიონის სოფელი უსთაჰასანი და სხ.) ძველი სახლები, ძირითადად, ხისაა, ტიპური შავშური არქიტექტურის, ორთაიაში ქვის სახლებია, ძირითადად, ორსართულიანი. უფრო იმიტომ, რომ ამ მხარეში ხის მასალა ნაკლებად მოიპოვება.

ახალდაბელებს ზოგი მიკროტოპონიმი ქართულის გავლენით შეუქმნიათ, შეუნარჩუნებიათ შავშური კერძები. შავშეთში ცნობილ ზოგიერთ ცეკვას აქაც ცეკვავენ. წერა-კითხვა (ცხადია, თურქული) ყველამ იცის. ბევრია უმაღლესი განათლებით (Bisonidze 2000: 38).

ქართული ფესვები რომ აქვთ, იციან, თუმცა, წინაპრების ენაზე ვეღარ ლაპარაკობენ. ხსოვნა ქართული ენის ცოდნის შესახებ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი ავტორის ცნობით (ჭიჭინაძე 1913:294), მე-19 საუკუნეში ახალდაბაში ჯერ კიდევ იცოდნენ ქართული (დღეს არ იციან) და მოსალოდნელია, რომ პირველი თაობის მუჰაჯირები სწორედ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ახლომახლო სხვა ქართული დასახლება არსადაა და ორთაიაზელ შავშთა მიერ ენის დავიწყების ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ესეცაა, თუმცა, როგორც აღვნიშნე, შემოუნახავთ ბუნდოვანი ხსოვნა ფესვების, ქართველი წინაპრების შესახებ, მსგავსად შავშეთში მცხოვრები ახალდაბელებისა... (ჩოხარაძე, ქესქინი, 2013: 133).

თურქი ავტორის ულქუ ონალის მიხედვით, ჭოროხის აუზიდან გახიზნულ მუჭაჯირთა შთამომავლების სოფლებია ადანას, ანკარის, კონიას, იოზგათის, მალათიას პროვინციებში (Önal 2010: 25-28). ანკარაში, გოლბაშის ილჩეს სოფ. ორენჯიქში (Örencik) არტანუჯელები ცხოვრობენ, ძირითადად, ლონგოთხევიდან; ადანაში, თუფანბეილის ილჩეს სოფ. შარქოი (arköy) და საიმბეილის ილჩეს სოფ. ავჯიფინარი (Avcıpınar) კლარჯეთიდან, სოფელ ხოდის მიდამოებიდან გადასახლებულთა საბინადროა. შესაძლოა, მუჭაჯირთა შთამომავლები ცხოვრობდნენ ჯეიჰანის და იურედირის ილჩეებშიც. კონიას პროვინციაში მუჭაჯირთა შთამომავლების დასახლებაა ჩუმრას ილჩეს სოფ. ბეილერჯე (Beylerce), იოზგათის პროვინციაში - ჩექერეკის ილჩეს სოფელი თიფიდერესი (Tipideresi), სადაც არტანუჯელები (გოლეშენი, ლონგოთხევი...) ცხოვრობენ. ართვინელ მუჭაჯირთა შთამომავლების დასახლება მალათიას პროვინციის დოღანშეჰირის ილჩეშიც უნდა იყოს.

მოცემული ინფორმაცია მხოლოდ მცირე დეტალებია ზოგადი სურათისა. თურქეთი უზარმაზარი ქვეყანაა, ჩვენი შესაძლებლობები კი შეზღუდულია და ჯერჯერობით, დიდი ინტერესის მიუხედავად, ყოველთვის როდი ვახერხებთ არაქართულენოვან სოფლებში (ცხადია, ვგულისხმობთ ჭოროხის აუზიდან გახიზნულთა შთამომავლების დასახლებებს) მუშაობას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ნაშრომის ამ თუ სხვა მონაკვეთებში წარმოდგენილი ფრაგმენტებიც სასარგებლო იქნება საერთო სურათის რამდენადმე მაინც სრულყოფისთვის.

4. მშობლიური ენა თურქეთის ქართველებში და თვითშემეცნების ზოგიერთი საკითხი

მშობლიურ ენაზე თურქეთის ქართველთა მეტყველების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ: ა) საგრძნობლად გადარიბებულია ლექსიკა; ბ) ლექსიკაში გაზრდილია თურქიზმების წილი; გ) იშვიათად შეხვდები ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენა რომ იცოდეს: საშუალო და უმცროსი ასაკის ყმაწვილებმა აღარ იციან ქართული.

ენადავიწყებულთა სოფლებში, ჭოროხის აუხსა თუ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის, ზოგან კარგად უწყიან, გურჯი წინაპრები რომ ჰყავდათ, ზოგან მხრებს იჩეჩენ, ზოგანაც ცივად უარყოფენ ქართულ ფესვებს. სახელმწიფო იდეოლოგია და ასევე საუკუნეთა განმავლობაში თაობათა ცვლის პროცესი განაპირობებს მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებსაც.

ქართულად, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის ყველგან მხოლოდ უფროსი თაობა ლაპარაკობს. მიზეზად ყველაზე ხშირად იმას ასახელებენ, რომ ქართული ენის საარსებო სივრცე შევიწროებულია და პრაქტიკული აუცილებლობა არ არსებობს. გარდა ამისა, პერიოდი, როცა ქართული ენა სასტიკად იდევენებოდა, ყველამ გაიარა და შედეგი ყველაფრისა გახლავთ ის, რომ 40-50 წლის შემდეგ ქართულ სოფელში წინაპართა ენის მცოდნე თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნება.

ქართულის დევნას რაც შეეხება, კლარჯეთში თუ მუჰაჯირების შთამომავლებში საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან ხშირად მოისმენ, რომ სკოლაში ქართულად ლაპარაკს კატეგორიულად უშლიდნენ. ქართულად მეტყველი სასჯელს ვერ აიცილებდა (ზოგჯერ მეტად მკაცრ სასჯელსაც. მაგალითად, შეშას გააპობდნენ და „დამნაშავეს“ ნაპობში ენას ჩააყოფინებდნენ, ან ნემსით „მონიშნავდნენ“ და ა.შ. - კუთხეში დაყენებასა და მშობლების სკოლაში დაბარებაზე აღარაფერს ვამბობთ...). ამ ტენდენციას ზოგჯერ ოჯახებშიც უწყობდნენ ხელს: სახელმწიფო ენის გამართულად ფლობა თვითდამკვიდრების აუცილებელი პირობაა ნებისმიერ საზოგადოებაში. ქართულ ენაზე ლაპარაკის აკრძალვას პრაგმატული მიზანიც ჰქონდა: პატარებს თურქული უნდა აეთვისებინათ სრულფასოვნად. მერე და მერე დაშლაც აღარ იყო საჭირო, პროცესი გაღრმავდა და ტენდენციამ ისე მოიკიდა ფეხი, გარედან ჩარევა აღარ სჭირდებოდა.

ენის დავიწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე გარემო და ცივილიზაციის მონაპოვრები: სოფლის ოჯახებშიც თითქმის აღარ არსებობს იდილიური საღამოები, მშვიდი ხელსაქმე და ძველებური „ხებრები“, ზღაპრები და გაზღაპრებული ისტორიები წინაპართა შესახებ, ნადი და შაირები...

ეს ყველაფერი ტელევიზორმა თუ კომპიუტერმა ჩაანაცვლა. წინაპართა ენასთან ცოცხალი ურთიერთობისათვის ამათი გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ სურვილი ნაკლებად არსებობს.

რამდენიმე წლის წინ, ძირითადად, ჭოროხის აუზში განხორციელებული კვლევების საფუძველზე, ქართულ ენასთან და საკუთარ ვინაობასთან, ქართველობასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ვცადეთ თურქეთის ქართველობის რამდენიმე ჯგუფად დაყოფა (იხ. ჩოხარაძე, 2009 (I): 89; ჩოხარაძე, 2009 (II): 111; ჩოხარაძე 2015 (I): 153). ცხადია, დაყოფა პირობითია, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა (რაოდენობრივ მიმართებებზე საუბარი ძნელია, თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამ თვალსაზრისით ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებია). კერძოდ, ეს ჯგუფებია:

- I. ქართულ ენას ფლობენ, საკუთარ ვინაობას განასხვავებენ თურქეთის სხვა ეროვნებათაგან. ქართველობა მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულება და სიამაყის საფუძველია;
- II. ქართულ ენას ფლობენ, გურჯები რომ არიან, იციან, გურჯსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც მიჯნავენ ერთმანეთისაგან, მაგრამ როგორც სახელმწიფოს ერთგული ქვეშევრდომები, თავს თურქებად მიიჩნევენ. გურჯობა მათთვის გარკვეული ღირებულებაა;
- III. ქართულ ენას ფლობენ, თავს გურჯად მიიჩნევენ, მაგრამ ზოგჯერ „გურჯი“ „თურქის“ სახეობა ჰგონიათ. ქართველობა, როგორც ღირებულება, მათთვის არსებობს, თუმცა ეს გრძნობა რამდენადმე მინავლებულია;
- IV. ქართულ ენას არ ფლობენ, მაგრამ გურჯებად მიიჩნევენ თავს და ამით ამაყოფენ. ინტერესდებიან წინაპართა სამშობლოსა და საკუთარი წარმომავლობის ისტორიით;
- V. ქართულ ენას არ ფლობენ, იციან, რომ ქართული წარმომავლობისანი არიან, თუმცა თავს თურქებად მიიჩნევენ. ქართული

წარმომავლობა, როგორც ღირებულება, მინავლულია, მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე;

VI. ქართულ ენას არ ფლობენ, დავიწყნიათ ქართული წარმომავლობის შესახებაც, თუმცა ზოგჯერ შეიძლება შესაძლებლად მიიჩნიონ, გურჯი წინაპრები რომ ჰყავდათ. ეს შესაძლებლობა მათთვის თითქმის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ბუნებრივია, თავს თურქებად მიიჩნევენ;


VII. არც ქართულ ენას ფლობენ და არც ქართული წარმომავლობის შესახებ იციან რაიმე. თურქებად მიიჩნევენ თავს და ამით ამაცობენ.¹

ქართველები თავიანთი ამჟამინდელი სამშობლოს, თურქეთის ერთგული მოქალაქეები არიან. ამასთან, ბევრი მათგანისთვის ქართული წარმომავლობა სიამაყის საფუძველია. ერთმანეთის თანადგომაც შეუძლიათ და ბევრი დაწინაურებულა სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. უკანასკნელ წლებში, ახალგაზრდობის ნაწილში მაინც, თითქოს მეტად იგრძნობა ინტერესის გაღვივება ფესვებისა და წინაპრების მიმართ და ზემოთ დახატული არასახარბიელო სურათის მიუხედავად, სწორედ ეს შეიძლება იქცეს საფუძვლად განწყობისა, რომ ჩვენებურებში ქართველობის შეგნება და ქართული ენა არ ამოიძირკვება.

¹ ამ უკანასკნელ ჯგუფს ვუშვებთ, როგორც გარდაუვალ შესაძლებლობას, როგორც თურქეთში მიმდინარე პროცესების ლოგიკურ შედეგს, თორემ ამის აღრიცხვა შეუძლებელია.

5. ორიოდე სიტყვა თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციულ სტრუქტურაზე

თურქეთი, საქართველოს სამხრეთი მეზობელი, ორ კონტინენტზე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყანაა. მისი ტერიტორია შეადგენს 783,562 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა, 2008 წლის მონაცემებით, 71,5 მილიონია. თურქეთი დაყოფილია 7 რეგიონად, კერძოდ: 1. შავი ზღვის რეგიონი (Karadeniz Bölgesi); 2. მარმარილოს რეგიონი (Marmara Bölgesi); 3. ეგეოსის რეგიონი (Ege Bölgesi); 4. ხმელთაშუა ზღვის რეგიონი (Akdeniz Bölgesi); 5. შიდა ანატოლიის რეგიონი (İç Anadolu Bölgesi); 6. აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონი (Doğu Anadolu Bölgesi); 7. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონი (Güneydoğu Anadolu Bölgesi).



ეს გეოგრაფიული დაყოფაა და არა ადმინისტრაციული. ანუ რეგიონებს რაიმე სახის ადმინისტრაციული ორგანოები არ გააჩნიათ. რაც შეეხება ოფიციალურ ადმინისტრაციულ სტრუქტურას, რეგიონები იყოფა პროვინციებად (//ილეზად). სულ თურქეთში 81 პროვინციაა. პროვინციები, თავის მხრივ, რაიონებად (//ილჩეებად) იყოფა და მათი რაოდენობა 957-ს შეადგენს.

ქვემოთ მოკლედ შევხებით თურქეთის დასახლებათა ადმინისტრაციულ სტრუქტურას:

ადმინისტრაციული მოწყობის ყველაზე მცირე უჯრედი თურქეთში არის Mahalle ანუ უბანი. იგი წარმოადგენს სოფლის ან ქალაქის ნაწილს.

სოფლის Mahalle-ს ადმინისტრაცია არ ჰყავს, ქალაქის Mahalle-ს მუხტარი უდგას სათავეში.

სიდიდის მიხედვით შემდეგია Köy ანუ სოფელი. სოფელს სათავეში უდგას მუხტარი. სოფლის და უბნის მიმართება ყოველთვის ერთგვაროვანი არაა (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი ვითარება უფრო ჭოროხის აუზისთვის არის დამახასიათებელი). ერთ შემთხვევაში უბნად შეიძლება იწოდებოდეს ტერიტორია დასახლებული პუნქტის შიგნით, მეორე შემთხვევაში უბანი დასახლებული პუნქტის ცენტრალურ ნაწილისგან შეიძლება რამდენიმე კილომეტრით იყოს დაშორებული და დამოუკიდებელი სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია სამუხტრო; ანუ ერთი მუხტარი შეიძლება რამდენიმე სოფელს განაგებდეს და ეს სოფლები ფორმალურად ერთ სოფლად ითვლება. მაგალითად, შავშეთში, მდინარე იმერხევისწყლის ხეობის პუნქტები - დასამობი, ფხიკიური, დავლათი და ნიოლითი მეზობელი დასახლებებია, მაგრამ დამოუკიდებელი სოფლების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მუხტარი დასამობშია (Dereici), შესაბამისად, დანარჩენი დასახლებები ოფიციალურად მის ნაწილებად, მის უბნებად (მაჰალეებად) ითვლება. ზოგჯერ პირიქით ხდება: ერთი სოფელი ორად იყოფა და ორ დამოუკიდებელ დასახლებულ პუნქტად ყალიბდება. მაგალითად, წინათ ქლასკური (ბორჩხის რაიონი) ერთი სოფელი იყო და მთლიანად მოიცავდა ქლასკურის ხეობას. უკანასკნელ წლებში ხეობა ორ სოფლად გაიყო – ზედა ქლასკური (Atanoğlu) და ქვედა ქლასკური (Aralık) – და შესაბამისად, ორივეს თავისი მუხტარი ჰყავს. ასეთი ტიპის დასახლება უფრო **თემს** შეესაბამება. ამგვარ „თემში“, შესაძლოა, რამდენიმე სოფელი ერთ სამუხტროდ იყოს გაერთიანებული და წარმოადგენდეს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს (Köy), ან „თემი“ გაყოფილი იყოს ორ ან მეტ დამოუკიდებელ სოფლად.

უფრო დიდი ერთეულია Belde, რომელიც შეესაბამება ქართულ დაბას. ბელდედ იწოდება დასახლებული პუნქტი, რომლის მოსახლეობა 2000-ს სჭარბობს. ზოგჯერ Belde-ს ქმნის რამდენიმე სოფლის გაერთიანება. მაგალითად, შავშეთში დასახლება Meydancık (იმერხევი) იწოდებოდა Belde-დ და მასში საკუთრივ Meydancık-თან ერთად გაერთიანებული იყო სოფლები: წყალსიმერი (Balıklı), ივეთი (Mısırlı) და იფხრეელი (Taşköprü). ახლახან Meydancık-ი ისევ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო, Belde-ში

გაერთიანებული სოფლები კი (წყალსიმერი, ივეთი და იფხრევილი) ისევ დამოუკიდებელ სამუხტრო სოფლებად ჩამოყალიბდა.

Belde-ს ანუ „დაბის“ ბადალი სიტყვები თურქულში არის „Bucak“ (ბუჯაქ) და „Kasaba“ (ქასაბა), მაგრამ ეს ე.წ. ხალხური თქმებია და ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია.

რაც შეეხება ქალაქებს, დასახლებული პუნქტის ქალაქად ცნობა დამოკიდებულია არა მაინცადამაინც მოსახლეობის რაოდენობაზე, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. თურქეთში ქალაქის საქართველოსგან ასე თუ ისე განსხვავებული გაგება არსებობს: ქალაქად იწოდება ა) პროვინციის (ილის) ცენტრი, ბ) რაიონის (ილჩეს) ცენტრი; ამდენად სიტყვებს İlçe და İl გააჩნია როგორც ქალაქის (რაიონის ან პროვინციის ცენტრის - Merkez-ის), ასევე, საკუთრივ „რაიონის“ და „პროვინციის“ გაგება.

ქალაქის შესატყვისია, აგრეთვე, სიტყვა „Şehir“ (შეჰირი).

რამდენიმე გამონაკლისის გარდა თურქეთში პროვინციებს, როგორც წესი, იგივე სახელი აქვს, რაც მათ შესაბამის პროვინციულ დედაქალაქს, რომელსაც ასევე ცენტრალური რაიონი ჰქვია.

6. ზოგიერთი ბანკარტმეა წიბნის სტრუქტურის ბამო

ნაშრომის მეორე ნაწილში შევეცადეთ, მარმარილოს რეგიონში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებათა შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია შეძლებისდაგვარი სიზუსტით წარმოგვედგინა მკითხველისათვის. ამ მიზნით რუკებთან ერთად მოცემულია ცხრილები სოფლების ჩამონათვალთ და ზოგიერთი სხვა მონაცემით. ცხრილებში შევიტანეთ მხოლოდ იმ დასახლებათა ჩამონათვალი, რომლებშიც დღემდეა შემონახული ქართული ენა (თუნდაც მწირად და თუნდაც მხოლოდ უხუცეს თაობაში). ანუ ცხრილები შეიცავს ინფორმაციას არა მთელი ისტორიული სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულთა შესახებ, არამედ, აღვსახავთ მხოლოდ იმ დასახლებებს, სადაც დღემდე ისმის ქართული ენა. თუმცა, როგორც უკვე მივუთითეთ ზემოთაც, ვერც „არაქართულენოვანი ქართველები“ გამოვტოვეთ და, მიუხედავად იმისა, რომ ამჟერად ჩვენი კვლევის საგანი მხოლოდ „მექართულე“ დასახლებებია, ზოგიერთი, ჩვენი აზრით, არსებითი ინფორმაცია (განსაკუთრებით, ჭოროხის აუზიდან გადასახლებულთა შესახებ), რომელიც თურქეთის შიდა პროვინციებში 2012-2015 წლებში განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში მოვიპოვეთ, ცხრილებს გარეთ, ნაშრომის სხვა მონაკვეთებში წარმოვადგინეთ.

ცხრილებში არ შეგვიტანია ინფორმაცია წმინდა ლაზური დასახლებების შესახებაც: ჯერ ერთი, შიდა პროვინციებში ლაზთა განსახლების შესწავლა საჭიროებს შავიზღვისპირეთის, ისტორიულ ლაზეთის, ლაზური სოფლების სპეციალურ კვლევასაც. მეორე მხრივ, საგანგებო კვლევის საგანი უნდა გახდეს ლაზთა მიგრაციის ქრონოლოგია და თავისებურებები.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი მონაცემი მარმარილოს რეგიონში მცხოვრებ ლაზთა დასახლებების შესახებ, ნაშრომის სხვა მონაკვეთებშია წარმოდგენილი და ასახულია რუკებზეც. ეს მონაცემები ნაკლებოვანია, არასრული, მაგრამ, ვფიქრობთ, მას, მიუხედავად ამისა, მაინც ექნება გარკვეული ღირებულება დაინტერესებულ პირთათვის. მასალის სისტემატიზაციის მიზნით კი, წინა პარაგრაფში განხილული მასალის საფუძველზე, თვითდასახელებაში ჩადებული შინაარსის ზოგიერთი ასპექტის გათვალისწინებით, ზოგად „ქართველთან“ ერთად ვიყენებთ უფრო კონკრეტ-

ტული შინაარსის ცნებებსაც: „გურჯი“ (ვგულისხმობთ ქართულენოვან მოსახლეობას) და „ლაზი“ (ვგულისხმობთ, ცხადია, ლაზურენოვან მოსახლეობას).

რაც შეეხება ცხრილების სხვა მონაცემებს:

ცხრილებში ინფორმაცია დალაგებულია პროვინციების (//ილების) ცალკეულ რაიონებში (//ილჩებში) არსებული ქართულენოვანი დასახლებების მიხედვით. პროვინციებში რაიონების თანმიმდევრობა წარმოდგენილია მათში ქართულენოვან დასახლებათა რაოდენობის შესაბამისად. საკუთრივ ცხრილებში დასახლებათა თანმიმდევრობა დალაგებულია ანბანის რიგზე.

ცხრილში შევიტანეთ, ასევე, გრაფა „ქართველთა ოჯახების რაოდენობა“. ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, ვეყრდნობით საკუთრივ სოფლებში აღებულ ინფორმაციას, თუმცა, ცხადია, მონაცემები მიახლოებითია. ქართველთა ზუსტი რაოდენობის დადგენის პრეტენზია არც გაგვაჩნია და კომლთა მითითებით მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოდგენას ვცდილობთ (მით უმეტეს, რომ ქალაქებში ქართული მოსახლეობის რაოდენობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა თუ შეგვიძლია). გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ სოფლებში „კომლი“ ხშირად პირობითი ცნებაა მიგრაციის გამო - ბევრგან მთელი ოჯახი ან ოჯახის წევრთა უმრავლესობა ქალაქში ცხოვრობს.

ცხრილში გრაფა „დასახლებული პუნქტი“ ორი ნაწილისგან შედგება: „ახალი სახელი“ და „ძველი სახელი“. მითითებულია თანამედროვე ოფიციალური სახელწოდება, რაც შეეხება გრაფას „ძველი სახელი“, იგი ყოველთვის ძველ ოფიციალურ სახელს როდი აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რესპოდენტი თითქმის ყოველთვის სწორედ „ძველ სახელზე“ საუბრობს, ხშირად ეს სოფლის „შინაური“ სახელია, წინაპრების ხსოვნას გამოყოლილი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნიგალიდან ლტოლვილთა დასახლებებში ერთი საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა: მუჰაჯირებს ახალი სამოსახლოსთვის, ან მისი უბნებისთვის (მეჰელეებისთვის) ბევრგან ფუძესოფლის სახელები უწოდებიათ. მართალია, ოფიციალური სახელები წინათაც არსებობდა და დღესაც არსებობს, მაგრამ ხალხის მეხსიერებამ ის ძველი სახელები მაინც შეინახა. მაგალითად: ქოჯაელის ილის სოფელ ჰამიდის ერქვა ბორჩხა, მამურიეს - მურკვეთი (გოლჯუქის ილჩე). საქარიას ილის სოფელ ბიჩქიათიქს - ქართლა (კარტლა), გუნდოღანს - ზომოთა ხატილა, ფინარლის - ავანა, (ჰენდეკის ილჩე) და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ ბურსის, ორდუს თუ სხვა პროვინციების იმ სოფლებში, სადაც უფრო აჭარიდან გადასახლებულები ცხოვრობენ, მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება.

აღვნიშნავთ, რომ ცნობები ქართულენოვანი სოფლების შესახებ ძირითადად უშუალოდ სოფლებშია აღებული (ვთქვათ, ინფორმაციის 90% მაინც). იშვიათად - სხვაგან, მაგრამ რესპონდენტისგან, რომელსაც პირდაპირი შეხება აქვს ჩვენთვის საინტერესო დასახლებასთან. ცხადია, ზოგჯერ იძულებული ვხდებოდით, დავჯერებოდით გარეშეთა ნათქვამსაც. გარდა ამისა, ვსარგებლობდით სხვადასხვა საცნობარო თუ ენციკლოპედიური ლიტერატურით, მათ შორის, თურქულენოვანი ელექტრონული ენციკლოპედიით¹ რუკებით, ატლასებით². ასევე, ადგილობრივი ავტორების გამოცემებით და იმ ქართველი მეცნიერების ნაშრომებით, რომლებიც მუჰაჯირთა თემაზე მუშაობენ. მიუხედავად ზემოთქმულისა, თვით სოფელში აღებული ინფორმაციაც კი არათუ დაზღვეული არაა უზუსტობისგან, არამედ, ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტი ვერ იხსენებს წინაპართა საცხოვრებელ სოფელს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეგიონზე... „ბათომიდან მოსული“ შეიძლება ნიშნავდეს ზემო აჭარიდან, მაგალითად, ღორჯომიდან გადასახლებულსაც, მურღულის რომელიმე სოფლიდან წასულსაც, ქობულეთელ მუჰაჯირსაც და ა.შ.

ბუნებრივია, ასეთი ვითარება ართულებს საჭირო მასალის მოპოვებასაც და მოპოვებულის სისტემატიზაციასაც. ამიტომ ცხრილებში ინფორმაცია წინაპართა საცხოვრებელი ადგილების შესახებ ორ - ზოგად და კონკრეტულ ნაწილად გავყავით. ზოგად ნაწილში მივუთითებთ რეგიონს, მეორე ნაწილში კი, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის კვალობაზე, ვცდილობთ ზოგადი მონაცემების დაკონკრეტებას რაიონის, ან, საუკეთესო შემთხვევაში, სოფლის დონეზე. რაც შეეხება ზოგად ნაწილს, - მივუთითებთ ოთხ, შედარებით მსხვილ რეგიონს. მხედველობაში გვაქვს აჭარა, კლარჯეთი, ტაო და შავშეთი.

აჭარიდან გადასახლებულები მარმარილოს ზღვის რეგიონში ძირითადად ცხოვრობენ ინეგოლში (ყველაზე მეტი). ასევე, იზნიქის, გემლიქის (ბურსა), ქოჯაალის, ქარაფურჩექის (საქარია) და სხვა რაიონებში. ცხრილის ზემოხსენებულ გრაფაში მითითებული საგეოგრაფიო სახელი აჭარა შეესაბამება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიას. როგორც ვთქვით, შემდეგ გრაფაში ვცდილობთ ამ მონაცემის დაზუსტებას, დაკონკრეტებას რაიონის ან ხეობის და, როცა მასალა ამის საშუალებას იძლევა, სოფლის დონეზე. სწორედ ამ მიზნითაა ცხრილებში წარმოდგენილი გრაფა „წინაპართა საცხოვრებელი რაიონი, ხეობა ან სოფელი“. აქ, ერთი მხრივ, მუჰაჯირთა

¹ Wikipedi, özgür ansiklopedi, <http://tr.wikipedia.org> და სხვა

² მაგალითად, Adım Adım Türkiye (Bütüm köyleri ve yollarıyla) İstanbul, 2012 და სხვა.

შთამომავლების თვითდასახელების, მეორე მხრივ, თანამედროვე ადმინისტრაციული სტრუქტურის საფუძველზე გამოვყოფთ შემდეგ რაიონებს ან ხეობებს: 1. ხულო; 2. შუახევი; 3. ქედა (ზოგჯერ, როცა მასალა უფრო მეტი დაკონკრეტების შესაძლებლობას არ გვაძლევს, დასახელებულ რაიონებს ვაერთიანებთ ერთი საგეოგრაფიო სახელის („აჭარისწყლის ხეობა“) ფარგლებში); 4. მაჭახელი; 5. ბათუმი - ვგულისხმობთ დაახლოებით თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონს (ნიგალის ხეობის საქართველოში დარჩენილი ტერიტორიის ჩათვლით, თუმცა, ამ შემთხვევაში მივუთითებთ ამ უკანასკნელსაც. მაგალითად: ბათუმი (ნიგალი): *კირნათი*); 6. ჩაქვი; 7. ქობულეთი (ვგულისხმობთ თანამედროვე ქობულეთის რაიონს ჩაქვის გარდა).

კლარჯეთიდან გადასახლებულები მარმარილოს რეგიონში ძირითადად ბალიქესირის, საქარიას და ქოჯაელის პროვინციებში ცხოვრობენ. დღეს მათ საგეოგრაფიო სახელი „კლარჯეთი“ დავიწყებული აქვთ. მიუხედავად ამისა, მასალის სისტემატიზაციის მიზნით, ვიყენებთ ამ ტოპონიმს. თუმცა შევნიშნავთ, რომ თანამედროვე კლარჯეთში ქართული ენა შენარჩუნებულია ნიგალის (//ლიგანი // ლივანა) ხევში - საქართველო-თურქეთის სასაზღვრო სოფელ მარადიდიდან (Muratli) ართვინამდე, ასევე, ართვინსმიღმა, სოფელ ბინათში (ბევრად განსხვავებული მდგომარეობა არც XIX საუკუნის ბოლოს ყოფილა). ამ შემთხვევაშიც, თვითდასახელებისა და დარაიონების თანამედროვე პრინციპის საფუძველზე გამოვყოფთ სამ შედარებით მსხვილ სექტორს: 1. ართვინი; 2. ბორჩხა; 3. მურღული.

ცხადია, ნაშრომში ვეხებით კლარჯეთის სხვა მხარეებსაც, კერძოდ, დასახლებებს, რომლებიც სცილდება ქართულენოვან სივრცეს. თუმცა, სწორედ ამ მიზეზის გამო, მათ შესახებ არსებული მონაცემები ცხრილებში ვერ მოხვდა.

ტაოზე საუბრისას, მით უმეტეს, როცა საქმე ქართულენოვან დასახლებებს ეხება, მუჰაჯირების ხსენება პირობითია. როგორც ცნობილია, ტაოში, იუსუფელის რაიონში, პარხლისწყლის ხეობაში სულ სამიოდე მექართულე სოფელია, მრავალრიცხოვანი უბნებით. მუჰაჯირობა, როგორც რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგი, ტაოს ამ რეგიონს არ შეეხებია, მაშინ ჭოროხის აუზის ეს ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არ მოქცეულა. მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის დროს ეს ტერიტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშიც აღმოჩნდა, მაგრამ მცირე ხნით. მიუხედავად ზემოთქმულისა, საქარიას ილის აქიაზის რაიონში ვნახეთ

სოფელი შერეფი, რომელშიც, კლარჯ მუჰაჯირებთან ერთად, „იუსუფელი-დან მოსული გურჯებიც“ ცხოვრობენ.


შავშეთიდან გადასახლებულ პირველი თაობის მუჰაჯირთა სოფელი მარმარილოს რეგიონში არ არსებობს. აქ უფრო გვიან მიგრირებული შავშები ცხოვრობენ, თითქმის ყოველთვის - ქალაქებში. მათი ერთადერთი სოფელიც გვიან გაშენებულია. ამ საკითხზე უფრო ფართოდ ქვემოთ ვისაუბრებთ, აქ კი შევნიშნავთ, რომ ქართულენოვანი შავში გულისხმობს იმერხევს ან მიმდებარე ქართულენოვან ხეობებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში დაკონკრეტებას მხოლოდ სოფლის დონეზე ვცდილობთ.

გვარების მითითებისგან ყველა შემთხვევაში თავი შევიკავებთ. მუჰაჯირთა შთამომავლებში, მეტადრე, როცა საქმე კლარჯეთს თუ შავშეთს ეხება, გვარის თემა ცალკე კვლევის საგანია და ამ თვალსაზრისით ერთობ არათანმიმდევრული სურათი გვაქვს.

რაც შეეხება რუკებს, ნაშრომში წარმოდგენილია იმ პროვინციების რუკები, რომლებშიც რამდენიმე ქართულენოვანი დასახლება მაინცაა. მეტი თვალსაზრისით პროვინციების რუკებზე რაიონების (ილჩების) ფერები ქართველთა პროცენტულ რაოდენობას (*მოცემული პროვინციისთვის*) შეესაბამება: რაც უფრო მუქად არის აღნიშნული რაიონი, მით მეტი ქართველი ცხოვრობს იქ.

ყოველი პროვინციიდან შერჩეულია ერთი „ყველაზე ქართული“ რაიონი; შესაბამისად, წარმოდგენილია 4 რაიონის - გონენის (ბალიქესირი), ინეგოლის (ზურსა), ჰენდექის (საქარია), გოლჯუქის (ქოჯაელი) რუკები. რუკები ქართულენოვანია. თუმცა, ზოგჯერ ქართული სოფლების სახელს თურქულ ენაზეც მივუთითებთ. აქვე წარმოვადგენთ პირობითი ნიშნების ცხრილს, რომელიც გააადვილებს ინფორმაციის აღქმას.

ინფორმაციით სარგებლობის გასაიოლებლად წიგნს ბოლოშიც დავურთეთ ქართულენოვანი სოფლების ჩამონათვალი, რომელშიც მარმარილოს ზღვის რეგიონის ყველა ქართულენოვანი დასახლება მოცემულია ანბანის რიგზე. ამ დანართში გათვალისწინებულია შემდეგი მონაცემები: **სოფლის**



დასახელება ქართულად / სოფლის დასახელება თურქულად / პროვინცია / რაიონი / წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი. ამასთან, მხოლოდ ქართულენოვანი ჩვენებურების დასახელებებს აღვნიშნავთ ვარსკვლავით და ამით განვასხვავებთ შერეული დასახელებებისგან (ამ შემთხვევაში „შერეული“ შეიძლება აღნიშნავდეს არა მხოლოდ ეთნიკურ, არამედ ენობრივ ვითარებასაც). მაგალითად:

იეშვივადი / Yeşilvadi / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი.

ნურუოსმანიე* / Nuruosmaniye / საქარია / გეივე / კლარჯეთი.

რაც შეეხება სახელწოდებათა ქართულ მართლწერას, სოფლებს, ძირითადად, თურქული გამოთქმის შესაბამისად ვასახელებთ და შესაბამისად, გადმოგვაქვს ასოები. მაგალითად: P - ფ, T - თ, K - ქ და ა.შ. თუმცა, მეორე მხრივ, სხვა შემთხვევაში, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ბერის ზუსტი შესატყვისის ჩაწერას არ ვცდილობთ. შესაბამისად, გვაქვს: I - ი, F - ფ, Ö - ო, Ü - უ, Y - ი... რაც, მართალია, ზუსტად არ შეესაბამება თურქულ გამოთქმას, მაგრამ ქართულად აღქმას აადვილებს.

შევნიშნავთ, აგრეთვე, რომ გეოგრაფიული სახელების სწორი (თურქული) ტრანსკრიფცია ყოველთვის როდი ემთხვევა ჩვენებურთა ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებულ გამოთქმას. მაგალითად, ქარაფურჩექი (Karapürçek) საქარიას პროვინციის ამავე სახელწოდების რაიონის ცენტრალური ქალაქია, რომლის მოსახლეობის ნახევარი მაინც ქართველია, ძირითადად, აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები. მის სახელწოდებას ჩვენებურები გამოთქვამენ, როგორც „ყარაფურჩეკი“. ჩვენ, ბუნებრივია, უპირატესობას ვანიჭებთ ოფიციალურ სახელწოდებას და თანამედროვე მართლწერას, თუმცა, ტექსტში (მაგრამ არა ცხრილებში, რუკებზე ან საძიებელში) ზოგჯერ მივუთითებთ ზეპირმეტყველებაში გამოყენებული ფორმების შესახებაც. მაგალითად, ჩანაწერი **ქარაფურჩექი (ყარაფურჩეკი)** გულისხმობს, რომ სოფლის თანამედროვე სახელწოდება ოფიციალურად გამოითქმის, როგორც **ქარაფურჩექი**, მაგრამ ქართული მოსახლეობის ზეპირმეტყველებაში ისმის **ყარაფურჩეკი**.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომით რამდენადმე მაინც შევძლებთ, ავსახოთ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა განსახლების (შესაბამისად, ქართული ენის გავრცელების) გეოგრაფია - ამ ეტაპზე მხოლოდ მარმარილოს ზღვის რეგიონში და იმედს ვიტოვებთ, შემდეგი კვლევები უზრუნველყოფს მონაცემებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და ნაშრომის სრულყოფას.

ნახილი გეორგი

**ქართველთა დასახლებები და
ქართული ენის გეოგრაფია
მარმარილოს ზღვის რეგიონში**

შესავალი მეორე ნაწილისთვის ანუ მარმარილოს ზღვის რეგიონის პროვინციები

„მარმარა“ (მარმარილოს ზღვა) ერთ-ერთია თურქეთის შვიდი რეგიონიდან. ამ რეგიონში 11 პროვინცია (ილი) შედის. მათგან ქართველების კომპაქტურ დასახლებათა სიმრავლით გამოირჩევა ბურსას, საქარიას და ქოჯაელის პროვინციები, თუმცა, ჩვენებურთა დასახლებები სხვა პროვინციებშიც მრავალია.

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია მონაცემები მარმარილოს ზღვის რეგიონის ცალკეული რაიონების ტერიტორიებისა და მოსახლეობის შესახებ. საქმე ეხება მთლიანობაში 72 000 კვ. კმ-ზე მეტი ფართობის ტერიტორიას არანაკლებ ოცმილიონიანი მოსახლეობით. ეს მონაცემებიც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა, რა მასშტაბის სამუშაოა შესასრულებელი, ერთი მხრივ, თუნდაც მხოლოდ მარმარილოს ზღვის რეგიონში, მეორე მხრივ, მით უმეტეს, მთელი თურქეთის ტერიტორიაზე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფა-ცხოვრების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი რომ წარმოჩნდეს.

	პროვინცია	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)		პროვინცია	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
1	ბალიქესირი Balıkesir	1.118.000	14.456	7	საქარია Sakarya	756 000	4 895
2	ბილეჯიკი Bilecik	194 000	4 181	8	სტამბოლი İstanbul	12.697.164	5,196
3	ბურსა Bursa	2,414,000	11,043	9	ქირქლარელი Kırklareli	328 461	6 056
4	ედირნე Edirne	382,222	6, 279	10	ქოჯაელი Kocaeli	1 206 000	3 626
5	თექირდაღი Tekirdağ	623 591	6 345	11	ჩანაქქალე Çanakkale	476,128	9 737
6	იალოვა Yalova	185 000	847			სულ 20 380 566	სულ 72 661

თურქეთის შიდა პროვინციებში მცხოვრებ ქართველთა ძირითადი ნაწილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულ ქართველ მუსლიმთა



შთამომავლებია. თუმცა, აშკარაა, რომ მიგრაცია მე-20 საუკუნეშიც გრძელდებოდა. მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის მკრთალად ჩანს, აგრეთვე, ფენა იმ ქართველ მუსლიმთა შთამომავლებისა, რომლებიც მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში აჭარიდან ნიგალში გადავიდნენ და გადასახლებულთა ნაფუძარზე დამკვიდრდნენ, ხოლო შემდეგ, ათიან თუ ოციან წლებში მეოცე საუკუნისა, თურქეთში გადასახლდნენ.

ნაშრომის მეორე ნაწილში შევეცდებით, ფართოდ წარმოვადგინოთ ინფორმაცია მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართულ დასახლებათა შესახებ, ან, უფრო ზუსტად, მუჰაჯირთა იმ დასახლებათა შესახებ, რომლებშიც დღემდე ისმის ქართული ენა. შესაბამისად, ცალკე პარაგრაფებადაა გამოყოფილი ბალიქესირის, ბურსას, იალოვას, საქარიას, ქოჯაელის პროვინციები, ანუ, მარმარილოს ზღვის რეგიონის „ყველაზე ქართული“ ილები. ქართველები ცხოვრობენ ედირნეს, თექირდალის, ქიქლარელის, ჩანაქქალეს ილებშიც, მაგრამ, ძირითადად, ქალაქებში. ეს ჩვეულებრივი შიდამიგრაციული პროცესებია და მუჰაჯირობასთან ნაკლები კავშირი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე დასახლებულ პროვინციებში ქართულენოვანი დასახლებების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება ბილეჯიქის და სტამბოლის პროვინციებს, მოკლე ინფორმაციას აქვე წარმოვადგენთ:

ბილეჯიქის პროვინციის ოსმანელის რაიონის სოფელ ადლიეში (Adliye) სულ 20 კომლი სახლობს, იგი ბალკანელ და ქართველ (შესაძლოა, ნიგალელ)

მუჰაჯირთა შთამომავლების შერეული სოფელია, მაგრამ ინფორმაციის უფრო მეტად დაზუსტება ჯერჯერობით არ შეგვიძლია.

ბევრი ქართველი ცხოვრობს **სტამბოლში**. რაოდენობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ძველ დასახლებაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

სტამბოლის პროვინციის ბეიქოზის რაიონის სოფელი დერესეკი (Dereseği) ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებაა. უფრო ზუსტად, იქ სულ დაახლოებით 150 ოჯახი ცხოვრობს. აქედან ნახევარი გურჯია, ნახევარი - ლაზი. გურჯები ძირითადად ნიგალიდან არიან (მარადიდი, ხება და სხვ.)

კლარჯეთიდან გადასახლებული პირველი თაობის მუჰაჯირთა შთამომავლების რამდენიმე სოფელია შილეს რაიონში. მხედველობაში გვაქვს ქომურლუქი, ბიჩქიდერე, ორუჩოღლუ, ულუ პელითი, ქალეალთი, უვეზლი, ერენლერი, დარლიქი, ქერვანსარაი. აქ ძირითადად ბერთასწყლის ხეობიდან და ართვინის რამდენიმე სხვა სექტორიდან გახიზნულთა შთამომავლები ცხოვრობენ (Önal, 2010: 26), შესაბამისად, ქართული იმ პირველმა თაობამაც არ იცოდა, თუმცა, შილეს შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია დასაზუსტებელია - მათ შორის, ქართულ ენასთან დაკავშირებითაც.



ბსუ-ს პროფესორები მ. ფაღავა, ზ. შაშიკაძე და მ. ჩოხარაძე ქართული ხელოვნების სახლში (სტამბოლი) - იბერია მელაშვილთან და გურამ ხიმშიაშვილთან ერთად. 23 ივლისი, 2013 წ.



ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის 2013 წლის სამეცნიერო ექსპედიციის წევრები ქართული კულტურის სახლში (სტამბოლი). მარჯვნიდან პირველი ერდალ ქუჩუქი (ელიზბარ ციმნარიძე) - ორგანიზაციის თავმჯდომარე.

1. ქართველთა გაერთიანებები

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ცხოვრების ერთი საინტერესო ნაწილია ქართული ორგანიზაციები, ერთგვარი სათვისტომოები. მათგან ზოგიერთმა, განსაკუთრებით, უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად გაააქტიურა საქმიანობა. ნაწილი სტამბოლშია თავმოყრილი, ნაწილიც - მარმარილოს თუ შავი ზღვის რეგიონების პროვინციათა ან რაიონების ცენტრებში, ზოგჯერ - ცალკეულ სოფლებშიც.

საზოგადოებები არასამთავრობო, კულტურულ-საქველმოქმედო გაერთიანებებია, ზოგჯერ - საკლუბო პრინციპებზე აგებული, თანამოაზრეთა და თანატომელთა შეკრების ადგილები. ზოგიერთი გაერთიანება ლოკალური გეოგრაფიული არეალის - წარმოშობით ერთი სოფლის, ერთი ხეობის, ერთი რეგიონის (ვთქვათ, შავშეთის, კლარჯეთის...) ქართველებს აერთიანებს. ისინი იკრიბებიან ხოლმე, საუბრობენ, გეგმავენ და ატარებენ კულტურულ ღონისძიებებს, მუშაობენ წრეებში (სიმღერის, ცეკვის...) და ა.შ.

ზოგიერთი ქართული საზოგადოება კი ცდილობს, კიდევ უფრო გააფართოოს საქმიანობა. ჯერ ერთი, არ იკეტება რეგიონულ საზღვრებში და ყველა კუთხის ქართული წარმომავლობის მოქალაქეთა შემოკრებას ცდილობს, მეორეც, აყალიბებს ქართული ენის კურსებს თუ ფოლკლორულ ანსამბლებს (შევნიშნავთ, რომ რამდენიმე წლის წინ ასეთი ჯგუფებისა და მათში საქართველოდან მიწვეული ქორეოგრაფების რაოდენობა მეტი იყო), სხვა საზოგადოებებთან ერთად ატარებს კონფერენციებს, ფესტივალებს და ა.შ. საქმიანობს თურქულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავებისათვის. ერთი შეხედვით, ჩამონათვალი შთამბეჭდავია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხსენებულ საზოგადოებათა შესაძლებლობები და მოქმედების დიაპაზონი შეზღუდულია. თუმცა, სწორედ ასეთი საზოგადოების და მასთან დაკავშირებული ქართველების ძალისხმევით შედეგი იყო, რომ შესაძლებელი გახდა ქართული ენის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება თურქეთის სკოლებში. ამ თემას ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევხებით, აქ კი შევნიშნავთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ ქვეყნის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამის დამტკიცებისა და მის განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის სახელმწიფო ჯილდო - ოქროს საწმისი - გადაეცათ სტამბოლის ქართველთა ორგანიზაციის „ქართული კულტურის სახლის“ ხელმძღვანელს ერდალ ქუჩუქს (ელიზბარ ციმნარიძეს) და მწერალ



ბსუ-ს პროფესორები მ. ფალავა, ზ. შაშიკაძე და მ. ჩოხრაძე ქართული კულტურის ცენტრში (სტამბოლი) - 24 ივლისი, 2013 წ. (პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე - ემრეფ ილმაზი, ორგანიზაციის იმჟამინდელი თავმჯდომარე)



პროფ. ზაზა შაშიკაძე და ჰენდექის ბათუმელთა კულტურის საზოგადოების მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, კლარჯ (სოფ. ავანა) მუჰაჯირთა შთამომავალი ჰამით ჯანლი. 17 ივლისი, 2013 წ.

ქვესერ რუჰის (ქეთევან ხანთაძეს), ხოლო სახელმწიფო ჯილდოთი - ღირსების ორდენით - დაჯილდოვდა მუსტაფა ქოლათი - პირველი ქართული კლასების მასწავლებელი.

ჩვენი მიზანი არ არის გაერთიანებათა საქმიანობის აღწერა და დეტალური ანალიზი. ეს ვრცელი და მრავალწახნაგოვანი თემაა და ალბათ ოდესმე საგანგებო კვლევის საგანიც გახდება. აქ კი მხოლოდ ჩამოვთვლით მარმარილოს ზღვის რეგიონში მოქმედ ჩვენთვის ცნობილ საზოგადოებებს. ექსპედიციების ფარგლებში არაერთ ორგანიზაციასთან გვქონდა ურთიერთობა და მეტიც, ხშირ შემთხვევაში სწორედ მათი თანადგომა განსაზღვრავდა წარმატებულ საქმიანობას. შესაბამისად, ქვემოთ, ნაშრომის სათანადო მონაკვეთებში, შევეცდებით, დავაკონკრეტოთ ინფორმაცია ზოგიერთი ქართული გაერთიანების შესახებ და დავამოწმებთ მადლიერება გაწეული დახმარების გამო.

ქართულ ორგანიზაციათა დიდი ნაწილი სტამბოლშია თავმოყრილი. ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან მიზანდასახულობით, წევრთა შემადგენლობით, მასშტაბებით და ა.შ. თუმცა, ბუნებრივია, მათი საქმიანობა ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესოა. კერძოდ, სტამბოლის ორგანიზაციებია: 1. ქართული კულტურის სახლი (Gürgü Kültür Evi Derneği); 2. ქართული კულტურის ცენტრი (Gürgü Kültür Merkezi); 3. ბეიქოზის ბათუმელთა საზოგადოება (Beykoz Batum Havalisi Derneği); 4. სოფელ ჰამიდიეს საზოგადოება (hamidiye köyü Derneği - *იგულისხმება ქასთამონუს პროვინციის, ჩათალზეითინის რაიონის სოფელი ჰამიდიე - შავშებით დასახლებული*); 5. მაჩახლის განათლების, კულტურისა და თანადგომის ფონდი (Macahel Eğitim Kültür ve Dayanışma Vakfı); 6. ესენიურთის ართვინელთა საზოგადოება (Esenyurt Artvinliler Derneği); 7. შავშეთის კულტურისა და ტურიზმის საზოგადოება (Şavşat Kültür ve turizm Derneği); 8. კავკასიის ქართული კულტურის საზოგადოება (Gürgü Kafkas Kültür Derneği); 9. ქართული ხელოვნების სახლი (Gürgü Sanat Evi); 10. თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი (Türk-Gürgü Eğitim Vakfı); 11. საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება (Gürgistan Dostluk Derneği).

სტამბოლს მიღმა ყველაზე მეტი გაერთიანება, როგორც ჩანს, ბურსის პროვინციაშია. ქართული საზოგადოებები ფუნქციონირებს, აგრეთვე, ქოჯაელის, საქარიას, ბალიქესირის პროვინციებში. კერძოდ: ა) **ბურსას პროვინცია**: 1. ბათუმელთა კულტურისა და ურთიერთდახმარების საზოგადოება (Batum



ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის 2013 წლის ექსპედიციის წევრები გოლჯუქის კავკასიური კულტურის და თანადგომის საზოგადოებაში. ცენტრში - საზოგადოების თავმჯდომარე მურათ სევიმი (მგელაძე)



გურჯების სახელდახელო კონცერტი ინეგოლის კავკასიური ფოლკლორის და კულტურის საზოგადოების ეზოში, 16 ივლისი, 2014 წ.

Kültür Derneği) - ბურსა; 2. ართვინის მურღულელთა საზოგადოება (Artvin Murguller Derneği) - ბურსა; 3. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება (İnegöl Kafkas Kültür Derneği); 4. ინეგოლის ართვინელთა კულტურის საზოგადოება (İnegöl Artvin Kültür Derneği); 5. ინეგოლის შავშეთის კულტურის საზოგადოება (Şavşat Kültür Derneği); 6. ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება (Orhangazi Kafkas kültür ve Dayanışma Derneği); 7. იზნიქის ბათუმელთა კულტურის საზოგადოება (İznik Batum Kültür Derneği); **ბ) ქოჯაელის პროვინცია:** 8. გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება (Gölcük Kafkas kültür ve Dayanışma Derneği); 9. მარმარილოს ქართველები (Marmara Gürgüleri) - გებზე. **გ) საქარიას პროვინცია:** 10. ჰენდექის ბათუმელთა კულტურის საზოგადოება (Hendek Batum Kültür Derneği); **დ) ბალიქესირის პროვინცია:** 11. გონენის ბათუმელების და ართვინელების კულტურისა და თანადგომის საზოგადოება (Gonen Batum ve Artvinliler Kültür ve Dayanışma Derneği);



ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის კლარჯეთის ექსპედიციის წევრები კარჩხალას ხეობაში მუსტაფა უზუნთან (გამეშიძე - პირველ რიგში, მარჯვნივ), უღურ (იმერ) ზუბოდლუსთან (ზუმბაძე - მეორე რიგში, მარჯვნივ) და კარჩხალებთან ერთად. სოფელი მერე, 22 ივლისი, 2011 წ.

2. ბალიქესირის პროვინცია

ბალიქესირი თურქეთის დასავლეთით მდებარეობს. სამხრეთით მას მანისას პროვინცია ესაზღვრება; ჩრდილოეთით - მარმარილოს ზღვა; დასავლეთით - ჩანაქალეს პროვინცია და ეგეოსის ზღვა (ედრემითის ყურე); აღმოსავლეთით ბურსის და ქუთაჰიას პროვინციები. ბალიქესირი განთქმულია ზეთისხილის ბაღებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ასევე, ბუნებრივი, არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მინერალური და თერმული წყლები, რომლითაც მდიდარია ეს რეგიონი. პროვინციის ყველაზე ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტია გონენის რაიონში მდებარე ქაფლიჯა. მისი წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ უძველეს ეპოქებშივე იცოდნენ, რასაც ადასტურებს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები.

მიუხედავად ამისა, ბალიქესირის პროვინცია, თუნდაც მეზობელ ბურსასთან შედარებით, ღარიბი მხარე ჩანს, თანაც, საგრძნობლად ღარიბი. გაცხოველებული მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. მიგრაცია საზოგადოდ არის დამახასიათებელი თურქეთის ქართული (და არა მხოლოდ ქართული) სოფლებისთვის, მაგრამ ბალიქესირში, როგორც ჩანს, მიგრაციის პროცესი მეტად ინტენსიურია. სოფლები პრაქტიკულად დაცლილია (ზოგან ორიოდე ოჯახი-ლა სახლობს) და სადაც შემორჩენილია მოსახლეობა, ისინიც, ძირითადად, საპენსიო ასაკის მოხუცებია. „ნაკითხი ბიჭები გარეთ არიანო“ - ყველგან გეტყვიან. შესაბამისად, ძალიან ძნელია ქართული მოსახლეობის რეალური რიცხვის დადგენა. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის ამ ნაწილის ცხრილებში გრავა „კომლთა რაოდენობა“ უფრო სახლების რაოდენობას აღნიშნავს, ვიდრე მოსახლეობისას.

N	რაიონი	სოფლების რაოდენობა
1	გონენი	8
2	მანისასი	3
3	სუსურლუქი	1
4	ბალია	1
5	ბალიქესირის ცენტრ. რ-ნ.	1

ბალიქესირში 19 რაიონი ანუ ილჩეა. ქართული სოფლები არის გონენის, მანიასის, ბალიას და სუსურლუქის რაიონებში, აგრეთვე, ბალიქესირის ცენტრალურ რაიონში. არ გამოვრიცხავთ ქართული დასახლების არსებობას ბანდირმას რაიონშიც. ყოველ შემთხვევაში, გონენში ყოფნისას ბუნდოვნად მიგვითითეს ბანდირმაში არსებულ გურჯიჩივთ-ლიქზე. საუბარი ეხებოდა არა მაინცადამაინც ქართულ დასახლებას, არამედ

უფრო დასახლებაში ქართული ოჯახების გარკვეულ რაოდენობას. ჩიფთლიქი ქართულად მეურნეობას, ფერმას ნიშნავს. სახელწოდებაში „გურჯის“ არსებობა უკვე იწვევდა ინტერესს, თუმცა, ინფორმაციის დაზუსტება ადგილზე ვეღარ მოვახერხეთ.



ყველაზე მეტი დასახლება გონენის რაიონშია - 8 სოფელი. ბალიქესირის ქართველები კლარჯეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია. უმრავლესობა - მურღულელები, აგრეთვე, ბორჩხის მახლობელი - ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სოფლების მოსახლეობა.

როგორც აღვნიშნეთ, ბალიქესირის ყველაზე „ქართული“ რაიონი გონენია. იქ სულ 75 000 მცხოვრებია - აქედან 3000 ქართველიაო, - ამბობენ აქაურები. ქართველთა გაერთიანება *გონენის ბათუმელებისა და ართვინელების კულტურისა და თანადგომის საზოგადოება* (Gönen Batum ve Artvinliler Kültür Dayanışma Derneği). იგი 2003 წელს ჩამოყალიბდა და პირველი ხელმძღვანელი იყო *მუსტაფა ქალიონჯუ*. ამჟამინდელი ხელმძღვანელია *ისმაილ ჰაქეი სუბაში*

(სწორედ მისი და, მეტადრე, გონენის ბიბლიოთეკის დირექტორის, ჰასან ფიდანის და ერქან ეფენდოღლუს დახმარებით მოვიარეთ ბალიქესირის სოფლები). საზოგადოებას ერთხანს (2007 წელს) ცეკვის ანსამბლი ჰყავდა, რომელსაც საქართველოდან მიწვეული ქორეოგრაფი ხელმძღვანელობდა. ანსამბლმა, რომელშიც ოცზე მეტი ბავშვი იყო გაერთიანებული, დაახლოებით ნახევარი წელი იარსება. მერე აღარ გაგრძელებულა ეს კეთილი საქმე.

აღსანიშნავია, რომ გონენის რაიონშია ცნობილი ქართველი მოღვაწის - ახმედ მელაშვილის მშობლიური სოფელი ქოჩბაირი, რომლის მოსახლეობაც მურღულის ხეობიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებია.



ახმედ მელაშვილის მშობლიური სოფელი ქოჩბაირი (გონენის რაიონი, ბალიქესირის პროვინცია).
17 ივლისი, 2014 წ.

ბალიქესირის ქართველობა, სხვა ჩვენებურების მსგავსად, ზოგჯერ ახერხებს ხოლმე მასობრივი საზეიმო ღონისძიებების - ფესტივალების ორგანიზებას. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ მანიასის ილჩეს გულითადი გურჯებით დასახლებული სოფელი ჯუმჰურიეთი, სადაც ძირითადად მურღულიდან - გევლიდან, ბუჯურიდან - მისულები სახლობენ. ყოველწლიუ-

რად, 29 ივლისს, ატარებენ ფესტივალს, რომელსაც დამახასიათებელი სახელი - „ჩვენ-ჩვენა“ ჰქვია.

ფესტივალისთვის აქსესუარებსაც ამზადებენ ხოლმე - გვაჩუქეს მაისუ-



აქსესუარები სოფელ ჯუმჯურიეთის (მანიასის რაიონი, ბალიქესირის პროვინცია) ქართველთა ფესტივალისთვის „ჩვენ-ჩვენა“. 2014 წ.

რები, ქუდები, ჩაის ჭიქები წარწერით „ჩვენ-ჩვენა“ („çven-çvena“).

ბალიქესირელმა კლარჯებმა, ძირითადად მაინც, შემოინახეს ხსოვნა წინაპართა ფუძის შესახებ: იშვიათად, სოფლის „შინაური“ სახელით (მაგალითად, ბალჯიდედე // ერეგუნა), ან თაობათა მეხსიერებაში გამოტარებული ინფორმაციით (მაგალითად, ექშიდერეში გვითხრეს ოზმალიდან ვართ, ხარები რომ „ჭედობდნენ“, ჩვენს სოფელში იყო). თუმცა, უნდა

ვადიაროთ, რომ ამ შემთხვევაშიც ბევრი რამ დაჰფარა დავიწყების მტვერმა...




გულთადი საუბრები ჩვენებურებთან სოფ. ჯუმჯურიეთში (მანიასის რაიონი, ბალიქესირის პროვინცია). 18 ივლისი, 2014 წ.

წარსულის ხსოვნასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ არმუთა-
ლანის მაგალითიც. იქ საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მუზეუმიცაა. გარდა
ამისა, სოფელი წინათ თიხით ყოფილა განთქმული. კრამიტს, აგურს, თიხის
ჭურჭელს აკეთებდნენ. აქ ორი „მეკელა“: სელიმიე (120 კომლი) და ოსმანიე
(80 კომლი). წინათ ესენი დამოუკიდებელი სოფლები იყო. უკანასკნელ
წლებში გაერთიანდა. გვითხრეს, რომ ოსმანიეს გურჯები ჯუვანიდან არიან
მოსულები, ხოლო სელიმიეს გურჯები - წიწვეთიდანო (// წითვეთი // წიწათ-
ველი). წიწვეთი შავშეთშია, მაგრამ სელიმიელები არც დიალექტის თვალსაზ-
რისით, და არც მეხსიერებაში შემორჩენილი ფრაგმენტებით შავშეთლები არ
უნდა იყვნენ. მით უმეტეს, რომ, მათი თქმით, მათი წინაპრები და ის მუჰა-
ჯირები, რომლებიც გოლჯუქის რაიონის (ქოჯაელის პროვინცია) სოფელ
ჰამიდიეში ცხოვრობდნენ, ერთი რეგიონიდან წამოსულან. ჰამიდიეში რომ
ნიგალები ცხოვრობენ, ფაქტია და ამ სოფლის ძველი (სამინაო) სახელიც
ბორჩხაა. ახსენეს, ასევე, გოლჯუქის სოფელი - უმშიე, რომელიც მურღულელ-
თა სოფელია (ისკები, ბაგა). ჩვენი ვარაუდით, წიწვეთი თუ წითვეთი უნდა
იყოს დამახინჯებული ფორმა წითურეთისა. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე
მართლა არსებობდა ასეთი სოფელი, რომელიც, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მუჰა-
ჯირობისას მთლიანად გადასახლდა (ჭიჭინაძე 1912: 135);

ოსმანიეს გურჯები რომ ჯუვანიდან არიან, საეჭვო არ უნდა იყოს. თუმცა
ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მათი წინაპრები აჭარიდან, კერძოდ, ჭვანიდან
არიან წამოსული. „ჯუვანი-ჭვანას“ ჟღერადობის მსგავსება ამგვარი მოსაზრე-
ბისთვის თითქოს ქმნის კიდევ საფუძველს, მაგრამ ეს ვარაუდი დღეს თაობა-
თა მეხსიერებას კი არა, ძველი, ოსმალობისდროინდელი გვარების დამთხვე-
ვას ეფუძნება. მაგალითად, რ. აიდინი გვიმტკიცებდა, ძველი აბდულოღლი
ვარ და აბდულოღლი სწორედ ჭვანაში ვნახეო. ეს არგუმენტი არაა მყარი,
რადგან აბდულოღლი, ანუ აბდულის შთამომავალი (ოსმალეთში ხომ გვარის
ტრადიციული გაგება არ არსებობდა) შეიძლება ნებისმიერ სხვა რეგიონშიც
ცხოვრობდეს.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ უბნებს შორის მეზობლური
შუღლიც არ ყოფილა უცხო, რაც ზოგჯერ ჩხუბით და გაწევ-გამოწევითაც
გამოიხატებოდა ხოლმე.

იენიქავაქში (ბალიას რაიონი) წინაპრების სოფლად დაასახელეს *არჩვეთი*
და *ჭკაეთი*. არჩვეთი ბორჩხის ქვემოთაა, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე. იქვე,
მეზობლად - ჭკადუეთია. ამდენად, იენიქავაქელთა ჭკაეთი სწორედ ჭკა-
დუეთს უნდა გულისხმობდეს.



ჩანართი ახმედ მელაშვილის გამო

ახმედ მელაშვილი - პირველი თაობის კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალი - ბალიქესირის მკვიდრი იყო. მისი ღირსეული ცხოვრების ანარეკლია სწორედ, დღეს რომ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც თურქეთის ქართველობის ილია ჭავჭავაძეს. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის არსი თანამემამულეთა ეროვნული თვითმემეცნების გაღვიძებისათვის ბრძოლა იყო, რაც, იმჟამინდელ თურქეთში, დაუძლეველ პრობლემებს უკავშირდებოდა. „სადაც აკრძალეს ქართველობა, იქ იქართველა, იქ მან მამულის სიყვარული აგო ტაძრებად, იქ ცივი ფერფლიც სულის ბერვით გამოაღვიძა... რათა ძმებს დედო მემლექეთი არ დავიწყნოდათ,“ - ხატოვნად წერდა ახმედ მელაშვილის ბიოგრაფიას ფრიდონ ხალვაში და მართლაც, ეს ბიოგრაფია ქართველობისათვის ბრძოლის და ტანჯვის გზაა, რასაც შეეწირა კიდევ.



ახმედ მელაშვილის სახლი სოფ. ქოჩბაირში (გონენის რაიონი, ბალიქესირის პროვინცია).
17 ივლისი, 2014 წ.

ახმედ მელაშვილი 1922 წლის 10 ივნისს დაიბადა ბალიქესირის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში, მამისეულ ოჯახს დოვლათი მო-

ჭარბებულად არასოდეს ჰქონია, თუმცა არც შიოდა. მიწა-მამული ჰქონდათ და ამასთან, მამა ხელოსანი იყო - სახლებს აგებდა და ამით ირჩენდა თავს. დედით ადრე დაობლებული ექვსი შვილიც მარტომ გაზარდა. სიმღერა უყვარდა და შვილებსაც ჩაუნერგა ქართული ხმების სიყვარული.

ახმედ მელაშვილი წიგნის სიყვარულით თავიდანვე გამოირჩეოდა. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, შეუპოვრად მიისწრაფოდა მიზნისკენ. სწორედ გამოუღეველი პრობლემების, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მიზანსწრაფულობის დასტურია, რომ სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში, არქიტექტურის ფაკულტეტზე, 1943 წელს დაწყებული სწავლა მალევე მიატოვა, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა და 1963 წელს დაასრულა კიდეც.

50-იან წლებში ქოჩბაირთან და ბურსასთან ერთად მისი ცხოვრება განუყრელად დაუკავშირდა ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს. მაჭახლელ მუჰაჯირთა მიერ დაფუძნებულ ამ სოფლიდან იყო სწორედ მისი მეუღლე იუქსელ ერგუნი (ჯინჭარიძე). აქ იყო მათი სახლიც და ახმედ მელაშვილი სოფელს მაშინაც არ მოწყვეტილა, როცა ბურსაში ცხოვრობდა და მუშაობდა (ჰაირიე ინეგოლს 15 კილომეტრითაა დაშორებული, ბურსას - 58 კილომეტრით).

60-იან წლებში ახმედ მელაშვილმა სწორედ ჰაირიეში ჩამოაყალიბა ტურიზმისა და ინფორმაციის საზოგადოება, დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მისი თაოსნობით და ჩვენებურთა შემოწირულობებით აშენდა აქვე კულტურის სახლი და რა გასაკვირია, რომ სწორედ ჰაირიეშია მისი საფლავიც.

განა რამდენს გაუჩნდებოდა იმხანად სურვილი თურქეთის ქართველთაგან, შვილებისთვის რომ დაერქმია იბერია და თამარი, ან კიდეც რომელიმე სკოლისათვის (ჩვენს შემთხვევაში - ჰაირიეს სკოლისათვის) საჩუქრად გადაეცა წიგნი და ეს წიგნი ქართული „დედაენა“ ყოფილიყო... განზრახვა ერთია და - არც გაბედვა იყო იოლი. მელაშვილი ბედავდა, მიუხედავად დევნა-დაპატიმრებისა!

ნიშანდობლივია სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან მისი ურთიერთობა, რომელიც 1943 წელს დაიწყო და იქ ბევრი რამ გაიგო საქართველოს შესახებ. სავანესთან კავშირი არც მერე შეუწყვეტია. ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ევროპაში მცხოვრებ ქართველებთანაც, მაგალითად, საფრანგეთის ქართველ ემიგრანტებთან.

1968 წელს, თურქეთში ქართველ მწერალთა დელეგაციის სტუმრობის დროს, მელაშვილმა მოახერხა მათთან შეხვედრა, ხოლო ფრიდონ ხალვაშს საიდუმლოდ გამოატანა ოსმალური ხელნაწერების მიკროფირი. ეს იყო საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, - „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდი დავთარი“. ფაქტია, რომ იმხანად ამგვარი ურთიერთობა არ უნდა ყოფილიყო უსაფრთხო ერთი მხრივ, ახმედ მელაშვილისთვის და, მეორე მხრივ, ფრიდონ ხალვაშისთვის...

თავადაც ორჯერ სტუმრობდა საქართველოს - 1977 და 1978 წლებში. ისტორიული სამშობლოდან დაუვიწყარი შთაბეჭდილებები წაიღო, თუმცა საბჭოური რეჟიმის მკაცრი რეალობის დანახვაც შეძლო...



ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის 2014 წლის ექსპედიციის წევრები სოფ. ქოჩბაირში (გონენის რაიონი, ბალიქესირის პროვინცია). 17 ივლისი. (ფოტოზე მეორე რიგში, მარჯვნიდან მეორე და მესამე შესაბამისად - გონენის ბათუმელებისა და ართვინელების კულტურისა და თანადგომის საზოგადოების თავმჯდომარე ისმაილ ჰაქეჩი სუბაში და გონენის ბიბლიოთეკის დირექტორი ჰასან ფიდანო)

ახმედ მელაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქ ინეგოლში კავკასიელ ხალხთა კულტურის და ფოლკლორის საზოგადოების შექმნასა და მის საქმიანობაში. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული საქმე იყო.

1968 წელს თურქულ ენაზე გამოსცა წიგნი „გურჯისტანი - კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფოლკლორი“ (ამ წიგნის გამოცემას ორთვიანი პატიმრობაც მოჰყვა). ასევე, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ თარგმნა და გამოცემა.

ახმედ მელაშვილის სახელს უკავშირდება თურქეთის ისტორიაში პირველი ქართული ჟურნალის, „ჩვენებურის“ გამოცემა. პირველი ნომერი 1977 წელს დაიბეჭდა შვედეთში შანვერ აქინის (შალვა თევზაძის) მეცადინეობით. მელაშვილის სიკვდილის შემდეგ გამოცემა შეწყდა. განახლდა მკვლევლობიდან 13 წლის შემდეგ - 1993 წელს (გამოდიოდა 2006 წლამდე).

ეს ყველაფერი, რაც ზემოთ დავწერე, მხოლოდ ქრონიკებია ბიოგრაფიიდან, მცირედი ფრაგმენტები. 1980 წლის 5 ივლისს ახმედ მელაშვილს თავს დაესხნენ და მოკლეს. მძიმედ დაიჭრა მისი ვაჟი იბერია. ვინც არ უნდა ყოფილიყო დამკვეთი ან თავდამსხმელი, ფაქტია - მელაშვილი მისი მოღვაწეობის გამო გაწირეს...

როგორც აღვნიშნეთ, ახმედ მელაშვილი მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი იყო და იგი XX საუკუნის 20-იან წლებში დაიბადა ბალიქესირის პროვინციაში. მაშინდელ ქართულ ოჯახებში ჯერ კიდევ ქართულად იდგამდნენ ენას პატარები (თურქულს მოგვიანებით სწავლობდნენ - როცა, სასკოლო ასაკს მიაღწევდნენ). ეს თაობათა ინერცია იყო, ჯერ კიდევ მყარად რომ იჭერდა თვითშემეცნების ძაფებს. სამწუხაროდ, სიტყვა „ინერციის“ გამოყენება უადგილო როდია, - საკუთარი ქართველობის და ისტორიული სამშობლოს შესახებ მუჰაჯირთა შთამომავლებმა ცოტალა იცოდნენ. და ბარემ ერთ პატარა ფრაგმენტსაც დავიმოწმებ ქვესერ რუჰის (ქეთევან ხანთაძის) წერილიდან „აჰმედ ოზქან მელაშვილის გახსენება“: „1943-ში 21 წლის მელაშვილმა პირველად გაიგო, რომ ქართველებს საკუთარი ანბანი ჰქონიათ... „ახალგაზრდა ჩვენებურებისათვის“, რომლებიც მანამდე ლათინური ანბანის საფუძველზე ცდილობდნენ ქართული წერა-კითხვის შესწავლას, ეს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა უნდა ყოფილიყო; იმ „ჩვენებურებისათვის“, რომელთაც ქართული ანბანის არსებობა არ იციან, ეს გრძნობა არცთუ უცხოა. რომელი ასოთი უნდა გამოისახოს თურქულში არარსებული ქართული ბგერები? თითქმის ყოველ ჩვენგანს აქვს ამასთან დაკავშირებული მხიარული თუ სევდიანი მოგონებები“ (ხანთაძე, 2010:5).

ეს მცირე ჩანაწერიც ცხადყოფს, რაოდენ რთული იყო ფესვების ძიება, საკუთარ ვინაობაში, წინაპართა ტრაგიკულ ისტორიაში გარკვევა. ახმედ მელა-

შვილმა ეძება და აღმოაჩინა კიდეც - რომ მდიდარი და რთული ისტორიის, მაღალი კულტურის მქონე ერის შვილი იყო, აღმოაჩინა თავისთვისაც და თანამემამულეებისთვისაც. გამუდმებით იმას ცდილობდა - რასაც ეძიებდა და პოულობდა, სხვებისთვისაც მიეწვდინა:

„ვერ გიპასუხე... მაგრამ სულ თვალწინ
გხედავ, - დადიხარ შუბლნადვლიანი,
ერთი უბრალო კოჭლი კაცი ხარ,
და სხვებს ასწავლი მაინც სიარულს“...

ფრიდონ ხალვაშის ამ მიმართვაშიც ნათლადაა ასახული ახმედ მელა-შვილის მისწრაფება და ცხოვრების წესი.



ახმედ მელაშვილის საფლავი სოფელ ჰაირიეში (ინეგოლის რაიონი, ბურსის პროვინცია).
7 ივლისი, 2014 წელი

მაშინ თურქეთის ქართველობამ იცოდა, რომ „გურჯები“ იყვნენ, მაგრამ საკუთარი „ქართველობის“ შესახებ ცოტამ თუ უწყოდა. ამ შემთხვევაში „ქართველს“ „გურჯებისგან“ პირობითად ვმიჯნავთ მხოლოდ იმ ნიშნით, რომ უდიდესმა უმრავლესობამ თურქეთის ქართველებისა არ იცოდა, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა - საქართველო, რომ მათი ცხოვრება ამ ქვეყნის ისტორიის ტკივილიანი ნაწილია, რომ იქ ქართული სკოლები და უნივერსიტეტებია, ქართული ტელევიზია და რადიო... და რომ მუჰაჯირთა მიერ სამშობლოდან

წაღებული და სადღაც მარმარილოს ზღვასთან ნაცეკვი „ხორუმი“ და „განდა-განა“, გულიანად ნამღერი „ჯილველო“ და „ვოსა ვორერა“, დიდნენეს ტკბილ-ქართულით დალოცვაც კი - ამ კულტურის ნაწილია და ისევე ძვირფასი, როგორც დიდი მემლექეთის სხვა ღირებულებები.

ახმედ მელაშვილმა ეძება, აღმოაჩინა, გაიგო. მან თქვა - მე ქართველი ვარ! მეტიც, მან თქვა - ჩვენ ქართველები ვართ! და ბევრი იღვაწა, თანამემამულეთათვის რომ მიეწვდინა ხმა - საკუთარი ფესვების შემეცნება ღირსებაა, სიამაყის საფუძველია. მისი მოღვაწეობის ასპარეზი არათუ შემოზღუდული, არამედ აქტიური მოქმედებისთვის ჩაკეტილი იყო და, ბუნებრივია, ბევრს და ბევრგან ვერ მიაწვდენდა ხმას, მაგრამ მომსმენი და გამგებიც არ იყო მცირე და იმათ სულში ხომ მაინც რჩებოდა თვალსაჩინო და ნათელი კვალი... ამ ნათელი კვალის გამოძახილია სწორედ ქართულენოვანი წარწერა ახმედ მელაშვილის საფლავის ქვაზე სოფელ ჰაირიეში: „მე უკვდავებისთვის კი არა, ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე“...

1. გონენის (Gönen) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ბალჯიდედე Balcidede	ერეგუნა	60	კლარჯეთი	მურღული (ერეგუნა)
2	ჩინარფინარი Çinarpınar		10 ¹	კლარჯეთი	
3	ჩიფთლიქალანი Çiftlikalanı		20	კლარჯეთი	
4	ექშიდერე Ekşidere		50 ²	კლარჯეთი	მურღული (ოსმალი და, შესაძლოა, მიმდებარე სოფლებიც)
5	ქოჩბაირი Koçbayırı	სალიჰიე	70 ³	კლარჯეთი	მურღული (გურბინი, ქურა, ბაგა და სხ.)

¹ კომლთა საერთო რაოდენობა: 20. აქედან ნახევარი გურჯია, ამათგანაც რამდენიმე ოჯახია შემორჩენილი, დანარჩენი მიგრირებულია.

² კომლთა საერთო რაოდენობა: 100. წინათ ყველა ქართველი იყო, მაგრამ ბევრი გადასახლდა. ქართველებმა მიწები დაყიდეს და სოფელიც საკმაოდ აჭრელდა.

³ ახმედ მელაშვილის მშობლიური სოფლის მოსახლეობის ნახევარი მიგრირებულია. 30-35 ოჯახი თუ იქნება დარჩენილი.

6	გუნეშლი Güneşli		5 ¹	კლარჯეთი	მურღული (გურბინი, ქურა და სხ.)
7	სუჩიქტი Suçıktı	ოსმანიე	10	კლარჯეთი	მურღული (გურბინი და სხ.)
8	ფეჰლივან ჰოჯა Pehlivanhoca	ბაბაიაქა	25	კლარჯეთი	

2. მანისის (Manyas) ოლჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ჯუმჰურიეთი Cumhuriyet	სულთანე	80	კლარჯეთი	მურღული (გევილი, ბუჯური და სხ.)
2	დოდანჯი Doğancı	სუსურლუქი	15 ²	კლარჯეთი	
3	დეღირმენბოღაზი Değirmenboğazi		15 ³	კლარჯეთი	

3. სუსურლუქის (Susurluk) ოლჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	გუნაიდინ Günaydın	მანა	10 ⁴	კლარჯეთი	

¹ კომლთა საერთო რაოდენობა: 40. თუმცა დღეს სოფელში თითქმის აღარავინ სახლობს.

² კომლთა საერთო რაოდენობა: 30. მათგან ნახევარი ქართველია. წინათ აქ 90 ოჯახი ცხოვრობდა. ყველა ქართველი იყო, მაგრამ მიგრაციამ ააჭრელა მოსახლეობა.

³ კომლთა საერთო რაოდენობა: 50. ძირითადად ჩერქეზების სოფელია. ქართული ოჯახების რაოდენობა დასაზუსტებელია.

⁴ კომლთა საერთო რაოდენობა: 90. წინათ ერთი დიდი სოფელი იყო. ქართველებით და იორუქების ტომის თურქებით დასახლებული. პ. მაგნარელას ცნობით, 1950 წლამდე აქ, სავარაუდოდ 90-100 ქართული და 70-75 თურქული ოჯახი ცხოვრობდა (მაგნარელა, 1999: 10). შემდგომ წლებში ქართველთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ახლა თითქმის ყველა გადასახლებულია. სულ რამდენიმე ოჯახიღა დარჩა ქართული. ქართული ოჯახების რაოდენობა დასაზუსტებელია.

4. ბაღისას (Balya) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	იენიქავაკი Yenikavak	ყავახალანი	260	კლარჯეთი	ნიგალი (არჩვეთი, ჭკადუეთი ... ასევე, როგორც ჩანს, ბორჩხის მახლობელი, ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სხვა სოფლებიც)

5. ბალიქესირის (Balıkesir) ცენტრალური რაიონი

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	არმუტალანი Armutalan		200	კლარჯეთი	ნიგალი (წითურეთი), ჯუვანი


3. ბურსის პროვინცია

ბურსის (Bursa) პროვინცია თურქეთის მარმარას (მარმარილოს ზღვის)

N	რაიონი	სოფლების რაოდენობა
1	ინეგოლი	18
2	იზნიქი	5
3	გემლიქი	5
4	ქესთელი	4
5	მუსტაფა ქემალ ფაშა	2
6	ორჰანგაზი	2
7	ქარაჯაბეი	1

რეგიონშია. იგი საქარას, ქოჯაელის და ორდუს პროვინციებთან ერთად განსაკუთრებით გამოირჩევა ქართველ მუჰაჯირთა დასახლებების სიმრავლით. ბურსაში 17 რაიონი ანუ ილჩეა. ქართველები ყველა მათგანში ცხოვრობენ, მაგრამ კომპაქტური დასახლებები 7 რაიონშია. ბურსაში ქართველთა უმრავლესობა აჭარიდან წასული მუჰაჯირებია. უფრო ზემო აჭარიდან - ხულოს

და შუახევის რაიონებიდან. გაცილებით ნაკლებია ზღვისპირელები - ჩაქვისა და მახიჯაურის მიდამოებიდან. არის მაქახლიდან, კირნათი-მარადიდიდან, მურღულიდან და კლარჯეთის სხვა რაიონებიდან გადასახლებულთა სოფლებიც.





1884 წელს, მუჰაჯირთა პირველი თაობის მიერ აგებული ჯამე სოფ. ელმალში, (იზნიკის რაიონი, ბურსის პროვინცია). 13 ივლისი, 2013 წ.



სოფ. ქარაფინარის ჯამე (მუსტაფაქემალღაზას რაიონი, ბურსის პროვინცია). 15 ივლისი, 2014 წ.

რაც შეეხება მექართულე იმერხეველებს, ბურსაში ისინი საკმაოდ ბევრინი არიან, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ მიგრაციის ტალღებს მოჰყვნენ და მუჰაჯირობისდროინდელი სოფელი არ გააჩნიათ, ძირითადად, ქალაქებში ცხოვრობენ. ერთადერთი სოფელი არის ბოლაჯიოი - ქარაჯაბეის რაიონში. 1974 წელს აქ მიწა უყიდიათ და დასახლებულან. ახლა 120 კომლს ითვლიან, თუმცა ბევრი აქედანაც ქალაქებშია გადასახლებული.

ლაზების რამდენიმე სოფელია გემლიქსა და ორჰანგაზიში.

ბურსის პროვინციაში ყველაზე მეტი გურჯი ინეგოლის ილჩეშია. სხვადასხვა ავტორი ქართული სოფლების სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი მკვლევარი აბდულაჰ თათაროღლუ თავის წიგნში („*ბათუმიდან ბურსაში*“) 17 სოფელს ჩამოთვლის (Tataroğlu, 2007: 19). 17 სოფელს ასახელებს, აგრეთვე, ნ. შოშიტაიშვილი (შოშიტაიშვილი, 2013: 25). რ. გუჯეჯიანის თქმით, „ინეგოლის რაიონის ოცამდე სოფელი ქართველებით არის დასახლებული (გუჯეჯიანი, 2014; იხ. აგრეთვე გუჯეჯიანი, 2012: 112), ი. ლუტიძე ჩამოთვლის 23 სოფელს (ლუტიძე, 2010), ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩვენ 18 ქართული სოფელი შევიტანეთ.

სხვადასხვა ავტორის მიერ დასახელებული სოფლებიდან ჩვენს ცხრილში ვერ მოხვდა რამდენიმე. კერძოდ, ა) **ელმაჩაირი (Elmaçayır)**; როგორც გვითხრეს, დღეს ეს სოფელი **ფევზიესთან** არის გაერთიანებული. ზედა მაჰალე (უბანი) ფევზიეა და იქ ქართულენოვანი გურჯები ცხოვრობენ. ქვედა მაჰალე ელმაჩაირია. მართალია, იქ ახალციხელი მესხები ცხოვრობენ, მაგრამ მათ ქართული არ იციან; ბ) **გუნეი ქესთანე** - ბულგარელების და აფხაზების სოფელია. სულ ორი ოჯახია გურჯის, ისინიც გვიან, გარემოებათა გამო თუ ფექიქონაქიდან ჩასახლებული; გ) **ერიქლი** - ახალციხელი მესხების დასახლებაა და მათ ქართული ენა არ იციან (ჩვენ კი ქართულენოვან სოფლებს აღვრიცხავთ). მართალია, ინეგოლელთა თქმით, ერიქლიელები, თუ დასჭირდათ, თავს გურჯებად მიიჩნევენ, მაგრამ ეს ვითარებას ვერ ცვლის; დ) **ჰაჯიქარა** - ჩერქეზების სოფელია. ორიოდე ოჯახია გურჯის. ინეგოლელები მას ქართულ სოფლად არ მიიჩნევენ; ე) **იენიჯე** - წინათ დამოუკიდებელი დაბასოფელი იყო, მაგრამ ახლა ინეგოლის საზღვრებშია მოქცეული. აქ, გურჯების თქმით, ძირითადად „ზემო სოფლებიდან ჩამოსახლებულები“ ცხოვრობენ, მაგრამ მათი რამდენადმე ზუსტი აღრიცხვა (ისევე, როგორც ქალაქ ინეგოლის სხვა ნაწილებში), შეუძლებელია.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ცხრილში დასახელებულ ზოგიერთ სოფელზე: **ფინდიქლი** ქართულ დასახლებად უნდა ჩაითვალოს. აქ ძირითადად

ხულოს რაიონიდან გადასახლებულები ცხოვრობენ. ჩერქეზები უფრო ქვემოთ არიან - რუმნათაპაქოფრუში. არსებითად ეს დამოუკიდებელი სოფელია, რომელსაც ჩერქეზფინდიქლისაც უწოდებენ. რაც შეეხება **სულჰიეს**, წინათ **მეზითი** და სულჰიე ერთი სოფლის ნაწილები იყო. ახლა - გამიჯნულია. სულჰიე გურჯებთან დასახლებული, მეზითში აფხაზები (1858 წლიდან) ცხოვრობენ და, შესაძლოა, რამდენიმე ოჯახი ტრაპიზონელი ლაზებისა.

ცხრილში შევიტანეთ ბაჰარიეც. იგი შერეული სოფელია - ოც-ოცდახუთ-კომლიანი. წინათ ნახევარი გურჯი იყო. ახლა გურჯები მთლიანად მიგრირებული არიან. მამაპაპისეულ სახლში ზაფხულში თუ გამოჩნდება ვინმე, ისიც ძალიან იშვიათად.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები რწმენის სიმტკიცით გამოირჩევიან და ამის შესახებ თავადაც ხშირად მიუთითებენ ხოლმე. ინეგოლის ქართველობას, მეტადრე, აჭარიდან გადასახლებულებს, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მათი სიამაყის ერთ-ერთი მყარი საფუძველი სწორედ ისლამის ერთგულებაა.

მიგრაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კომლთა რაოდენობების დასახელება ამჯერადაც პირობითია: ჯერ ერთი, რიცხვი მიახლოებითია, მეორეც, სოფლები ინტენსიურად იცლება მოსახლეობისგან და „კომლთა“ უმეტესობა დიდ თუ მცირე ქალაქებს ავსებს.

ბურსის პროვინციაში ქართველების რამდენიმე ორგანიზაციაა. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და აქტიურია „*ინეგოლის კავასიური კულტურის საზოგადოება*“. საზოგადოებამ (ხელმძღვანელი - ომერ ფარუქ დემირთაში - ომარ მიქელაძე) გულითადად გვიმასპინძლა 2014 წლის ექსპედიციის წევრებს, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ხალხური ცეკვების საბავშვო ანსამბლმა „ჩვენებური“, რომელიც განთქმულია თურქეთშიც და საქართველოშიც და რომელსაც საქართველოდან (ქუთაისიდან) ჩასული ქორეოგრაფი ბესო ბუხაიძე ხელმძღვანელობს. ინეგოლელ ქართველთა სიამაყის კიდევ ერთი საფუძველია რამდენიმე წლის წინ მათივე ძალისხმევით დაარსებული მუზეუმი, რომელიც ქალაქის წარსულისა და თანამედროვეობის მრავალ საინტერესო დეტალს აცოცხლებს. მუზეუმის კოორდინატორი არის ქალაქის საკრებულოს (მეჯლისის) წევრი ნედიმ ბაირამი (ნოდარ ქავყარაძე). ქართულ საზოგადოებაში აქტიურად საქმიანობენ, აგრეთვე, აჰმეთ ქუფჩუოღლუ (დავითაძე), აიდინ სევინჩი, რეჯეფ ქუფჩუოღლუ (დავითაძე), მურათ აქთაში, რეჯაი ფორთაქალი (ბოლქვაძე), ნეზათ ბალი (ემირიძე), აჰმეთ ბაიჰანი (თავდგირიძე) და სხვანი.



ინეგოლის კავკასიური ფოლკლორის და კულტურის საზოგადოებაში - ომერ ფარუქ დემირთაში (ომარ მიქელაძე) და ნედიმ ზაირამი (ნოდარ ქავჭავაძე) ინეგოლი, 16 ივლისი, 2014 წ.



ინეგოლის ქართული ხალხური ცეკვების საზავშვო ანსამბლი „ჩვენებური“ რეპეტიციის შემდეგ. 16 ივლისი, 2014 წ.

ინეგოლის ქართული საზოგადოება ბევრი სხვა სიკეთითაც გამოირჩევა, მაგრამ რადგან ამგვარ ორგანიზაციათა საქმიანობას ამჯერად არ განვიხილავთ, იმითღა დავკმაყოფილდებით, რომ მადლიერებას გამოვხატავთ „ინეგოლის კავასიური კულტურის საზოგადოების“ ირგვლივ შემოკრებილი ჩვენებურების მიმართ სწორედ ზემოხსენებული „ბევრი სხვა სიკეთის“ გამო.

გარდა ამისა, როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ბურსის პროვინციაში რამდენიმე ორგანიზაციაა, რომლებიც ქართველებს აერთიანებს. 2014 წელს ჩვენ ზოგიერთი მათგანის მონახულების შესაძლებლობა მოგვეცა ბურსაში, ინეგოლში, იხნიქში და ა.შ.

მათ შორის იყო ინეგოლის ართვინელთა კულტურის საზოგადოება, რომლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ახმედ ჩეთინმა (ცვარიძე), ასევე დიდი დახმარება გაგვიწია ბურსის პროვინციაში ყოფნისას. ახმედი ჩვენმა ძველმა მეგობარმა, შავშმა (ბაზგირეთელმა) ენვერ დემირმა (ცვარიძე) გაგვაცნო და რაკილა თავად ავადმყოფობდა, ნათესავს სთხოვა ჩვენი მეგზურობა. ახმედმა დაუზარებლად მოგვატარა ბურსის პროვინციის ქართული სოფლები.

„ინეგოლის ართვინელთა კულტურის საზოგადოება“, ძირითადად, შავშმების ორგანიზაციაა. ახმედი წლების განმავლობაში ზემოხსენებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე იყო და ამასთან, ცეკვის და სიმღერის მასწავლებელი. 2014 წელს გაერთიანების თავმჯდომარე იყო ბაიქან დუმეში - წარმოშობით შავში, სოფ ჭუარებიდან. ჭუარები ის ნაწილია შავშეთისა, სადაც ქართული დიდი ხანია დაივიწყეს. ცხადია, არც ბაიქანმა იცის ქართული და არც ქართველობს, თუმცა, ჭუარებში ქართული ფესვების არსებობას არ გამორიცხავს.

მიუხედავად ამისა, ორგანიზაციაში ახმედის გარდა სხვა ქართულენოვან შავშმებსაც შევხვდით - იმერხეველებს უბიდან, წიწვეთიდან, ხობლევიდან. ანუ ორგანიზაცია აერთიანებს ართვინელებს, უფრო შავშმებს, განურჩევლად იმისა, რა ეროვნების წარმომადგენლად მიიჩნევენ თავს.

რამდენიმე წლის წინ საზოგადოება ორად გაიყო და განაყოფს „შავშეთის კულტურის საზოგადოება“ ეწოდა. როგორც ამბობენ, გაყოფა ძირითადად პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა.

საკუთრივ ქალაქ ინეგოლის მოსახლეობა 160 000 სულს შეადგენს, ხოლო ილჩესი - 220 000-ს; აქედან მოსახლეობის 30-35%, იქნებ მეტიც, ეთნიკური ქართველია. ცხადია, ეს მონაცემებიც ზუსტი არა, მაგრამ რეალობასთან შეძლებისდაგვარად მიახლოებულია.



იმერხველთა ცეკვა სოფ. ბოლაზუქოში (ქარაჯაბეის რაიონი, ზურსის პროვინცია).
15 ივლისი, 2014 წ.




იმერხველთა ხორუმი: ახმედ ჩეთინი (ცვარიძე) და მისი მოსწავლეები ინეგოლში. 16 ივლისი, 2014 წ.

ინეგოლის ილჩე

ბილევჯიქის ცენტრალური რაიონი

ბოზუიუქის ილჩე
(ბილევჯიქი)

ოსმანელის ილჩე
(ბილევჯიქი)



ქესთელის ილჩე
(ბურსა)

ოსმანგაზის ილჩე
(ბურსა)

დომანიის ილჩე
(ქუთაბა)

1. ინეგოლის (İnegöl) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ბაჰარიე ¹ Bahariye		15	აჭარა	აჭარისწყლის ხეობა
2	ბაჰჩეკაია ² Bahçekaya		20	აჭარა	შუახევი, ხულო
3	გულბაჰჩე Gülbahçe		65	აჭარა	ხულო. ძირითადად, ლორჯომი.
4	ესკიქარაკაია ³ Eskikaracakaya		15	აჭარა	
5	თუფექი- ქონაქი Tüfekçikonak		200	აჭარა	შუახევი (ოლადაური, მაწყვალთა, დღვანი, კვიახიძეები, ლომანაური და სხ...), ხულო
6	მერზუქიე ⁴ Merzukiye	ფინდიქლი	20	აჭარა	
7	მესრურიე Mesruriye		40	აჭარა	შუახევი: ფურტიო, დღვანი, ოლადაური...
8	მურათბეი Muratbey	დერეჩათი	80	აჭარა	ჩაქვი
9	საადეთი ⁵ Saadet	ფაზარ ალანი	40	აჭარა	შუახევი (ჭვანა - ქალა, წყართა; გომარდული), ხულო...
10	სულჰიე ⁶ Sulhiye		65	აჭარა	შუახევი: დღვანი, ნენია, მაწყვალთა, გულაშვილები, კარაკეტი...
11	ფევიზიე Fevziye	ტომაშეთი	50	აჭარა	შუახევი: ტომაშეთი, დარჩიძეები...

¹ კომლთა საერთო რაოდენობა: 40. წინათ მოსახლეობის ნახევარი გურჯი იყო. ახლა ქართველები მთლიანად მიგრირებული არიან. ზაფხულში თუ გამოჩნდება იშვიათად ვინმე მა-მაპაპისეულ სახლში.

² მესრურიეს განაყოფი სოფელია.

³ გარდა გურჯებისა, ორიოდ აფხაზის ოჯახია, რამდენიმე - ალბანელის.

⁴ მერზუქიე ჩიფთლიქის უბანი იყო, დიდი ხანი არაა, რაც დამოუკიდებელ სოფლად გამოიყო. რაც შეეხება ძველ სახელს (ფინდიქლი), ინეგოლში არის კიდევ ერთ ფინდიქლი, მაგრამ ის ჩერქეზების სოფელია.

⁵ წინათ სოფელი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ ახლა მიწები საა-გარაკედ იყიდება და ოციოდე ოჯახი ჩასახლებულია.

⁶ ქართველებთან ერთად ხუთიოდე ოჯახია აფხაზებისა.

12	ქარაქადი ¹ Karakadı	მურათფინარი	60	აჭარა	ხულო: წაბლანა და სხ.
13	ჩაილიჯა Çaylıca	ზათაქლი	40	აჭარა	ხულო
14	ჩიფთლიქი Çiftlikköy		100	აჭარა	შუახევი (შუბანი, იაკობაური, დარჩიძეები), ხულო (ლორჯომი...)
15	ჰაირიე Hayriye		150	აჭარა	მაჭახელი: (ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ზედვაკე), ბათუმი (კირნათი, ერგე)
16	ჰამიდე Hamidye	გაზელლი	80	აჭარა	შუახევი (ნიგაზეული, ფურტიო, ნენია, დარჩიძეები, ტბეთი...), ხულო (ხულო, რიყეთი, ლორჯომი...), შავშეთი (ერთი ოჯახია სხლოზანიდან)
17	ჰასანფაშა Hasanpaşa		120	აჭარა	ჩაქვი
18	ჰილმიე Hilmiye		150	აჭარა	შუახევი (ჭვანა, ალმე, ნენია, ჩანჩხალო...), ხულო (თხილვანა და სხ.)



პროფ. თინა შიომვილი და დოქტორანტი თამარ ჩოხარაძე ადგილობრივ ქართველებთან ერთად სოფ. ჩაილიჯას (ინეგოლის რაიონი, ბურსის პროვინცია) ჯამის ეზოში. 10 ივლისი, 2014 წ.

¹ ზემო აჭარიდან გადასახლებულებთან ერთად ათიოდე ოჯახია ახალციხელი მესხებისა.

იზნიქის ილჩეშიც ზემო აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები სჭარბობენ. თუმცა, ზღვისპირელებიც ცხოვრობენ. აქ ერთ ჯგუფად რამდენიმე სოფელია და ამ დასახლებებს გურჯები „იზნიქის აჯარას“ უწოდებენ.

2. იზნიქის (İznik) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ელმალი ¹ Elmalı		150	აჭარა	აჭარისწყლის ხეობა (ახო და სხ.)
2	ქირინთი Kırıntı		50	აჭარა	შუახევი (ტაკიმეები და სხ.), ხულო (დორჯომი...), ბათუმი (მახინჯაური...)
3	ქუთლუჯა Kutluca		30	აჭარა	აჭარისწყლის ხეობა
4	ჯანდარლი Candarlı	უზუნჩაირი	40	აჭარა	აჭარისწყლის ხეობა
5	ჰაჯიოსმანი ² Haciosman		150	აჭარა	ხულო (დორჯომი...)

ქესთელის გურჯები ძირითადად ნიგალიდან და მურღულიდან არიან. ცხრილში ოთხი სოფელი შევიტანეთ. მათგან ოსმანიეში უჭირთ ქართული - წინაპართა ენა მწირი ლექსიკის დონეზე დარჩენილა სამუალო და უფროს თაობაში. აქ არა მხოლოდ ნიგალიდან, არამედ არტანუჯიდან და, შესაძლოა, შავშეთიდან წასულთა შთამომავლებიც ცხოვრობდნენ.

ცხრილში არ შევიყვანეთ ქესთელის რაიონის რამდენიმე სოფელი. კერძოდ, ა) სეიდაბათი, რომელშიც კლარჯეთიდან, კერძოდ, მელოდან, ჭიმჭიმიდან, ხოდიდან გადასახლებულთა შთამომავლები სახლობენ. გურჯები რომ არიან, იციან, თუმცა ქართულს ვერ ფლობენ. წინაპრები რომ ლაპარაკობდნენ მშობლიურ ენაზე - ახსოვთ; ბ) ბურჰანიე, რომელშიც ახალციხელები მესხები

¹ ელმალი ცენტრალური სოფელია. სეირასანმაჰალე, ფაშამაჰალე და ოზექდერე მის უზნებად ითვლება, თუმცა ისინიც დამოუკიდებელი სოფლების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

² ჰაჯოსმანი ცენტრალური სოფელია. კირქვარმანი და სარისუ მაჰალეებად ითვლება. მართალია, უფრო დამოუკიდებელი სოფლების შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ ჰაჯიოსმანზე არიან „მიბმული“. ანუ ერთი სამუხტროა სამი სოფლით.



სოფ. ელმალი (იზნიქის რაიონი, ბურსის პროვინცია). 13 ივლისი, 2014 წ.




ექსპედიციის წევრები სოფ. ჰაჯიოსმანში (იზნიქის რაიონი, ბურსის პროვინცია). 13 ივლისი, 2014 წ.

ცხოვრობენ და ქართული არ იციან. დასაშვებია, რომ ესენი იყვნენ პირველი თაობის - მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მუჰაჯირები; გ) გოზედე; დ) დერე-ქიზიქი; ე) ქოზლუორენი - საკმაოდ მოზრდილი სოფლებია, სამივეში ცხოვრობს რამდენიმე კომლი ქართველებისა, მაგრამ მაგრამ ისინი არა მუჰაჯირობისას, არამედ გვიან ჩასახლებულები არიან.

3. ქესთელის (Kestel) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველითა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ალაჩამი Alaçam	თეშვიქიე	200	კლარჯეთი	მურდული: გურბინი, ბაგა, კაპარქეთი, მანცული, ისკები
2	ორჰანიე Orhaniye	ხატილა	200	კლარჯეთი	ართვინი: ხატილა
3	ოსმანიე Osmaniye		80	კლარჯეთი	ნიგალებს გარდა აქ, შესამ- ლოა, არტანუჯიდან და შავშე- თიდან გადასახლებულთა შთამომავლების რამდენიმე ოჯახი იყოს
4	საიფიე Sayfiye	ბაიდინი	100	კლარჯეთი	მურდული

გემლიქში სამი გურჯების და ორიც ლაზების სოფელია. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შევიყვანეთ ადლიეც, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული აქ თითქმის აღარ იციან - ორიოდ მოხუცი თუ მოახერხებს მშობლიურ ენაზე კომუნიკაციას, აქ ნიგალიდან - ძირითადად, ირსადან, ებრიკადან, სინკოთიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. წინა თაობის სოფელი ქართულად ლაპარაკობდა, თუმცა, ყველამ მაშინაც არ იცოდა. საინტერესო ისაა, რომ ნაწილი ადლიელებისა ამბობს - ჩვენი წინაპრები ბათუმიდან მოსულან ლივანის სოფლებში, ერთხანს იქ უცხოვრიან და მერე წამოსულან მუჰაჯირადო. რაც შეეხება ჰამიდიეს, იგი ძირითადად ნიგალები გურჯებითაა დასახლებული. რამდენიმე პარხლელიც ცხოვრობს, რომელთაც ქართული არ იციან, მაგრამ ქართული სოფლების შესახებ სმენიათ. ჩაველების და მახინჯაურელების სოფელია ჰაიდარიე.



კლათის წვნა - ინეგოლის მუზეუმის ექსპოზიცია. 16 ივლისი, 2014 წ.



სოფ. ჰამიდიე (ინეგოლის რაიონი, ბურსის პროვინცია), აბდულაჰ თათაროღლუს ეზოში.
9 ივლისი, 2014 წ.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ამ ეტაპზე მონაცემები ლაზური დასახლებების შესახებ ცხრილებში არ შეგვაქვს, თუმცა შევნიშნავთ, რომ გემლიქის რაიონში ლაზური სოფლებია შუქრიე და ფევზიე. იქ ცხოვრობენ ჩხალის ხეობელი ლაზები, რომლებიც (საშუალო და უფროსი თაობა) წინაპართა ენას ფლობენ.

4. გემლიქის (Gemlik) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ადლიე Adliye	ყავახდიბი	120	კლარჯეთი	ართვინი (ირსა, სინკოთი...), ზორჩხა (ებრიკა...)
2	ჰამიდიე Hamidiye		120	კლარჯეთი აჭარა	ართვინი (ირსა, ბეშული...), ზორჩხა (ადაგული, ხემა, ებრიკა...), მაჭახელი
3	ჰაიდარიე Haydariye	ელჯივა	150	აჭარა	ბათუმი (მახინჯაური), ჩაქვი, ქობულეთი

მუსტაფაქემალფაშას ილჩეში სულ ორი ქართული სოფელია, ძირითადად, ნიგალიდან გადასახლებულებს:

5. მუსტაფაქემალფაშას (Mustafakemalpaşa) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ქარაფინარი Karapınar	ქირმასტა	80	კლარჯეთი შავშეთი	ზორჩხა (ქლასკური), მურღული...
2	ქომურჯუქადი Kömürçükadı	აქალან	60	კლარჯეთი	მურღული: ქურა, ბაგა, ისკები, ბაშქოი

ორჰანგაზიში ერთი სოფელი გურჯებისაა, ერთიც - „ქომოხტი“ ლაზების:

6. ორჰანგაზის (Orhangazi) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ჰამზალი Hamzali		45	აკარა	მაქაბელი

ერთადერთი ქართული სოფელია ქარაჯაბეის ილჩეში. ისიც, როგორც აღვნიშნე, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებში ჩასახლებული შავშებისა.

7. ქარაჯაბეის (Karacabey) ილჩე


#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ბოღაზქოი Boğazköy		120	შავშეთი	იმერხევი ¹

მართალია, ამჯერად ჩვენ მხოლოდ ქართული ენის გეოგრაფიას ვეხებით, ანუ იმ დასახლებებს, სადაც ქართული ენა ჯერ კიდევ ისმის, ზემოთ მაინც ვახსენეთ ჭოროხის აუზის არაქართულენოვანი სივრციდან გადმოსახლებულთა რამდენიმე სოფელი. სასურველი სიზუსტით ამ სოფლების აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, ვემბოთ ასეთი დასახლებებიც. ამიტომ შევნიშნავთ, რომ ბურსის პროვინციისვე ორჰანგელის და ოსმანგაზის რაიონების სოფლებში - სულიმანიეში, სოუქფინარსა და ქარაისლაში (ყარაისლაში) ცხოვრობენ კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა მხარიდან“ წასულთა შთამომავლები (დოლისყანა, ჯმერკი, დაბა, ბერთა და სხ.). ამ მიდამოებში მუჰაჯირობის დროს, მე-19 ს-ის 70-80-იან წლებში ქართული უკვე აღარ ახსოვდათ. საინტერესო და გარკვეულწილად, პარადოქსულიც ისაა, რომ ამ სოფლებზე მიგვითითეს როგორც გურჯების სოფლებზე. საკუთრივ სოფლებში კი, უმრავლესობამ მათგან, ვისთანაც ურთიერთობა გვქონდა, ახალციხელ თურქებად წარმოგვიდგინა თავი. თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც, ზოგიერთი არც აქ გამოირიცხავდა ქართულ წარმოშობას.

¹ შავშები 1974 წელს დასახლდნენ ამ სოფელში. მათ გარდა, 15 ლაზური კომლი ცხოვრობს.

4. იალოვას პროვინცია

იალოვას პროვინცია ზემოთ დასახელებულებთან შედარებით მცირეა. აქ სულ ექვსი რაიონია და სამ მათგანში გურჯების და ლაზების სოფლებია - არმუთლუში - 3, თერმალში - 2, ჩინარჯიქში - 2. ქართველთა რაოდენობა ამ რაიონებში დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს. ცხადია, ქართველები ცხოვრობენ ილჩეების დედაქალაქებშიც.



იალოვაში ცხოვრობენ მაჭახლიდან და კლარჯეთიდან (ნიგალიდან) გადასახლებულები, ასევე ლაზები. მიგრაციის გამო სოფლების უმრავლესობა აქაც პრაქტიკულად დაცლილია. ქართველების რაოდენობა ამ პროვინციაში ალბათ 10 000-ს არ გადააჭარბებს. ახალი თაობა

ამ რეგიონშიც სწრაფად კარგავს ფესვებს, კარგავს ენას და შეუქცევად ასიმილაციას განიცდის. ალაგ-ალაგ შეხვედრილი ქართული წარწერები კი, მრავალი მიზეზის გამო, სიხარულთან ერთად ნაღველსაც აღძრავს...

1. არმუთლუს (Armutlu) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	მეჯიდიე ¹ Mecidiye	სოღანჩაირი	50	აჭარა	მაჭახელი
2	სელიმიე Selimiye	სოიუქსუ დაუჯანა	30	კლარჯეთი შავშეთი	
3	ჰაირიე Hayriye	ჩიფთლიქი	50	კლარჯეთი	ბორჩხა: დევსქელი, ადაგული

¹ კომლთა საერთო რაოდენობა: 150. ქართველები სახლობენ ორ უბანში (ბელქეჩე და ჩადრა) - დაახლოებით ოცდახუთი კომლი თითოეულში, თუმცა, მიგრაციის გამო სოფლები თითქმის დაცლილია. უმრავლესობა ჰამზალიში (ორჰანგაზი) არის გადასახლებული.



2014 წლის ექსპედიციის წევრები სოფ. ჰაირიეს (არმუთლუს რაიონი, იალოვას პროვინცია) ჯამის ეზოში. 14 ივლისი.

თერმალის ილჩეში სულ ორი სოფელია: აქქოი (Akköy) და იენიმაჰალე (Yenimahalle). იქ ქართველებთან ერთად ბალკანელებიც ცხოვრობენ. ყველაზე ქართული დასახლებები - **უვეზფინარი** და **გოგჩედერე** სინამდვილეში იენიმაჰალეს უბნებია, რომლებიც 1990 წელს შეუერთდა მას და ერთ მოზრდილ სოფლად ჩამოყალიბდა (1800-მდე მცხოვრებით). იენიმაჰალეში ლაზური უბნებიცაა. ძირითადი მოსახლეობა ლაზებია (როგორც ჩანს, უფრო ხოფის რაიონიდან და ჩხალის ხეობიდან) აქქოიშიც.

2. თერმალის (Termal) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	იენიმაჰალე ¹ Yenimahalle		110	აჭარა	მაჭახელი
2	აქქოი ² Akköy		30	აჭარა	მაჭახელი

¹ კომლთა საერთო რაოდენობა - 500. ქართულენოვანი მოსახლეობის უბნებია, როგორც აღვნიშნეთ, უვეზფინარი (Üvezpınar) და გოგჩედერე (Gökcedere).

² კომლთა საერთო რაოდენობა - 500. ქართულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა, იენიმაჰალესთან შედარებით, ნაკლებია.



აჭარის ტელევიზიის (რუსულდან აბაშიძე, მინდია კუპრაძე) ინტერვიუ ენვერ დემირთან (ცვარიძე).
ზურსა, 15 ივლისი, 2014 წ.



ძველი ნალია სოფ. ქომურჯუქადიქოიში (მუსტაფაქემალფაშას რაიონი, ზურსის პროვინცია).
15 ივლისი, 2014 წ.

ჩინარჯიქის რაიონში ქართულენოვანი სოფლებია თეშვიქიე და ესენქოი. გარკვეული რაოდენობით გურჯები ცხოვრობენ დაბა (ბელდე) ქოჯადერეში, თუმცა, დასაზუსტებელია, მუჰაჯირობისას დაფუძნებულთა შთამომავლები არიან თუ უფრო გვიან ჩასახლებულები, ამიტომ მონაცემების ცხრილში შეტანისგან ამჯერად თავი შევიკავეთ. დასაზუსტებელია ვითარება, აგრეთვე, სოფ. ორთაბურუნში.

3. ჩინარჯიქის (Çınarcık) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	თეშვიქიე ¹ Teşvikiye	ზინდანი	100	აჭარა შავშეთი	მაჭახელი: ზედვაკე, აკრია, ქვაბითავი... შავშეთის რაოდენობა მცირეა. ძირი- თადად იმერხევის სოფლებიდან გადასახლებულთა შთამომავლებია.
2	ესენქოი ² Esenköy		200	კლარჯეთი	

¹ კომლთა საერთო რაოდენობა: 500. თეშვიქიე დაბა (ბელდე).


² კომლთა საერთო რაოდენობა: 800. ესენქოი დაბა გურჯებთან ერთად აქ ლაზებიც ცხოვრობენ.

5. საქარიას პროზინცია

საქარიას (ადაფაზარის) პროვინციაში 13 რაიონია. ამთგან 8 „ქართულია“. ყველაზე მეტი ქართული დასახლებული პუნქტი ჰენდექშია - 23. მათგან 9 მხოლოდ გურჯებისა, 10 - შერეული, ოთხი - ლაზებისა. ნიშანდობლივია, რომ ჰენდექში 10 აფხაზური სოფელია.

ჰენდექში, ძირითადად, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებია. **საფანჯას** რაიონის ქართულ მოსახლეობაშიც სჰარბობს ნიგაღელ მუჰაჯირთა შთამომავლები. იქ აჰარისწყლის ხეობიდან გადასულებიც ცხოვრობენ ალაგ-ალაგ, მაგრამ უმრავლესობა მარადიდის, კირნათის, ხეხას, ბელღევანის მუჰაჯირებია. ზოგი იმასაც იტყვის - ბათუმიდან მოვსულვართ ბელღევანს და იქიდან წამოვსულვართ მუჰაჯირადო, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საფანჯაც მარმარილოს რეგიონის „ყველაზე ქართულ“

N	რაიონი	სოფლების რაოდენობა
1	ჰენდექი	22
2	საფანჯა	15
3	გეივე	5
4	ქოჯაალი	4
5	აქიაზი	4
6	ქარაფურჩექი	4
7	ქარასუ	1
8	საქარია	1



რაიონთა შორისაა. მართალია, ტერიტორიით და სოფლების რაოდენობით არ არის დიდი, მაგრამ თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი მთლიანად ან ნაწილობრივ ქართულია - გურჯების ან ლაზების.

აქვე ჩამოვთვლით აფხაზების სოფლებს ჰენდექის რაიონში (შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთ სოფელში ქართველებიც ცხოვრობენ - უფრო ლაზები). ქალაიქი, იარიჯა, ზობეგმაჰალე, უზუნჯეორმა, სივრითეფე, ქურთქოი, აქთეფე, ჰაჯიქუშთა, სოუქსუ, ნუფრა.

გეივეს სოფლებში ძირითადად მარადიდიდან ან ახლომახლო მიდამოებიდან არიან.

უმეტესად ჭოროხის ქვედა წელიდან გადასახლებულთა შთამომავლები არიან **ქარასუსა (ყარასუ)** და **ქოჯაალის** ქართველები - უფრო მირვეთი, კირნათი, გვარა, ქედქედი, მახო, სიმონეთი, თხილნარი, ასევე, ქედა.

რაც შეეხება **ქარაფურჩექსა** და **აქიაზის**, აქ უკვე ქვემო აჭარასთან ერთად ჩნდებიან **ზემო** აჭარიდან გადასახლებულებიც. როგორც აღვნიშნეთ, აქიაზიში არის ჭოროხის ზედა წელიდან - **იუსუფელის** თუ პარხლისწყლის მიდამოებიდან გადასახლებულთა სოფელი - შერიფიე. ამსოფლელებმა ცუდად, მაგრამ მაინც იციან ქართული. სამაგიეროდ, შავშელთა სოფელ ბელდიბიში წინაპართა ენა თითქმის სრულიად დაუვიწყრიათ, ხსოვნაც წინაპრების შესახებ მკრთალად შემორჩენილა....

ცხადია, გურჯები მრავლად ცხოვრობენ საქარიას პროვინციის დედაქალაქში, მაგრამ აქ მათი აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. გურჯებისაა ადაფაზარზე „მიბმული“ სოფელი ქიშლაჩაიც (ყიშლაჩაი).

აქვე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ხატილაზე. ხატილას ხეობა ართვინთან ახლოს, ჭოროხის მარცხენა ნაპირზეა. პრაქტიკულად, სწორედ ამ ხეობასთან მთავრდება ქართული ენის გავრცელების არეალი თანამედროვე ნიგალში. ზემოთაც მივუთითებდით, ჭოროხის მარცხენა სანაპიროს ბოლო „ქართულენოვანი“ სოფელია ომანა (მარჯვენა სანაპიროსი - ახალდაბა). ხატილას (დღეს Taşlıca) მოსახლეობა ქართულად ვეღარ ლაპარაკობს, თუმცა ხსოვნა ამ ენაზე მოლაპარაკე წინაპრების შესახებ აქა-იქ შემორჩენილია.

ნიშანდობლივია, რომ მუჰაჯირ ხატილელებს ხეობის თუ სოფლის სახელიც შემოუნახავთ. ჰენდექის რაიონის სოფელ გუნდოლანს (ძვ. ინამიე) დღესაც „ზომოთა ხატილას“ უწოდებენ, ხოლო იქრამიეს - „ქომოთა ხატილას“. ხატილად იწოდება აქიაზის ილჩეს სოფელი რეშადიეც. ხატილელები, დასახლებულის გარდა, სხვაგანაც ცხოვრობენ (მაგ, ლუთფიექოშქი, ქარაფურჩექი...).



ჩვენებურთა სახელდახელო ხორუმი სოფელ სითმაფინარში (ჰენდექის რაიონი, საქარიას პროვინცია).
17 ივლისი, 2013 წ.



გურჯის გოგო სოფ. სითმაფინარიდან. (ჰენდექის რაიონი, საქარიას პროვინცია). 17 ივლისი, 2013 წ.

ყველაზე საინტერესო და გარკვეული თვალსაზრისით, პარადოქსულიც ისაა, რომ ხატილას ხეობიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს დღემდე ახსოვთ ქართული ენა.

მეტიც, - ჩვენმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა კლარჯეთის ხატილადან, ისმეთ ალთუნთაშმა, მოგვითხრო, რომ 1967 წელს, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ზემოხსენებულ სოფელ რეშადიეში ჩასულა, საქარიას პროვინციაში. იქ მისი მუჰაჯირად წასული ნათესავების შთამომავლები ცხოვრობდნენ. ნათესავი ყოფილა მუხტარიც. პირველ რიგში მუხტარს ის



დამახასიათებელი წარწერა საფლავის ქვაზე ქართველ მუჰაჯირთა სოფელში: **ბათუმში დაბადებული - მეუღლე შაღბანისა. ფითნათ აკინის სულის ცხონებისთვის.**

უკითხავს, იცოდა თუ არა ისმეთმა ქართული ენა. როცა უარყოფითი პასუხი მიუღია, გაუკიცხავს - თუ ქართული არ იცი, რა კაცი ხარო!

ისმეთს რეშადიეში დასახლება უნდოდა. მუხტარს უთქვამს, - ვინც ქართული არ იცის, ამ სოფელში ვერ იცხოვრებსო და სამოსახლო მიწის გაცემაც უარი განუცხადებია...

იქნებ მუხტარის უარს სხვა მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ რესპონდენტის ამგვარი განმარტება ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესოა. სამწუხაროდ, დღეს

რეშადიეში, ისევე როგორც ინამიესა თუ იქრამიეში, ქართული ენის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ნაკლებად იგრძნობა. ხატილელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელშიც უმცროსმა თაობამ წინაპართა ენა აღარ იცის.

ამრიგად, ართვინის ხატილაში უკვე დიდი ხანია დაავიწყდათ ქართული ენა. სამაგიეროდ, ართვინიდან გადახვეწილმა მუჰაჯირებმა შორეული საქა-

რიას პროვინციაში შეინახეს მშობლიური ენაც და ხსოვნაც ქართველი წინაპრების შესახებ¹.

ამავე კონტექსტში შეიძლება ვისაუბროთ ზემოხსენებულ სოფელ ადლიე-ზეც (გემლიქის რაიონი, ბურსის პროვინცია), რომელშიც ნიგალელები (ირსა, ბეშაული, სინკოთი და სხ.) ცხოვრობენ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ქართულენოვანი სივრცე დღეს სწორედ ამ სოფლების, კონკრეტულად - ირსას მიღმა იწყება: ახალდაბა, რომელიც პირველი ქართული სოფელია ართვინს-ქვემოთ, ადმინისტრაციულად ადაგოლის ნაწილია, თუმცა, უფრო დამოუკიდებელი სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომაც ვმიჯნავთ ამ უკანასკნელისგან. ასე, რომ, ქართული აღარ იციან ირსაში, ბეშაულსა და სინკოთში², ადლიეში კი, მართალია, ქართული თითქმის სავსებით დავიწყებიათ, რამდენიმე მექართულე მოხუცს ახლაც შეხვდები და, მითუმეტეს, შენახულია ხსოვნა ქართულენოვანი წინა თაობების შესახებ. ცოტა ახსოვთ, მაგრამ ზოგმა, შესაძლოა, დაზუსტებაც სცადოს - ირსადან და სინკოთიდან მოსულებმა ქართული იცოდნენო.

ქართული მოსახლეობის რაოდენობას ვერც საქარიას პროვინციაში დავასახელებთ, თუმცა, ფაქტია, რომ მეტად ზოგადი ვარაუდითაც ასეულ ათასს უნდა სჭარბობდეს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქარიაში 2013 წელს ვიყავით. მანამდე, გებზეში ყოფნისას, „მარმარილოს ქართველების“ საზოგადოების ხელმძღვანელს, ჩვენს ძველ მეგობარ უღურ ზუბოლლუს (იმერ ზუმბაძეს) შევუარეთ. სწორედ მან გაგვაცნო ერდოლან შენოლი (ერეკლე დავითაძე), საქარიელი ქართველი. ჩვენი დანმარება სთხოვა და იმანაც გულითადად გვიმასპინძლა. სწორედ ერეკლეს და მისი მეგობრების (მუსტაფა ქოლათი, ადემ ზენგინი, ალი იჰსან ოზჩელიქი, ისმაელ სერდარი, საბათთინ სარი...) შემწეობით და მეგზურობით მოვიარეთ საქარიას პროვინციის ქართული სოფლები.

¹ 2014 წლის ზაფხულში ანალოგიურ სურათს წავაწყდით სინოპის პროვინციაში, ნაჯვიადან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში. ნაჯვია ჭოროხის აუზში ართვინთან ახლოს, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ხატილასწყლისა და ჭოროხის შესართავთან. თანამედროვე ნაჯვიას მოსახლეობა ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ნაჯვიადან იწყებს ართვინსმიღმა ქართულენოვანი სივრცის ჩამოთვლას დიმიტრი ბაქრაძე (ბაქრაძე, 1880: 2). სინოპის პროვინციის სამ სოფელში (ლალა, აქქირაჩი, თანგალი) მცხოვრებმა ნაჯვიელებმა კი ქართული იციან.


² სინკოთიდან იწყებს ქართულენოვანი სოფლების ათვლას ზ.ჭიჭინაძე: „ართვინის ახლოს მდებარე სოფ სინკოთიდან ქართული ენა იწყება ქართველ მაჰმადიანთა შორის და იგი დასავლეთამდე მიემართება (ჭიჭინაძე, 1913: 303).



ქართული წარწერა სოფელ აჰმედიესთან (ქარაფურჩეის რაიონი, საქარაის პროვინცია).
21 ივლისი, 2013 წ.



საუბრები კლარჯებთან: სოფ. ბიჩქათიქი (ჰენდექის რაიონი, საქარაის პროვინცია). 14 ივლისი, 2013 წ.



ჰენდექში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია. ლაზების სოფელია გოქსუ, აქჩაირი და აქოვა, თუმცა ამ უკანასკნელში ძირითადად აფხაზები და ჩერქეზები ცხოვრობენ; კომლთა საერთო რაოდენობა სამასამდეა. ლაზური ოჯახების რაოდენობა მცირეა. საზოგადოდ კი, როგორც ჩანს, სამივე სოფელი ე.წ. ტრაპიზონელი ლაზებითაა დასახლებული.

1. ჰენდექის (Hendek) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
3	ბალიქლიიჰსანიე ¹ Baliklihsaniye	ბალიქლი	30	კლარჯეთი	
4	ბიჩქიათიქ ² Bıçkياتik	ქართლა	80	კლარჯეთი	ართვინი: ქართლა
6	გულდიბი Güldibi	გველი	80	კლარჯეთი	მურღული: გველი, ქამილეთი ³
7	გუნდოღანი Gündoğan	ინამიე (ზომოთა ხატილა)	40	კლარჯეთი	ართვინი: ხატილა
8	ესენტეფე Esentepe	ტრაპენი	80	კლარჯეთი	ართვინი: ტრაპენი
9	იეშილვადი ⁴ Yeşilvadi	ყარაჩოქეიქი	160	კლარჯეთი	
10	იქბალიე İkbaliye ⁵	ავანა	40	კლარჯეთი	ართვინი: ავანა
11	იქრამიე İkramiye	ქომოთა ხატილა	80	კლარჯეთი	ართვინი: ხატილა
12	ლუთფიექოშქი Lütfiyeköşk		80	კლარჯეთი	ართვინი: თხილა ზორი, ურზუმა, ომანა. ქართლა
13	მურადიე Muradiye	თოხვეთი	20	კლარჯეთი	
14	ნურიე Nuriye ⁶		200	კლარჯეთი ⁷	მურღული: გველი
15	სერვეთიე Servetiye	არხვა	90	კლარჯეთი ⁸	ართვინი: არხვა
16	სულიეიმანიე Süleymaniye	თექელლეგი	60	კლარჯეთი ⁹	ბორჩხა, მურღული, მაჭახელი

¹ უფრო ცნობილია, როგორც „იჰსანიე“.

² სოფელში რამდენიმე აფხაზური ოჯახიცაა.

³ გიულდიბის უზანი (მეჰელე) არის შევქეთიე, რომლის ძველი („შინაური“) სახელი არის ქამილეთი.

⁴ კომლთა საერთო რაოდენობა სამასამდეა. მათგან ასამდე აფხაზია. დარჩენილთაგან - ნახევარი გურჯი, ნახევარი - ლაზი.

⁵ იქბალიე (იგივე სითმაფინარი) და ფინარლი წინათ ერთი სოფელი იყო, ერთი მუხტრით. დიდი ხანი არაა, რაც დამოუკიდებელ სოფლებად ჩამოყალიბდნენ.

⁶ სოფელი ჰენდექს შეუერთდა და მის უზნად იქცა. ამჟამად მთელი მოსახლეობა 1200-ს აჭარბებს. ასამდე კომლი გურჯია, ამდენივე - ლაზი, დანარჩენი - სხვანი.

⁷ მცირე ნაწილი მოსახლეობისა ლაზია.

⁸ აქვე ცხოვრობს 30 კომლამდე ლაზი ხოფა-არჰავის მიდამოებიდან.

⁹ აქვე ცხოვრობს 10 კომლამდე ლაზი ხოფა-არჰავის მიდამოებიდან.

17	ფინარლი Fınarlı ¹	ავანა	25	კლარჯეთი	ართვინი: ავანა
18	ქარგალიენიქოი Kargaliyeniköy ²	გურჯიქარ-გალი	60	კლარჯეთი	
19	ქიზანლიქი Kızanlık		50	კლარჯეთი ³	
20	ჰამითლი Hamitli	უზუნჯე, ჯინგენფინარი	100	კლარჯეთი ⁴	ართვინი
21	ჰიჯრიე Hicriye	ორჯი	30	კლარჯეთი	ართვინი: ორჯი
22	ჰუსეინშეიჰი Hüseyinşeyh ⁵		70	კლარჯეთი ⁶	

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ყველაზე ქართული რაიონია **საფანჯაც**. კერძოდ, ბალქაია (Balkaya), იქრამიე (İkramiye), ფევზიე (Fevziye), ქარაგოლი (Karagöl), ჰაჯიმერჯანი (Hacimercan), შუქრიე (Şükriye), უზუნქუმი (Uzunkum) მთლიანად ლაზებითაა დასახლებული (გურჯების და ლაზების შერეული სოფლები მითითებულია ცხრილში).

2. საფანჯას (Sapanca) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	აკჩაი ⁷ Akçay		150	კლარჯეთი	
3	გულდიბი ⁸ Güldibi		100	აჭარა	ბათუმი (ნიგალი): კირნათი
4	ერდემლი Erdemli	ულვიე	40	კლარჯეთი	ბორჩხა: მარადიდი, ბელლევანი, ხემა...

¹ იხ. შენიშვნა იქვალისთან.

² არ უნდა ავუროთ ჰენდექისვე სოფელ **ინიქიოი**ში, რომელიც აფხაზების დასახლებაა, ან **ქარგალიჰანაბა**ში, რომელიც ჩერქეზების სოფელია. შევნიშნავთ, ასევე, რომ ქარგალიენიქოიში ოციოდე ლაზური ოჯახიც ცხოვრობს.

³ აქვე ცხოვრობს 10 კომლამდე ლაზი.

⁴ აქვე ცხოვრობს 30 კომლამდე ლაზი რიზე-ტრაპიზონის მიდამოებიდან.

⁵ კომლთა საერთო რაოდენობა - 100. გურჯი - 50; ლაზი - 30; სხვები - 20 (აფხაზები და სხ.).

⁶ მცირე ნაწილი მოსახლეობისა ლაზია.

⁷ კომლთა საერთო რაოდენობა - 200. მოსახლეობის ნაწილი ლაზია. არის რამდენიმე ჩერქეზული ოჯახიც.

⁸ სოფელი ქ. საფანჯას შეუერთდა და მის უბნად იქცა. დიდი და ჭრელი დასახლებაა. გურჯების ასიოდე კომლია. დაახლოებით ამდენივე ლაზური ოჯახია.

5	იანიქი ¹ Yanik		250	კლარჯეთი	
7	მაჰმუდიე ² Mahmudiye	სოქთოღლი	30	კლარჯეთი	ბორჩხა: მარადიდი და მიმდებარე სოფლები.
8	მურადიე Muradiye	ჰამიდიე	30	კლარჯეთი	ბორჩხა და მიმდებარე სოფლები.
9	საფანჯა ³ Sapanca			კლარჯეთი	
11	ქადიფინარი ⁴ Kadipinar		50	კლარჯეთი	
13	ქირქინარი ⁵ Kirkpınar			კლარჯეთი	

3. გეივეს (Geyve) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	დოღანჩაი ⁶ Doğançay		10	კლარჯეთი	
2	ილიმბეი İlimbey		100	კლარჯეთი	ბორჩხა: მარადიდი და მიმდებარე სოფლები
3	ნურუსმანიე Nuruosmaniye	ბიჩქიდერე (ზ/მარადიდი)	200	კლარჯეთი	ბორჩხა: მარადიდი და მიმდებარე სოფლები
4	ქარაჩამი ⁷ Karaçam		100	კლარჯეთი	ბორჩხა: მარადიდი და მიმდებარე სოფლები
5	შერეფიე Şerefiye	სარაი (ზედობანი)	60	კლარჯეთი	ბორჩხა: ზედობანი

¹ კომლთა საერთო რაოდენობა - 350. 60-მდე კომლი გურჯია, 200-მდე - ლაზი. სოფელში ცხოვრობენ აგრეთვე ჩერქეზები და სხვები.

² კომლთა საერთო რაოდენობა - 350. გურჯების რაოდენობა ადრე მეტი იყო, მაგრამ მაჰმუდიე სააგარაკე ადგილია და გურჯებიც თანდათან ყიდიან მიწებს.

³ საფანჯა რაიონის ცენტრალური ქალაქია. სულ 30 000 მცხოვრებია. მათგან ქართველია დაახლოებით 40-50%.

⁴ სოფელი თითქმის დაცლილია.

⁵ ქალაქის ტიპის დასახლება, მუნიციპალური ცენტრი (Belediye) დაახლ. 12000 მცხოვრებით. ძირითადი მოსახლეობა ჩრდილოკავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლებია. ქართველთა რაოდენობა, ადგილობრივთა თქმით, 2000-ს შეადგენს. მათ შორის ნახევარი ლაზია.

⁶ კომლთა საერთო რაოდენობა: 150. ძირითადად აფხაზების სოფელია.

⁷ კომლთა საერთო რაოდენობა: 500. გურჯი ას კომლამდეა. ლაზურ კომლთა რაოდენობას ორასამდე ვვარაუდობთ. დანარჩენი სხვა ეროვნების წარმომადგენლებია.

ჩანართი თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის

საქარიას პროვინცია, როგორც ქართველ მუჰაჯირთა ახალი სამშობლო, იმითაც გამოირჩევა, რომ სწორედ აქ, გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიეს სკოლაში 2014 წლის 30 ოქტომბერს, პირველად თურქეთში, ოფიციალურად ჩატარდა სასწავლო პროგრამით და ცხრილით გათვალისწინებული გაკვეთილი ქართულ ენაში. გაკვეთილი მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავალმა მუსტაფა ქოლათმა (კოლათაშვილმა) ჩაატარა...

ORTAOKULLAR İÇİN HAFTALIK SEÇMELİ DERS SEÇİM TABLOSU

Sıra No	Dersin Adı	Haftalık Ders Saati	Seçilecek Ders ve Saati
1	Kur'an-ı Kerim (4)	2	
2	Hz. Muhammed'in Hayatı (4)	2	
3	Temel Dinî Bilgiler (2)	2	
4	Okuma Becerileri (1)	2	
5	Manuel İşler/Motivasyon/Okuma/Belirli (4)	2	
6	Yaşayan Diller ve Lehçeler (Adigece)(4)	2	
7	Yaşayan Diller ve Lehçeler (Abazaça)(4)	2	
8	Yaşayan Diller ve Lehçeler (Kurmanca)(4)	2	
9	Yaşayan Diller ve Lehçeler (Zazaca)(4)	2	
10	Yaşayan Diller ve Lehçeler (Lazca) (4)	2	
11	Yaşayan Diller ve Lehçeler (Gürcüce) (4)	2	
12	Yabancı Dil (Fransızca)(4)	2	
13	Yabancı Dil (İngilizce)(4)	2	
14	Yabancı Dil (Diğer)(4)	2	
15	Bilim Uygulamaları (4)	2	
16	Matematik Uygulamaları (4)	2	
17	Görsel Sanatlar (Resim, Geleneksel Sanatlar, Plastik Sanatlar vb.)(4)	2/(4)	
18	Müzik (4)	2/(4)	
19	Spor ve Fiziki Etkinlikler (4)	2/(4)	
20	Drama (2)	2	
21	Zekâ Oyunları (4)	2	

- Seçmeli derslerin ortaokul öğrenimi süresince kaç kez alınabileceği dersin adının yanında parantez içinde belirtilmiştir.
- Tabloda yer alan "Seçilecek ders ve saati" bölümüne seçilen ders için X işareti konulacaktır.
- Görsel sanatlar, müzik, spor ve fiziki etkinlikler derslerinden birinin seçilmesi durumunda, dersin 2 veya 4 saat seçildiği ilgili sütunda belirtilecektir.

ფრაგმენტი განცხადების ფორმიდან თურქეთის საშუალო სკოლების 2015-2016 სასწავლო წლის არჩევითი საგნების ჩამონათვალით. გადიდებულია "ცოცხალი ენების და დიალექტების" არჩევითი კურსების საგნები: 6. ადიღური, 7. აფხაზური, 8. კურმანული (კურმანჯი), 9. ზაზაური (ზაზაკი), 10. ლაზური, 11. ქართული.

როგორც ცნობილია, თანამედროვე თურქეთის კანონმდებლობით, ნაციონალური უმცირესობებისათვის ნებადართულია სკოლებში მშობლიური ენის სწავლება. ეს შედარებით ახალი ამბავია - 21-ე საუკუნისა და თურქეთის რეს-

პუბლიკის ევროინტეგრაციის საკითხებს უკავშირდება. არჩევით საგანთა სიაში რომელიმე ენის თუ დიალექტის შესატანად აუცილებელია, ჯერ ერთი, მოცემული ენის სასწავლო პროგრამის შედგენა და განათლების სამინისტროში წარდგენა. მეორეც, პროგრამის დამტკიცების შემდეგ, აუცილებელია, სულ ცოტა, ათი მშობლის განცხადება - სასწავლო საგნად რომელიმე ენის არჩევისთვის. ამ ფორმალურ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ შესაძლებელი ხდება კონკრეტული ენის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება კვირაში ორი საათის მოცულობით საშუალო სკოლის V-VIII კლასებში.

2015-2016 სასწავლო წელს თურქეთის საშუალო სკოლების პროგრამებში „ცოცხალი ენების და დიალექტების“ არჩევით საგანთა ჩამონათვალში შედიოდა: 1. ადიღური, 2. აფხაზური, 3. კურმანული (კურმანჯი), 4. ზაზაური (ზაზაკი) 5. ლაზური, 6. ქართული.

ნაციონალურ უმცირესობათა ენების სწავლება თურქეთის რამდენიმე სკოლაში 2012-2013 სასწავლო წელს დაიწყო, - ოღონდ არა ქართული ენისა. 2013-2014 სასწავლო წელს შავი ზღვის რეგიონში რამდენიმე ლაზური კლასი გაიხსნა. 2013 წელსვე მომზადდა ქართული ენის პროგრამა, რომელიც განათლების სამინისტრომ არ დაამტკიცა. ამის შემდეგ პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწა და სათანადო სტანდარტების ჩარჩოში მოექცა. ეს იყო ერთობ რთული, შრომატევადი და წინააღმდეგობებით აღსავსე სამუშაო, რომელშიც არაერთი სპეციალისტი და იდეის გულშემმატკივარი ჩაერთო. ეს ვრცელი საუბრის თემაა და დეტალურ განსჯას იმსახურებს, ამიტომ სამომავლო სამუშაოდ მოვინიშნავ და იმასღა გავიხსენებ, როგორი ოპტიმიზმით გვესაუბრებოდა ქართული ენის სწავლების პერსპექტივაზე. ერდალ ქუჩუქი (ელიზბარ ციმნარიძე) 2013 წლის ზაფხულში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ექსპედიციის წევრებს სტამბოლში, „ქართული კულტურის სახლში“ შეხვედრისას.

2014 წელს ქართული ენის პროგრამა განათლების სამინისტროში ხელახლა წარადგინეს და დამტკიცდა კიდევ. ამავე წელს, როგორც აღვნიშნეთ, ნურულოსმანიეში გაიხსნა ორი ქართული კლასი 25 მოსწავლით. მასწავლებლობა მუსტაფა ქოლათმა იტვირთა.

2015 წლის 29 იანვარს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის“ პროგრამის ფარგლებში, გაიმართა ქართველოლოგიის ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „**მუჰაჯირები**“. ერთ-ერთი

მოხსენება (ერდოღან შენოლის *(ერეკლე დავითაძის)* და მუსტაფა ქოლათის „ქართული ენის ჯგუფი ნურუოსმანიეს სკოლაში“) ზემოხსენებულ ფაქტს ეხებოდა.



პირდაპირი ჩართვა ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში: ეკრანზე მარცხნიდან - მუსტაფა ქოლათი (კოლათაშვილი) და ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე).
ბათუმი, 29 იანვარი, 2015 წ.

ნუროსმანიეში 200-ზე მეტი კომლია. აქ მარადიდიდან, ძირითადად, ზე-და მარადიდიდან, გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიცია 2013 წლის ზაფხულში იყო ამ სოფელში. მაშინ ქართული ენის ჯგუფი შორეულ იმედად თუ ბჟუტავდა, მაგრამ მუსტაფა ქოლათი, აწ უკვე ქართული ენის მასწავლებელი, ამ თემაზე საუბარს არ გაუბოდა.

სოფელ ნურუოსმანიედან SKYPE-ს მეშვეობით მომხსენებელთა პირდაპირი ჩართვა კონფერენციის მუშაობაში, დიახაც მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. სურათის სისრულისთვის კი ქვემოთ საკმაოდ ვრცელ ამონარიდს მოვიყვანთ წერილიდან, რომელიც მოგვიანებით, ერდოღან შენოლის (ერეკლე დავითაძის) ავტორობით, დაიბეჭდა ბათუმის უნივერსიტეტის გაზეთში:

„კლასი, პირველად, გაიხსნა საქარიაში, გვივს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეში, იმ სოფელში ქართული ენის კლასის გახსნის იდეა მაშინ გაჩნდა, როცა ჩვენ, 2013 წელს ოქტომბერში, ჩამოვყავალიბეთ ქართული ცეკვის ჯგუფი... კვირაო-

ბით სტამბოლიდან მოგვყავდა ქართული ცეკვის მასწავლებელი ნურუოსმანიის ბავშვებისთვის... ამ საქმეში ჩემთან ერთად ჩართული იყო მუსტაფა ქოლათი (ქოლათაშვილი), რომელსაც ნათესავები ყავდა იმ სოფელში. ამ ურთიერთობათა გარეშე ვერ მოხერხდებოდა მოცეკვავეთა ჯგუფის ჩამოყალიბებაც, რადგან ინტერესის გაღვივება ამ საქმის მიმართ თავიდანვე ჭირდა...

მოცეკვავეთა გუნდის არსებობამ ქართული კლასის იდეა შვა. ვფიქრობ-დით, რომ 2014 წლის ზაფხულში ქართული ენის პროგრამა დამტკიცდებოდა, რაც ჯგუფის ორგანიზების შესაძლებლობას მოგვცემდა და მოხერხდებოდა სექტემბერში კლასების გახსნა... კანონის თანახმად, მშობლები არჩევით საგნებს განსაზღვრავდნენ ივნისის ბოლო კვირას. მუსტაფას ძალისხმევით მშობლებმა ხელი მოაწერეს განცხადებებზე და შეიტანეს სკოლის დირექტორთან... ეს ძალიან რთული მომენტი იყო: მანამდე ხომ წარმოუდგენელი იყო მოსახლეობისათვის, რომ შეიძლება მიმართონ საჯარო სკოლას და მოითხოვონ ბავშვებისთვის ქართული ენის სწავლება! მართალი გითხრათ, მერიდებ კიდეც, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ბევრი საჭიროდაც არ თვლიდა ამ მიმართულებით განათლების მიღებას (ქართულის სწავლებას ბავშვებისთვის) და უმრავლესობა ჯერ კიდეც ასე ფიქრობს მთელ თურქეთში... თან ამის, ანუ ქართულის სწავლების მაგალითიც არ იყო მანამდე... მე კარგად ვიცი, რომ ზუსტად ორი კვირა იმუშავა მუსტაფამ და მისმა წრემ ამ საკითხზე, თითოეულ ოჯახში მივიდა, შეხვდა მშობლებს და საბოლოოდ დააჯერა... შეიტანა განცხადება ოცდახუთი (მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასელი) ბავშვის მშობლისა!

სამწუხაროდ, 2014 წელს, სექტემბერში, როცა სასწავლო წელი დაიწყო, ჯერ კიდეც არ იყო დამტკიცებული ქართული ენის პროგრამა... მუსტაფაც ზრუნვის და იმედის გაცრუების ზღვარზე იყო... სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის მერე დამტკიცდა პროგრამა. მე არ მინდა იმის თქმა, რომ ვიღაცამ, რატომღაც, სპეციალურად დააყოვნა. მეჯერა, რომ ასე არ ყოფილა... ამ პერიოდში მუსტაფა მუდმივ კონტაქტში იყო რაიონის განათლების ხელმძღვანელთან და სკოლის დირექტორთან. პროგრამა რომ დამტკიცდა, როგორც ვთქვი, სკოლებში სწავლის დაწყებიდან ოთხი კვირა იყო გასული, მაგრამ მუსტაფას დაჟინებული, შეუწყვეტელი თხოვნის შედეგად, დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაგვიანების მიუხედავად, დაწყებულიყო ქართული ენის გაკვეთილები...



მუსტაფა ქოლატი (კოლათაშვილი) და ნურუოსმანიეს სკოლის მოსწავლეები ქართული ენის გაკვეთილზე, 2014-2015 სასწ. წელი



ქართული ენის გაკვეთილზე ნურუოსმანიეს სკოლაში, 2014-2015 სასწ. წელი

მერე იყო მასწავლებლის პრობლემა... როგორც ვიცით, თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს კადრებს შორის არ არის ქართული ენის მასწავლებელი. მუსტაფამ აიღო პასუხისმგებლობა და გადაწყვიტა, რომ თვითონ ყოფილიყო მასწავლებელი... სხვა გზა არ ჩანდა. ვერც შორიდან წამოვიდოდა მასწავლებელი, თუნდაც იმიტომ, რომ ანაზღაურება ძალზედ მცირეა. ერთ კლასში კვირაში 2 საათია და 1 საათის ანაზღაურება შეადგენს 8 ლირას; ანუ ერთ კლასში თვეში 8 გაკვეთილი ტარდება და სულ 64 ლირა ერგება მასწავლებელს.

რაიონის განათლების ხელმძღვანელმა მუსტაფას რომ უთხრა, - ახლადგახსნილი ორი კლასისთვის შენ მიიღებ თვეში 128 ლირას და გზაშიც არ გეყოფა, რადგან ქალაქიდან დადიხარო... მუსტაფამ უპასუხა: „ოღონდ თქვენ გახსენით კლასი, პირიქით მე გადაგიხდით ფულს... ფულის გულისთვის არ ვაკეთებ ამ საქმესო!..“

მოკლედ, დანიშნეს მუსტაფა ქოლათი მასწავლებლად და ბიზნესში ჩართული ეს კაცი ყოველკვირეულად თმობს თავის საქმეს და მიდის სოფელ-ში, რათა ბავშვებს ქართული ასწავლოს!... 30 ოქტომბრიდან დაწყებული გაკვეთილები წარმატებით ტარდება და 25 ბავშვი უკვე თავისუფლად და ძალიან ლამაზად წერს ჩვენი შესანიშნავი ქართული ასოებით... რაცაა შესაძლებელი კვირაში 2 გაკვეთილის ფარგლებში, ის ძალიან კარგად გააკეთა მუსტაფამ და, ჩემი აზრით, წარმატებას მიაღწია...“ (შენოლი, 2015:4)

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ 2015-2016 სასწავლო წლისთვის ქართული ენის კიდევ ორი ჯგუფი გაიხსნა მურღულის (ართვინის პროვინცია, მურღულის რაიონი) სკოლაში. მასწავლებელია ფათიჰ მეიდანის (ცვარიძე). რაც შეეხება ლაზებს, დღეისათვის რამდენიმე ჯგუფი ფუნქციონირებს არჰავის (რიზეს პროვინცია), ფინდიკლის და ხოფის (ართვინის პროვინცია) რაიონების სკოლებში.

როგორც ვხედავთ, თურქეთის განათლების სისტემის მნიშვნელოვანი სიახლე - ნაციონალურ უმცირესობათა ენების სწავლება არჩევითი საგნების ფარგლებში - ნელ-ნელა, მძიმედ, მაგრამ ბეჯითად მკვიდრდება. პროცესის დაჩქარებას, მასწავლებლების და სახელმძღვანელოების დეფიციტზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი უშლის ხელს. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების უმცროსი თაობის მოზრუნება მშობლიური ენის წიაღისკენ თურქეთის ქართველობის ამჟამინდელ მოღვაწეთა ტვირთია და ამ ტვირთის ზიდვა, როგორც პროცესის დინამიკა ცხადყოფს, მეტად ძნელი იქნება...

4. ქოჯაალის (Kocaeli) ოლქე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა ცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	დემირაჩმა ¹ Demriaçma		250	აჭარა	ქედა (ქედა, აგარა...) მაჭახელი (ქედქედი), ბათუმი (მახო, სიმონეთი და სხ.)
2	ბეზირგანი ² Bezirgan		15	აჭარა	ბათუმი (ნიგალი): ერგე და მიმდებარე სოფლები
3	ქოზლუქი Kozluk	გურჯიფაჰრექი	180	აჭარა	ბათუმი (ნიგალი): მირვეთი, მახო, თხილნარი, ერგე...
4	ქოიერი Köyyeri	ლაჰანა (გურჯიქი)	50	აჭარა	ქედა, მაჭახელი (ქედქედი, გვარა),

5. აქიაზის (Akyazı) ოლქე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა ცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ბელდიბი Beldibi		200	შავშეთი	იმერხევი ³
2	გუჯუჯუქი ⁴ Gücücek			აჭარა	ხულო, ქედა (წონიარისი და სხ.)
3	რეშადიე Reşadiye	ირშადიედირი	150	კლარჯეთი	ხატილა
4	შერეფი ⁵ Şeref'iyе		250	კლარჯეთი და სხ.	

¹ კომლთა საერთო რაოდენობა: 400

² კომლთა საერთო რაოდენობა: 80

³ იმერხევიდან გადასახლებულებმა თურქეთში უმეტესად იციან მშობლიური ენა, მაგრამ ბელდიბის გურჯებს თითქმის დავიწყებით ქართული.

⁴ ქალაქის ტიპის დასახლება, 5500 მცხოვრები. მოსახლეობის ნახევარი მაინც გურჯია. ნაწილი - რიზე-ტრაპიზონის ლაზები და სხვები.

⁵ ინფორმაციის დაზუსტება სოფელშიც კი გაგვიჭირდა. შესაძლოა, აქ ცხოვრობდნენ კლარჯეთიდან (ბინათი და სხ), ასევე, შავშეთიდან და აჭარიდან გადასახლებულები. სოფელი მე-19 საუკუნის ბოლოს უნდა იყოს დაარსებული მუჰაჯირების მიერ.

6. ქარაფურჩეკის (Karapürçek) ილჩე

ქარაფურჩეკის ილჩეში სულ რვა სოფელია. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 12 500-მდეა. ქართველები სჭარბობენ რაიონის ცენტრალურ ქალაქში.

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	აჰმედიე Ahmediye	ფელიქლი	70	აჭარა	ქედა: კოკოტაური და სხვა.
2	მეჯიდიე Mecidiye	გიავრიხარმანი	300	აჭარა	ხულო (ფუშრუკაული), ქედა (დან-დალო და სხ.), შესადლოა, ჩაქვიც....
3	ქანლიჩაი Kanlıçay		120	აჭარა	
4	ქარაფურჩეკი ¹ Karapürçek		-	აჭარა	ხულო (ბოძური, კალოთა, კვატია, ხიხაძირი, ბაკო, ჩაო, ფუშრუკაული), შუახევი (წყაროთა, ნენია...). მცირე ნაწილი - ქედიდან და ჩაქვიდან

7. ქარასუს (Karasu) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	აზიზიე ² Aziziye	ჰამდიე	-	აჭარა	ბათუმი (ნიგალი): კირნათი, მაჭახელი: გვარა, ქედქედი.

8. საქარიას (Sakarya) ცენტრალური ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ქიშლაჩაი ³ Kışlaçay		150	კლარჯეთი	ბორჩხა: მარადიდი, ზედოზანი...

¹ ქარაფურჩეკი რაიონის ცენტრალური ქალაქია. სულ 7600 მცხოვრებია. მათგან ქართველი დაახლოებით 50%.

² სოფელი ყარასუს შუეერთდა და მის დღეს მისი ნაწილია. ქართული ოჯახების რაოდენობა ასზე მეტი იქნება, თუმცა, დაზუსტება ვერ შევძელით.

³ სოფელი ადაფაზარს შუეერთდა და დღეს მისი ნაწილია.

6. ქოჯაელის პროვინცია

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მარმარილოს ზღვის რეგიონში ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციები 2013-2014 წლებში მუშაობდა. პირველი ქალაქი, რომელშიც 2013 წელს დავბანაკდით, გოლჯუქი იყო. უთუოდ ბედმა გაგვიღიმა, თავიდანვე რომ მოვახერხეთ კონტაქტის დამყარება „გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოებასთან“ და მის ხელმძღვანელთან, მურად სევიმთან (მგელამესთან).

მურადმა და მასთან ერთად მეჰმეთ შაჰინმა (ბერიძე) და ჯელალ ქილიჩმა დაუზარებლად მოგვატარეს ქოჯაელის სოფლები. გვქონდა არაერთი საინტერესო შეხვედრა საზოგადოების სხვა წევრებთანაც (სელჩუკ აქინი, იასემინ აქინი, ფისუნ ქოჩი, აჰმეთ შაჰინი, სევჯი ქაჰრამანი და სხ.).

გოლჯუქის ქართველთა გაერთიანების წევრები შეძლებისდაგვარი გულმოდგინებით ირჯებიან, სხვადასხვა დროს იქ ტარდებოდა ქართული ენის გაკვეთილები, მუშაობდა ქორეოგრაფიული სტუდია საქართველოდან მიწვეული ქორეოგრაფის ხელმძღვანელობით. ამ სტუდიის აღზრდილთა



პროფ. მ. ფადავა გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოებაში მურად სევიმთან (შუაში) და სელჩუკ აქინთან (მარცხნივ) ერთად. 15 ივნისი, 2013 წ.

ნახვის შესაძლებლობა 2013 წელსვე მოგვეცა, თუმცა, იმხანად ანსამბლი აღარ ფუნქციონირებდა. მურადის და მისი თანამოაზრეების მეცადინეობით შარშან ბავშვთა ქორეოგრაფიულმა სტუდიამ განახლა მუშაობა და უკვე მიიქცია ჩვენებურთა ყურადღება. საინტერესოა, რომ მასწავლებელი გოლჯუქელია, ძველ სტუდიაში დაოსტატებული გოგონა შეიმა ქოჩი. იგი კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალია, გოლჯუქში კი მისი სოფელია - ირშადიე.



2013 წლის ექსპედიციის წევრები ქალაქ გოლჯუქის საკრებულოს ქართველ თავმჯდომარე მეჰმედ ელიბეშთან. 7 ივლისი.

ქოჯაელის პროვინციაში 12 რაიონი ანუ ილჩეა. ქართველები ყველა მათ-

N	რაიონი	სოფლების რაოდენობა
1	გოლჯუქი	22
2	ქართეფე	5
3	იზმითი	2
4	ბაშისქელე	2
5	ქარამურსელი	2
6	ქანდირა	1

განში ცხოვრობენ, მაგრამ კომპაქტური დასახლებები 6 რაიონშია, ყველაზე მეტი - გოლჯუქში. ის ქოჯაელის პროვინციის „ყველაზე ქართული“ რაიონია. სულ 29 დასახლებული პუნქტია (ეს რიცხვი არ ემთხვევა ამჟამინდელ ოფიციალურ მონაცემს. ზოგიერთი სოფე-


ლი ქალაქს მიუერთდა, მაგრამ ჩვენ მათ დამოუკიდებელ სოფლად აღვრიცხავთ). მათგან 22 ქართულია: თხუთმეტში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, მათ შორის ოთხში - ლაზები. ცხრა შერეულია და უმეტესობაში გურჯები ჭარბობენ. გოლჯუქის ილჩეს ლაზური სოფლებია სელიმიე (Selimiye), სოფულარი (Sofular), მესრურიე (Mesruriye), ენიფერჰადიე (Yeniferhadiye). ენიფერჰადიე რიზე-ტრაპიზონის ლაზების დასახლებაა, დანარჩენი - ჩხალელებისა: სოფულარის „შინაური“ სახელია მამანათი, მესრურიესი - ჩხალა.

გოლჯუქის ილჩეს სოფლებში დაახლოებით 2000-მდე კომლი უნდა იყოს ქართველებისა. მათ შორის ლაზების რაოდენობა შედარებით ნაკლებია: 300-მდე კომლი. გარდა ამისა, გურჯები ცხოვრობენ ქალაქ გოლჯუქში, რომლის მოსახლეობა, ოფიციალური მონაცემებით, 70 000 ათასამდე, ხოლო გოლჯუქის ილჩეში - 138 000 ათასამდეა.

ჩვენი დაკვირვებით, ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს ადგილობრივთა მოსაზრება, რომ გოლჯუქის ილჩეს მოსახლეობის ნახევარზე მეტი გურჯია (ასახელებენ 50-დან 70 %-მდე). ამ ყველაფრის შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარტო ქალაქ გოლჯუქში 35 000 ათასამდე ქართველია. ხოლო მთლიანად ილჩეში - 70 000-მდე.



როგორც აღვნიშნეთ, გოლჯუქში ქოჯაელის პროვინციის რაიონებს შორის ყველაზე მეტი ქართული სოფელია. ამიტომ წარმოვადგინთ სწორედ ამ ილჩეს რუკას.



ძნელი სათქმელია იზმითის ცენტრალური რაიონისა და მასზე „მიბ-მული“ სოფლების ვითარება. ქალაქში ბევრი ქართველია. მთლიანობაში აქ 10-15 ათასი იქნება, თუმცა, ზოგი მეტსაც ვარაუდობს.

იზმითის ცენტრალურ რაიონში ჩხალელი ლაზების სოფელია ოსმანიე (Osmaniye). ხოფა-არჰავის ლაზების დასახლებაა ქანდირას რაიონის სოფელი ბეილერბეი (Beylerbeyi).

ქართველები - სოფლების კომლთა მონაცემების თუ დაბა-ქალაქების მცხოვრებთა გათვალისწინებით, შესაძლოა, გურჯების რაოდენობა 10 000-ს აღწევდეს.

დანარჩენ რაიონებში (ქანდირაში, ბაშისქელესა და ქარამურსელში რამდენიმე კომპაქტური დასახლებაა, სხვა რაიონებში კომპაქტური დასახლებები არ არის, თუმცა ქართველები იქაც ცხოვრობენ), ასევე, ათიოდე ათასი ქართველი თუ იქნება.



საუბარი ალი იგითთან სოფ. ნუზჰეთიეში, (გოლჯუქის რაიონი, ქოჯაელის პროვინცია).
10 ივლისი, 2013 წ.



ექსპედიციის წევრები სოფ. სოფულარში (გოლჯუქის რაიონი, ქოჯაელის პროვინცია).
11 ივლისი, 2013 წ.

ამდენად, ქართველთა რაოდენობა ქოჯაელის პროვინციაში ასეულ ათასს სჭარბობს, ანუ ქართველები მთელი ქოჯაელის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტია, შესაძლებელია, მეტიც.

ეს რიცხვი პირობითია და სიზუსტის პრეტენზია არ აქვს. იგი ამჯერადაც ეყრდნობა ექსპედიციებში მოპოვებულ ინფორმაციას და დაკვირვებებს. რაკილა ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს და, სამწუხაროდ, არც იარსებებს, იძულებული ვართ, ამგვარ სტატისტიკას დავჯერდეთ.

ქართული მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ქოჯაელის პროვინციაში კლარჯეთიდან გადასახლებულთა შთამომავლებია.

1. გოლჯუქის (Gölcük) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	აივაზფინარი ¹ Ayvazpınarı	ჩათალთაშ	50	კლარჯეთი	მურღული: ქურა, ბაშქოი, ლომიკეთი, ბაგა...
2	ესქიფერჰადიე Eskiferhadiye	ჩაიდალი	20	კლარჯეთი	
3	ირშადიე İrşadiye	ბეილული	100	კლარჯეთი	ბორჩხა: კატაფხია
4	იჯადიე İcadiye	ალიმეზარი	70	კლარჯეთი	ბორჩხა: კატაფხია და სხ.
5	იჰსანიე ² İhsaniye	თათარქოი	-	კლარჯეთი	
6	ლუთფიე Lütfiye	ბეგოლლი	120	კლარჯეთი	მურღული: ბაგა და სხ.
7	მამურიე Mamuriye	მურკვეთი	60	კლარჯეთი	ბორჩხა: მურკვეთი
8	ნიმეთიე Nimetiye	მეყყიე	60	კლარჯეთი	ბორჩხა: ცოცხობა
9	ნუზჰეთიე ³ Nüzhetiye	დოშემე	300	კლარჯეთი	მურღული: ბაგა, ბაშქოი, გურბინი, კორდეთი, ისკები, ოსმალი...
10	სიირეთიე Siyretiye	მურღული	90	კლარჯეთი	მურღული

¹ მოსახლეობის ნაწილი ლაზია.

² ქალაქს მიუერთდა. მოსახლეობა შერეულია.

³ მოსახლეობის ნაწილი ლაზია რიზე-ტრაპზონიდან.

11	ულაშლი ¹ Ulaşlı		-	კლარჯეთი	
12	უმმიე ² Ümmiye	ბიჩხიჯი	60	კლარჯეთი	მურღული: <i>ისკები, ბაგა...</i>
13	ფანაიერი ³ Panayır		70	კლარჯეთი	ბორჩხა: <i>ცოცხობა</i>
14	შევქეთიე Şevketiye	საჩმალი	70	კლარჯეთი	ბორჩხა: <i>ცოცხობა</i>
15	შირინქოი Şirinköy	დამლარი	-	კლარჯეთი	მურღული
16	ჰამიდიე Hamidiye	ბორჩხა	360	კლარჯეთი	ბორჩხა და მახლობელი სოფლები. შესაძლოა, ბათუმის მახლობელი სოფლებიც
17	ჰასანეინი Hasaneyn	ცოცხობა	200	კლარჯეთი	ბორჩხა: <i>ცოცხობა</i>
18	ჰისარეინი ⁴ Hisareyn	ასარქოი	-	კლარჯეთი	

2. ქართვეცს (Kartepc) იღზე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ბალაბანი Balaban		150 ⁵	კლარჯეთი	ბორჩხა: <i>მარადიდი და მიმდებარე სოფლები</i>
2	დერბენტი ⁶ Derbent		-	კლარჯეთი	
3	ეშმეაჰმედიე ⁷ Eşmeahmediye		80	კლარჯეთი	კირნათი, მარადიდი, ხება
4	ნუსრეთიე Nusretiye	თათარქოი	300 ⁸	კლარჯეთი აჭარა	ბორჩხა: <i>მარადიდი მიმდებარე სოფლებით და სხ.</i>
5	შირინსულჰიე Şirinsulhiye	გურჯიქოი	600 ⁹	კლარჯეთი	ბორჩხა: <i>მარადიდი და მიმდებარე სოფლები</i>

¹ ქალაქს მიუერთდა. მოსახლეობა შერეულია.

² მოსახლეობის ნახევარი ლაზია.

³ მოსახლეობის ნაწილი ლაზია რიზე-ტრაპიზონიდან.

⁴ ქალაქს მიუერთდა. მოსახლეობა შერეულია.

⁵ კომლთა საერთო რაოდენობა - 400.

⁶ ქალაქის ტიპის დასახლება (8000 სული). ქართველების რაოდენობა მცირეა.

⁷ ეშმე და აჰმედიე ერთი სოფლის ორი ნაწილია.

⁸ კომლთა საერთო რაოდენობა - 600.

⁹ კომლთა საერთო რაოდენობა - 800 (რამდენიმე ოჯახი ტაოდან (იუსუფელიდან) და შავშეთიდანაა).

3. ბაშისქელეს (Başiskele) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ბაჰჩეჯიქი ¹ Bahçecik			კლარჯეთი	
2	იენიქოი ² Yeniköy			კლარჯეთი	

4. ქარამურსელის (Karamürsel) ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	აქვინარი ³ Akpınar		20	კლარჯეთი	მურლული
2	ნუსრეთიე Nusretiye		60	კლარჯეთი	

5. იზმითის (İzmit) ცენტრალური ილჩე

#	დასახლებული პუნქტი		ქართველთა ოჯახების რაოდენობა	წინაპართა საცხოვრებელი რეგიონი	შენიშვნა
	ახალი სახელი	ძველი სახელი			
1	ჩუბუქლუბალა Çubuklubala		75	კლარჯეთი	ზორჩხა: <i>ოხორდია, ბელლევანი, მარადიდი და სხ.</i>

¹ ქალაქს მიუერთდა. მოსახლეობა შერეულია. ქართველები - 10%-მდე. (ჰაზულბაჰჩეკს უბანი ქართულია - ნიგალელთა 40 ოჯახი ცხოვრობს).

² ქალაქს მიუერთდა. მოსახლეობა შერეულია. ქართველები - 10%-მდე.

³ ქალაქს მიუერთდა.



ჩვენებურთა ყოფის დეტალები: ფიდეს მომზადება სოფელ აივაზფინარში. (გოლჯუქის რაიონი, ქოჯაელის პროვინცია). 8 ივლისი, 2013 წ.



ქართველი გოგონა სოფ ლუთფიედან (გოლჯუქის რაიონი, ქოჯაელის პროვინცია). 11 ივლისი, 2013 წ.

ბოლოთქმა

მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ქართველ მუსლიმთა ცხოვრების ამსახველი წერილები. ბევრი მათგანი სწორედ გადასახლების იმ ტკივილიან პროცესს ეხებოდა, რომელიც „მუჰაჯირობის“ სახელით შემორჩა ხალხის მეხსიერებასაც და საისტორიო ლიტერატურასაც. ქართველ მუსლიმთა დიდი მოამაგის - სერგეი მესხის ერთ-ერთი პუბლიკაცია 1881 წლის გაზეთ „დროებაში“ სწორედ ხსენებულ ტკივილს ეხება და მის მეტად ემოციურ გამოვლინებას აღწერს: „საშინელ სურათს წარმოადგენს, თურმე, ამ ხალხის გადასახლება: მნახველთ უამბიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედამიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერს და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიანო“ (მესხი, 2000: 174).

ახალს არაფერს ვამბობთ, როცა მუჰაჯირობის თანამდევ ტკივილზე მივუთითებთ. ეს მათი ტკივილია, ვინც გადასახლდა - მიუხედავად იმისა, ახალ საბინადროში ბედნიერად წარმართეს ცხოვრება თუ - ტანჯვით. ვინც დარჩა, მათი ტკივილიცაა და არა მხოლოდ მუსლიმებისა - ეს ძლიერი იმპერიების ძალმომრეობით შემრული ერის ტკივილია.

ერთხელაც გავიმეორებ, რომ ქართველ მეცნიერს გაუჭირდება ისტორიული სამხრეთ საქართველოს პრობლემებზე მუშაობა მხოლოდ სამეცნიერო ინტერესების ამარა. თავიდათავი „სხვა“ ფაქტორებს შორის კი, ალბათ, მაინც ზემოხსენებული ტკივილია, თაობების სულში რომ იტრიალა და დღემდე მოიტანა თავი. იმასლა დავამატებ, რომ ჩემიანებიც (ძველები, ცხადია), მე-19 საუკუნის ბოლოს თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში, ხშირად მოქცეულან მუჰაჯირობის ლამის ყველა ტალღაში.

მუჰაჯირების და საზოგადოდ, თურქეთში მცხოვრები ქართველების თაობათა არამარტივი ისტორია, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, ამასთან ერთად, საკვლევი სივრცის მოცულობა, სამეცნიერო ამოცანათა მრავალფეროვნება, ამ ტიპის კვლევებისთვის დამახასიათებელი სხვა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორი, ართულებს მკვლევართა მუშაობას, მაგრამ ჩვენს საქმიანობასაც, ყველა ეტაპზე, უპირველესად, სწორედ ზემოხსენებული ტკივილი წარმართავდა და მასთან ერთად - უღრმესი პატივისცემა ჩვენებურების მიმართ. ძნელი სათქმელია, რამდენად მოხერხდა ამ განწყობის გამო-

ხატვა სამეცნიერო ნაშრომში, მით უმეტეს, რომ მაქსიმალურად ვცდილობ-
დით ემოციის დაფარვას.

შესავალში აღვნიშნე, წარმოდგენილი ნაშრომი ბათუმის შოთა რუსთავე-
ლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-
ტის ქართველოლოგიის ცენტრის კვლევითი საქმიანობის მცირედი ნაწილია-
მეთქი. ქართველოლოგიის ცენტრის საქმიანობას დაბრკოლებებიც ახლავს,
მაგრამ არც გულშემატკივარია მცირე და დარწმუნებული ვართ, სწორედ
უნივერსიტეტის თანადგომით და მასთან ქართველოლოგიის ცენტრის მეც-
ნიერთა ძალისხმევით, კვლევები მომავალშიც გაგრძელდება. გარდა ამისა,
წლების განმავლობაში, განსაკუთრებით, ექსპედიციების დროს, ჭოროხის
აუზში, შავიზღვისპირეთსა თუ ანატოლიაში, შევიძინეთ ბევრი მეგობარი,
რომლებიც უანგარო თანადგომით გამოხატავენ მხარდაჭერას. შესაბამისად,
გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ყველას, საქართველოსა და თურქეთში,
ვინც დაინტერესდა ჩვენი მუშაობით (ასეთი კი ბევრი იყო), ვინც თუნდაც
მცირედი დახმარება გაგვიწია; სწორედ ეს თანადგომა არის და იქნება მომავ-
ალშიც ერთ-ერთი მყარი საფუძველი ჩვენი კვლევების ყველა, მეტად თუ
ნაკლებად ღირებული, შედეგისა.

ლიტერატურა

1. **აბაშიძე, 1963:** აბაშიძე ჰ., წერილები, თბილისი.
2. **ბაქრაძე, 1880:** ბაქრაძე დ., ბათუმის მაზრა, გაზ. დროება, № 78, 10 აპრილი.
3. **ბაქრაძე, 1987:** ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურეასა და აჭარაში, ბათუმი.
4. **გუჯეჯიანი, 2012:** გუჯეჯიანი რ., ეთნოკულტურული პროცესები ბურსის რეგიონის (თურქეთი) ეთნიკურ ქართველთა შორის, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, ტ. I, თბილისი.
5. **გუჯეჯიანი, 2014:** გუჯეჯიანი რ., ეს დღეები სამუდამოდ დარჩება თურქეთის ქართველთა მეხსიერებაში, <http://www.ttimes.ge/archives/19217>.
6. **დროება, 34:** გაზეთი „დროება“, № 34, 1880 წ. თბილისი.
7. **დროება, 100:** გაზეთი „დროება“, № 100, 1880 წ. თბილისი.
8. **დროება, 124:** გაზეთი „დროება“, № 124, 1880 წ. თბილისი.
9. **დროება, 268:** გაზეთი „დროება“, № 268, 1878 წ. თბილისი.
10. **ვარდმანიძე, 2013:** ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (მე-19 საუკუნის 30-80-იანი წლები), ბათუმი.
11. **თაბანი, 2007:** თაბანი შ., „სამართებლის ამბავი“, ჟურნ. „ფიროსმანი“, № 3.
12. **თანამედროვე აზრი, 1915:** გაზეთი „თანამედროვე აზრი“, № 32, 10 აპრილი, თბილისი.
13. **თანდილავა, 2013:** თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი, თბილისი.
14. **კარალიძე, 2011:** კარალიძე ჯ., შავშეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მონოგრაფიაში „შავშეთი“, თბილისი.
15. **ლექსიკონი, 2001:** თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი.
16. **მაგნარელა, 1999:** მაგნარელა ჰ., თურქეთში მცხოვრები ქართველების ასიმილაცია - სიტუაციის კვლევა, ჟურნ. „ჩვენებური“, № 31, იანვარ-მარტი. (იხ. აგრეთვე: <http://www.chveneburi.net/ka/default.asp?bpgpid=990&pg=1>)
17. **მესხი, 2000:** მესხი ს., წერილები აჭარაზე (შეადგინა რამაზ სურმანიძემ), ბათუმი.
18. **მ-შვილი, 1981:** მ-შვილი, ომის დროს მოგზაურობა ოსმალის საქართველოში, გაზეთი „დროება“, № 257, თბილისი.
19. **სახოკია, 2005:** სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი.
20. **სიორიძე, 2002:** სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1919 წლებში, ბათუმი.
21. **ფუტკარაძე, 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, თბილისი.

22. **ქეგლ II, 1990:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი II, თბილისი.
23. **ქსე, 1984:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბილისი.
24. **ფაღავა, 2013:** ფაღავა მ., შავშური ჩანაწერები, თბილისი.
25. **ფუტკარაძე... 2012:** ფუტკარაძე ტ., თანდილავა ი., ლაბაძე მ., „ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, ტ. I, თბილისი, 2012.
26. **ღუტიძე, 2010:** ღუტიძე ი., მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, ტ. XII, იანვარი, <https://iberiana.wordpress.com/iberiana/ghutidze-muhajir/>
27. **ყაზბეგი, 1995:** ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.
28. **შავშეთი, 2011:** შავშეთი, მონოგრაფია, ავტორები: მ.ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე; ბათუმი.
29. **შენოლი, 2015:** შენოლი ე. (ერეკლე დავითაძე), ქართული ენის ჯგუფი ნურუს-მანიეს სკოლაში, გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი“, № 3, მარტი.
30. **შოშიტაიშვილი, 2013:** შოშიტაიშვილი ნ., თურქეთელი ქართველები: „ჩვენ სახლი ხშირად უნდა დევნახოთ“... ჟურნ. „ისტორიანი“, № 11.
31. **ჩოხარაძე, 2009 (I):** ეროვნული ცნობიერების საკითხები სამხრეთ საქართველოში XIX საუკუნიდან დღემდე და თანამედროვე შავშეთის ქართული სოფლები - რსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული VI, 2009 წ., ბათუმი.
32. **ჩოხარაძე, 2009 (II):** ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე - კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რსუ-ს ქრისტიანული კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტ. I, ბათუმი.
33. **ჩოხარაძე, 2013:** ჩოხარაძე მ., „ახისხადან მოსულები შავშეთ-კლარჯეთში“, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო აჭარის დედასამშობლოსათან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები, ტ. III, ბათუმი.
34. **ჩოხარაძე, ქესქინი, 2013:** ჩოხარაძე მ., ქესქინი მ., მუჰაჯირები შავშეთიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, ტ. VII, ბათუმი.

35. **ჩოხარაძე, 2015 (I):** ჩოხარაძე მ., ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები, მონოგრაფია, ბათუმი.
36. **ჩოხარაძე, 2015 (II):** ჩოხარაძე მ., სარფი თაობათა მესხიერებაში, მონოგრაფიაში „სარფი“ (ავტორები: მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფალავა, ო. მემშიში, მ. ბარამიძე, ჯ. ვარშალომიძე, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, თ. შიოშვილი, მ. თავდგირიძე, ც. ნარაკიძე, ჯ. მიქელაძე), ბათუმი.
37. **ჩოხარაძე, 2015 (III):** ჩოხარაძე მ., ჟურნალი „ფიროსმანი“ და შენოლ თაბანის კლარჯული ქრონიკები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. X, ბათუმი.
38. **ჩხაიძე, 1991:** ჩხაიძე ალ., ჩვენებურები, ბათუმი.
39. **წერეთელი, 1951:** წერეთელი გ., არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
40. **ჭავჭავაძე, 2012:** ჭავჭავაძე ი., ოსმალს საქართველო, ექვსტომეული, ტომი მეოთხე, თბილისი.
41. **ჭავჭავაძე, 1879:** ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „ივერია“, № 2.
42. **ჭიჭინაძე, 1912:** ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, თბილისი.
43. **ჭიჭინაძე, 1913:** ჭიჭინაძე ზ., მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი.
44. **ხანთაძე, 2010:** ხანთაძე ქ. (ქვესერ რუჰი), აჰმედ ოზქან მელაშვილის გახსენება, ჟურნ. „ფიროსმანი“, №11.
45. **ხორავა, 2004:** ხორავა ბ., აფხაზთა მუჰაჯირობა, თბილისი.
46. **Adım... 2012:** Adım Adım Türkiye (Bütün köyleri ve yollarıyla) İstanbul.
47. **Bisonidze, 2000:** M.Bisonidze, Bir Gürcü Köyü: Ortayazi, ÇVENE BURI, № 36, 2000.
48. **Gümüş, 2013:** Nebi Gümüş, Acara tarihi için bir kaynak: Osmanlı Devletinde yapılan ilk nüfus sayımları, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „მუჰაჯირები“, პირველი სამეცნიერო კონფერენციის სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ბათუმი.
49. **Muammer, 2009:** Dr.Demirel Muammer. *Atatürk Üniversitesi Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi* (<http://e-dergi.atauni.edu.tr>), 2009: Dergi no:40.
50. **Önal, 2010:** Ülku Önal, Artvin Muhacirlik Hatıralari, Ankara.
51. **Sözlük, 2000:** Örnekleriyle Türkçe Sözlük, 3 (L-R), İstanbul.
52. **Tataroglu, 2007:** Tataroglu A., Batum'dan Bursa'ya, Bir Göçün Hikayesi ve Hamidiye (Gazellii) köyü, Bursa.
53. **Френкель. 1879:** Френкель А., Очерки Чурук-су и Батума, Тифлиси.

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართულენოვანი სოფლები¹

ა

ადლიე* / Adliye / ბურსა / გემლიქი / კლარჯეთი
ადლიე* / Adliye / ბილეჯიქი / ოსმანელი / კლარჯეთი
აზიზიე / Aziziye / საქარია / ყარასუ / აჭარა
აივაზფინარი / Ayvazpınarı / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ალაჩამი* / Alaçam / ბურსა / ქესთელი / კლარჯეთი
არმუთალანი* / Armutalan / ბალიქესირი / ბალიქესირის ცენტრ. / კლარჯეთი
აქფინარი / Akpınar / ქოჯაელი / ქარამურსელი / კლარჯეთი
აქქოი / Akköy / იალოვა / თერმალი / აჭარა
აქჩაი / Akçay / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
აჰმედიე* / Ahmediye / საქარია / ქარაფურჩექი / აჭარა

ბ

ბალაბანი / Balaban / ქოჯაელი / ქართეფე / კლარჯეთი
ბალიქლიიჰსანიე* / Balıklıhsaniye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ბალჯიდედე* / Balçidede / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
ბაჰარიე / Bahariye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ბაჰჩეკაია* / Bahçekaya / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ბაჰჩეჯიქი / Bahçecik // ქოჯაელი / ბაშისქელე / კლარჯეთი
ბელდიბი* / Beldibi / საქარია / აქიაზი / შავშეთი
ბეზირგანი / Bezirgan / საქარია / ქოჯაალი / აჭარა (ლივანა)
ბიჩქიათიქი / Bıçkıatik / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ბოღაჯკოი / Boğazköy / ბურსა / ქარაჯაბეი / შავშეთი

გ

გულბაჰჩე* / Gülbahçe / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
გულდიბი* / Güldibi / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
გულდიბი / Güldibi / საქარია / საფანჯა / აჭარა (ნიგალი)
გუნაიდინ / Günaydın / ბალიქესირი / სუსურლუქი / კლარჯეთი
გუნდოღანი* / Gündoğan / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი

¹ დასახლებები, რომლებშიც მხოლოდ ქართულენოვანი ჩვენებურები ცხოვრობენ, აღნიშნულია ვარსკვლავით. შერეული სოფლები წარმოდგენილია ვარსკვლავის გარეშე.

გუნეშლი / Güneşli / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
გუჯუჯექი / Gücücek / საქარია / აქიაზი / აჭარა

დ

დემირაჩმა / Demiraçma / საქარია / ქოჯაალი / აჭარა
დერბენტი / Derbent / ქოჯაელი / ქართეფე / კლარჯეთი
დერესექი / Dereşeki / სტამბოლი / ბეიქოზი / კლარჯეთი
დეირმენბოღაზი / Değirmenboğazi / ბალიქესირი / მანიასი / კლარჯეთი
დოღანჩაი / Doğançay / საქარია / გეივე / კლარჯეთი
დოღანჯი / Doğancı / ბალიქესირი / მანიასი / კლარჯეთი

ე

ელმალი* / Elmalı / ბურსა / იზნიქი / აჭარა
ერდემლი* / Erdemli / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
ესენტეფე* / Esentepe / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ესენქოი / Esenköy / იალოვა / ჩინარჯიქი / კლარჯეთი
ესქიფერჰადიე* / Eskiferhadiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ესქიქარაჯაქაია / Eskikaracakaya / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ექშიდერე / Ekşidere / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
ეშმეაჰმედიე / Eşmeahmediye / ქოჯაელი / ქართეფე / კლარჯეთი

თ

თეშვიქიე / Teşvikiye / იალოვა / ჩინარჯიქი / აჭარა, შავშეთი
თუფექჩიონაქი* / Tüfekçikonak / ბურსა / ინეგოლი / აჭარა

ი

იანიქი / Yanık / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
იენიმაჰალე / Yenimahalle / იალოვა / თერმალი / აჭარა
იენიკავაქი* / Yenikavak / ბალიქესირი / ბალია / კლარჯეთი
იენიქოი / Yeniköy / ქოჯაელი / ბაშისქელე / კლარჯეთი
იეშილვადი / Yeşilvadi / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ილიმბეი* / İlimbey / საქარია / გეივე / კლარჯეთი
ირშადიე* / İrşadiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
იქბალიე* / İkbaliye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
იქრამიე* / İkramiye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
იჯადიე* / İcadiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
იჰსანიე / İhsaniye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი

ლ

ლუთფიე* / Lütfiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ლუთფიექოშქი* / Lütfiyeköşk / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი

მ

მამურიე* / Mamuriye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
მაჰმუდიე* / Mahmudiye / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
მერზუქიე* / Merzukiye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
მესრურიე* / Mesruriye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
მეჯიდიე / Mecidiye / იალოვა / არმუთლუ / აჭარა
მეჯიდიე* Mecidiye / საქარია / ქარაფურჩექი / აჭარა
მურათბეი* / Muratbey / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
მურადიე* / Muradiye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
მურადიე* / Muradiye / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი

ნ

ნიმეთიე* / Nimetiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ნუზჰეთიე / Nüzhetiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ნუსრეთიე / Nusretiye / ქოჯაელი / ქართეფე / კლარჯეთი, აჭარა
ნუსრეთიე* / Nusretiye / ქოჯაელი / ქარამურსელი / კლარჯეთი
ნურიე / Nuriye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ნურუოსმანიე* / Nuruosmaniye / საქარია / გეივე / კლარჯეთი

ო

ორჰანიე* / Orhaniye / ბურსა / ქესთელი / კლარჯეთი
ოსმანიე* / Osmaniye / ბურსა / ქესთელი / კლარჯეთი

რ

რეშადიე* / Reşadiye / საქარია / აქიაზი / კლარჯეთი

ს

საადეთი / Saadet / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
საიფიე* / Sayfiye / ბურსა / ქესთელი / კლარჯეთი
საფანჯა / Sapanca / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
სელიმიე* / Selimiye / იალოვა / არმუთლუ / კლარჯეთი, შავშეთი
სერვეთიე / Servetiye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი

სიირეთიე* / Siyretiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
სულეიმანიე / Süleymaniye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
სულჰიე / Sulhiye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
სუჩიქტი* / Suçıktı / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი

უ

ულაშლი / Ulaşlı / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
უმმიე / Ümmiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი

ფ

ფანაიერი / Panayır / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ფევზიე* / Fevziye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ფეჰლივანჰოჯა* / Pehlivanhoca / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
ფინარლი* / Fınarlı / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი

ქ

ქადიფინარი / Kadıpınar / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
ქანლიჩაი* / Kanlıçay / საქარია / ქარაფურჩექი / აჭარა
ქარაფინარი* / Karapınar / ბურსა / მუსტაფაქემალფაშა / კლარჯეთი, შავშეთი
ქარაფურჩექი / Karapürçek / საქარია / ქარაფურჩექი / აჭარა
ქარაქადი / Karakadı / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ქარაჩამი / Karaçam / საქარია / გეივე / კლარჯეთი
ქიშლაჩაი* / Kışlaçay / საქარია / საქარიას ცენტრ. / კლარჯეთი
ქარგალიენიქოი* / Kargalıyeniköy / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ქიზანლიქი / Kızanlık / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ქირინთი* / Kırıntı / ბურსა / იზნიქი / აჭარა
ქირქეფინარი / Kırkpınar / საქარია / საფანჯა / კლარჯეთი
ქოიიერი* / Köyyeri / საქარია / ქოჯაალი / აჭარა
ქომურჯუქადი* / Kömürçükadı / ბურსა / მუსტაფაქემალფაშა / კლარჯეთი, შავშეთი
ქოზლუქი* / Kozluk / საქარია / ქოჯაალი / აჭარა (ლივანა)
ქოჩბაირი* / Koçbayırı / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
ქუთლუჯა* / Kutluca / ბურსა / იზნიქი / აჭარა

შ

შევქეთიე* / Şevketiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
შერეფიე* / Şerefiye / საქარია / გეივე / კლარჯეთი
შერეფიე* / Şerefiye / საქარია / აქიაზი / კლარჯეთი, ტაო, შავშეთი, აჭარა

შირინსულჰიე / Şirinsulhiye / ქოჯაელი / ქართვეფე / კლარჯეთი
შირინქოი* / Şirinköy / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი

ჩ

ჩაილიჯა* / Çaylıca / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ჩინარფინარი / Çınarpınar / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
ჩიფთლიქი* / Çiftlikköy / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ჩიფთლიქალანი* / Çiftlikalanı / ბალიქესირი / გონენი / კლარჯეთი
ჩუბუქლუბალა* / Çubuklubala / ქოჯაელი / იზმითი / კლარჯეთი

ჯ

ჯანდარლი* / Candarlı / ბურსა / იზნიქი / აჭარა
ჯუმჰურიეთი* / Cumhuriyet / ბალიქესირი / მანიასი / კლარჯეთი

ჰ

ჰაიდარიე* / Hamidiye / ბურსა / გემლიქი / აჭარა
ჰაირიე* / Hayriye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ჰაირიე* / Hayriye / იალოვა / არმუთლუ / კლარჯეთი
ჰამზალი* / Hamzalı / ბურსა / ორჰანგაზი / აჭარა
ჰამითლი / Hamitli / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ჰამიდიე* / Hamidiye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ჰამიდიე* / Hamidiye / ბურსა / გემლიქი / აჭარა, კლარჯეთი
ჰამიდიე* / Hamidiye / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ჰასანეინი* / Hasaneyn / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ჰასანფაშა* / Hasanpaşa / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ჰაჯოსმანი* / Hacıosman / ბურსა / იზნიქი / აჭარა
ჰილმიე* / Hilmiye / ბურსა / ინეგოლი / აჭარა
ჰისარეინ / Hisareyn / ქოჯაელი / გოლჯუქი / კლარჯეთი
ჰიჯრიე* / Hicriye / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი
ჰუსეინშეიჰი / Hüseyinşeyh / საქარია / ჰენდექი / კლარჯეთი

სარჩევი

შესავალი

3

ნაწილი პირველი ქართველთა მუჰაჯირობა - ეპოქები და თაობები

1. მუჰაჯირობის მოკლე ისტორია	7
1.1. მუჰაჯირობა და საქართველოს ისტორიის მუჰაჯირობამდელი ფრაგმენტები	7
1.2. რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნეში და მუჰაჯირობა	9
1.3. მოკლე განმარტებები მუჰაჯირობის ზოგიერთი ფაქტორის გამო	13
1.4. მუჰაჯირობა და ქართველი მამულიშვილები	17
1.5. ქართველთა გადასახლება და ახალ მიწაზე დამკვიდრება	21
2. მუჰაჯირთა შთამომავლები და ეთნიკური ვინაობის გამოხატვის ზოგიერთი საკითხი	25
3. მოკლე ჩანაწერი ქართული ენისა და ქართველების შესახებ თანამედროვე თურქეთში	35
4. მშობლიური ენა თურქეთის ქართველებში და თვითშემეცნების ზოგიერთი საკითხი	40
5. ორიოდ სიტყვა თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციულ სტრუქტურაზე	43
6. ზოგიერთი განმარტება წიგნის სტრუქტურის გამო	46

ნაწილი მეორე

ქართველთა დასახლებები და ქართული ენის გეოგრაფია მარმარილოს ზღვის რეგიონში

შესავალი მეორე ნაწილისთვის ანუ მარმარილოს ზღვის რეგიონის პროვინციები	55
1. ქართველთა გაერთიანებები	59
2. ბალიქესირის პროვინცია	64
ჩანართი ახმედ მელაშვილის გამო	70
3. ბურსის პროვინცია	78
4. იალოვას პროვინცია	94
5. საქარიას პროვინცია	98
ჩანართი თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის	108
6. ქოჯაელის პროვინცია	116

ბოლოთქმა 125

ლიტერატურა 127

დანართი: მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართულენოვანი სოფლები 130

გამომცემლობის რედაქტორი: ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი: ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი: ედუარდ ანანიძე